# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 17 დეკემბერი 2002 №240 (1762) | ფასი 50 თეთრი


# ოქროს ბურთი რონალდოს მედიამ მეორედ გადააწოდა



REUTERS

## France Football

რონალდო! — თქვა ევროპის 52 გამოცემის რედაქტორმა და „ფრანს ფუტბოლმაც" ბრაზილიელს მეორედ გადასცა „ოქროს ბურთი". პირველი ხუთი წლის წინ იყო.

თუმცა ეს ფეხბურთია, სადაც გაუთავებლად შეიძლება იკამათო: რონალდომ 16 პირველი ხმა მიიღო, მისმავე თანაგუნდელმა და თანამემამულე რობერტო კარლოსმა კი შვიდით მეტი. რონალდომ წელს სულ 30 მატჩი ითამაშა — საკლუბოც და სანაკრებოც, ჩია მცველს კი 46 თამაში მხოლოდ „რეალში" დაუგროვდა. რობერტო კარლოსმა წლეულს მოიგო ყველაფერი ის, რაც რონალდომ და ზედ ჩემპიონთა თასიც მიამატა, მაგრამ მას არ გაუმართლა, რადგან 30 თამაშში რონალდოს 21-მა გოლმა რობერტო კარლოსის მოუღლელი ფეხები გადასწონა. და განა რაა გასაკვირი — სხვა რომ არაფერი, იმ 21-ში მსოფლიოს ჩემპიონობის მომტანი ორი გოლიც ერია, რაც მეტად ძვირად ფასობს.

და ნურც იმას გაიკვირვებთ, დღეს საღამოს ფიფამაც რომ გამოაცხადოს: მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი — რონალდო!

| | | |
|---|---|---|
| 1 | რონალდო | 171 |
| 2 | რობერტო კარლოსი | 145 |
| 3 | ოლივერ კანი | 114 |
| 4 | ზინედინ ზიდანი | 78 |
| 5 | მიხაელ ბალაკი | 67 |
| 6 | ტიერი ანრი | 54 |
| 7 | რაული | 38 |
| 8 | რივალდო | 29 |
| 9 | ილდირაი ბაშთურქი | 13 |
| 10 | დელ პიერო | 12 |



რობერტო კარლოსი



ოლივერ კანი



ზინედინ ზიდანი



მიხაელ ბალაკი

საქართველოს უმაღლესი ლიგა · ჩემპიონატი 14 · პირველი ეტაპი

# მიმოხილვა



მეთოთხმეტე ეროვნულის პირველ ეტაპზე ჩაშლილი მატჩები მრავლად იყო

# საეტაპო ამბავი

## ბევრი ძველი და ცოტა ახალი

*132 დღე დასჭირდა მე-14 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის მოლევას. საკითხავია, რა გაირკვა ამ დროში? სატურნირო თვალსაზრისით ბევრიც არაფერი, რადგან ჩემპიონატის ჩატარების რეგლამენტი იმგვარ თარგზეა მოჭრილი, პირველი ეტაპი, ფაქტობრივად, ვერაფერს წყვეტს, გარდა იმისა, რომ ორ ექვსეულად ჰყოფს გუნდებს, ამის გასარკვევად კი 132 დღე, ვფიქრობთ, მეტისმეტია.*

*ეროვნულ ჩემპიონატს დაბრუნებულ ლეგიონერთაგან ერთიორმა თქვა, წინა წლებთან შედარებით საქართველოს ჩემპიონატის დონემ მოიმატაო. ვეჭვობთ, ასე იყოს. წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, ხარისხზე ლაპარაკი ზედმეტია. არც ახალი ფინანსური ტალღა შეგვინიშნავს. ფულიან ოთხეულს, სხვათაგან ქულების რაოდენობითაც რომ გამოირჩევიან, არავინ შეამხანაგებია. შესაძლოა, სფფ შემოგვედაოს, უმაღლეს ლიგას მაყურებელი მოუმრავლდაო. გეთანხმებით, ბატონო, „ტორპედოს“ მატჩებს საშუალოდ 4-5 ათასი მაყურებელი ყოველთვის ესწრება, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ პირველი ეტაპის ბოლო ტურში უმაღლეს ლიგას მოკლებულ თერჯოლაში „მეტალურგი“ — „მილანს“ პოლიციელების, ჟურნალისტებისა და მზესუმზირის გამყიდველთა ჩათვლით 15 მოსიერე ჰყავდა.*

*პირველი ეტაპი უფრო სკანდალებით დაგვამახსოვრდა. პირველსავე ტურში სამი მატჩი ჩაიშალა — ასეთი რამ ჩვენში აქამდე არ მომხდარა. ამა თუ იმ ტურს გაცდენები მერეც არ მოკლებია და ნორმალურ, მოწესრიგებულ ვითარებაში თორმეტივე გუნდი ვერ უწევდა მეორე ეტაპს. მაგრამ ამ ჩემპიონატის პირველი ნახევარი იმითაც გამოირჩა, რომ ფედერაციამ [illegible] ფანატის ჟინი [illegible] საშუალება გამოიყენა საიმისოდ, საზოგადოდ შელახულ ჩემპიონატს ოფიციალურად ჩრდილი რომ არ მისდგომოდა. ამიტომაც არ მოკვეთა მოსაკვეთი სფფ-მ და ბევრ რამეზეც დახუჭა თვალი, თუმც ისიც სათქმელია, რომ ამ დახუჭობანაში გეგმა პირუთვნელად შეასრულა — პირველი ეტაპი განსაზღვრულ ვადაში დასრულდა.*

*ტენდენციურობად რომ არ ჩაგვეთვალოს, პირველი ეტაპის ორიოდ ნათელ წერტილზეც ვთქვათ. უცხოელ მწვრთნელთა მატებას სიკეთის მეტი არაფერი მოჰყოლია, მოწინავე ოთხეულს ხომ სწორედ უცხოელი სპეციალისტები წვრთნიან. პირველ ეტაპზე რამდენიმე ფეხბურთელმა გაიბრწყინა ქართულ საზომზე მეტად. ამათგან უდავოდ გამორჩეული, ნიჭიერი ლოკომოტიველი დავით სირაძეა.*

*მოდით, მოკლედ გავიხსენოთ, ვინ როგორ გამოირჩა ჩემპიონატის პირველ ეტაპზე*

### დინამო
თბილისი

გაფრთხილება: 13
გაძევება: 1
გოლი: 50
საშუალოდ მატჩში: 2,27 გოლი
ბომბარდირები:
დარასელია (11), ალექსიძე (5), ბურდული (4), ბობოხიძე (4), ამისულაშვილი (4)
საუკეთესო ფეხბურთელი:
გოგობერიშვილი

სწორ რელსებზე დააყენა და შეძლებისდაგვარად ევროპულ ყაიდაზე გადააწყო ხორვატმა ივო შუშაკმა საქართველოს ათგზის ჩემპიონი. ჩემპიონატის ლიდერობის გარდა შუშაკის საპირველეტაპო აქტივში ისიც ჩაითვლება, რომ ხორვატმა ტოლ-სწორად ათამაშა გუნდი ჩეხეთის ჩემპიონთან უეფას თასის პირველ ეტაპზე. „დინამო“ — „ლიბერეცის“ ორრაუნდიანი დაპირისპირება ბოლო წლებში ერთადერთი შემთხვევა იყო, ქართველ ქომაგს თავისი გუნდის დამარცხების რომ არ შერცხვა.

პირველ ეტაპზე დინამოელები სხვათაგან გატანილ-მიღებული ბურთების შთამბეჭდავი მაჩვენებლითაც გამოირჩევიან. 22 მატჩში შუშაკის გუნდმა მხოლოდ 8 გოლი გაუშვა, რაც, ცხადია, დაცვის დამსახურებაა. სხვათა შორის, დინამოელ მცველთა სასახელოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათ ანგარიშზე არაერთი გოლი და საგოლე გადაცემაა. შუშაკს ქართული საზომით მართლაც კარგი შემსრულებლები ჰყავს. ამთავითვე შეიძლება იმის თქმა, რომ უახლოეს მომავალში რამდენიმე დინამოელი ეროვნული ნაკრების ბირთვში მყარად მოიკიდებს ფეხს. შუშაკმა სელექციაშიც ივარგა — ბრაზილიელი კარლოს და როჩა ის ფეხბურთელია, გუნდში ამინდის შექმნა რომ ძალუძს. პირველ ეტაპზე „დინამომ“ მხოლოდ ათი ქულა დაკარგა, ეს კი იმის მაჩვენებელიცაა, რომ გასაჩემპიონებლად თბილისელებს კონკურენტებზე უკეთესი შანსი აქვთ.

„დინამო“ ერთადერთი გუნდია საქართველოში, რომელსაც ფან-კლუბი ჰყავს — მობილური, კლუბის სიმბოლიკებით აღჭურვილ ხმაშეწყობილ გუნდს, ათგზის ჩემპიონის ბოლოდროინდელ წარმატებაში არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის.



ალექსანდრე გოგობერიშვილი „დინამოს“ სული და გულია

### ტორპედო
ქუთაისი

გაფრთხილება: 19
გაძევება: 1
გოლი: 50
საშუალოდ მატჩში: 2,27 გოლი
ბომბარდირები:
იონანიძე (17), ასათიანი (6), დიდავა (6), პოროშინი (6)
საუკეთესო ფეხბურთელი:
დიდავა

ჩემი სუბიექტური აზრია — ქუთაისელების მუხტი ბოლო სამი წლის ინერციითაა განპირობებული. „ტორპედო“ ლიდერთა შორისაა, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდში ყველაფერი რიგზეა. ქუთათურებს შემსრულებლებიც არ აკლიათ, ასათიანი და იონანიძე საუკეთესოთა შორის არიან, შარშანდელს მერე პეწდაკარგულ პოროშინსაც არა უშავს — ნელ-ნელა იბრუნებს სათამაშო განწყობას, სხვებიც ყოჩაღობენ, მაგრამ საჩემპიონო ამბიციას მარტო მოედანზე ვერ გაიჩენ, საამისოდ ზურგს ბევრი რამ უნდა გიმაგრებდეს. სწორედ „ზურგში“ აქვთ პრობლემები იმერლებს. შარშანწინდელივით და შარშანდელივით მყარი არ არის „ტორპედოს“ ფინანსური მდგომარეობა და ამ მხრივ რამე თუ არ ილონა ჩემპიონმა, „ლოკომოტივსაც“ და „ვიტ ჯორჯიასაც“ იოლად ჩაუვლაპავინება. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ მეორე ეტაპზე გაცილებით გაუჭირდება „ტორპედოს“. შტელინის სამწყსოს ჩემპიონობის გასაოთხებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდება.



ზურაბ იონანიძე

### ლოკომოტივი
თბილისი

გაფრთხილება: 28
გაძევება: 1
გოლი: 35
საშუალოდ მატჩში: 1,59 გოლი
ბომბარდირები:
რუსია (5), სირაძე (5), ზ. ჯანაშია (4), მ. ბურნაძე (3)
საუკეთესო ფეხბურთელი:
სირაძე

ლუის ცაკარიასმა ჩამოსვლისთანავე სკეპტიკურად განაწყო ბევრი, მაგრამ ამ ურუგვაელმა პრუულმა საქმით დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები. მის მისვლამდე „ლოკომოტივი“ „ჯანაშიატივი“ უფრო იყო. გუნდი მთლიანად ზაზა ჯანაშიაზე იყო ჩამოკიდებული და, ფაქტობრივად, მისი ძალისხმევით გადიოდა ფონს. ცაკარიასმა ყველაფერი შეცვალა, ჭირვეულ ჯანაშიას გამოსასწორებელი „სადამსჯელო პროგრამა“ შეარჩია და გუნდის გაახალგაზრდავება-გაწყობას შეუდგა. შედეგიც შთამბეჭდავია — დავით სირაძე პირეტიტველა გონიერი ბიჭები უკანა ხაზში, ბევრისგან გამორჩეული, დახვეწილი სათამაშო სტილი და მხოლოდ ოთხქულიანი (უკვე ორქულიანი) ჩამორჩენა „დინამოსთან“, რკინიგზელთა საჩემპიონო ამბიციას რეალურს რომ ხდის.

ცაკარიასის მთავარი საზრუნავი მოსამზადებელ ეტაპზე გალიარდო-გონსალესის დუეტის გუნდთან შესისხლხორცება იქნება. სხვა თუ არაფერი, ჩიაურუგვაელს ეტყობა, რომ ლეგიონერთა დაწინაურების უნარი აქვს. ეს თუ შეძლო, „ლოკომოტივის“ თამაში უფრო შთამბეჭდავი და შედეგიანი გახდება.

### ვიტ ჯორჯია
თბილისი

გაფრთხილება: 23
გაძევება: 3
გოლი: 40
საშუალოდ მატჩში: 1,81 გოლი
ბომბარდირები:
მელქაძე (15), ადამია (6), კობიაშვილი (3)
საუკეთესო ფეხბურთელი:
მელქაძე

ბოლო წლების მსგავსად, ჯანი კარნევალის გუნდი წლეულსაც სიმპათიურია. გუნდის წევრებს ერთად თამაშის ისეთი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, მათგან ჩემპიონობაზე პრეტენზია საკვირველი სულაც არ არის. მაგრამ ერთია სურვილი, მეორე შესაძლებლობა. „ვიტ ჯორჯიას“ პრობლემა ერთგვარი არასტაბილურობაა, რაც ცოტა ფიზიკური და ცოტაც სათამაშო დისციპლინის ხარვეზებითაა გამოწვეული.

„ვიტ ჯორჯიას“ ჰყავს ორი ისეთი დონის ფეხბურთელი, გაცილებით მაღალ დონეზე თამაში რომ ძალუძთ. ლევან მელქაძე და გიორგი ადამია ყველაზე შრომატევად სამუშაოს ასრულებენ გუნდში, თანაც ხარისხიანად და შთამბეჭდავად. ამ ორს არაერთი გამარჯვება მოუტანია გუნდისთვის და ვეტერინართა სასიკეთოდ არც მეორე ეტაპზე დაიზარებენ გარჯას.

### სიონი
ბოლნისი

გაფრთხილება: 20
გაძევება: 1
გოლი: 26
საშუალოდ მატჩში: 1,18 გოლი
ბომბარდირები:
შავგულიძე (8), დ. გოდერძიშვილი (8), გაბისკირია (3)
საუკეთესო ფეხბურთელი:
შავგულიძე

ბოლნისურ გუნდში ბევრი ცნობილი ფეხბურთელია თავმოყრილი და გასაკვირი იქნებოდა, ეს გუნდი ზეექვსეულს მიღმა დარჩენილიყო. თუმც სამომავლოდ ქვემოქართლელთა პერსპექტივა მაინც ბუნდოვანია. „სიონში“ ორიოდე ბოლნისელი თამაშობს, დანარჩენები მიწვეულები არიან, ანუ ტიპიური ერთწლიანი გუნდია თემურ მახარაძის განკარგულებაში. პროვინციაში ჩასულ ბევრის მნახველ ფეხბურთელს კი მადაც განსაკუთრებული აქვს, ამით იმის თქმა მსურს, რომ „სიონის“ სამომავლო წარმატება ფეხბურთელთა განწყობა-მონდომებაზე ჰკიდია და საკითხავია, რამდენად შეძლებენ ბოლნისელები მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, თუკი შეძლეს, ეგებ რეალურიც გახდეს „სიონის“ საინტერტოტოო ამბიცია.

### კოლხეთი
ფოთი

გაფრთხილება: 23
გაძევება: 1
გოლი: 28
საშუალოდ მატჩში: 1,27 გოლი
ბომბარდირი:
გონჩაროვი (5)
საუკეთესო ფეხბურთელი:
გონჩაროვი

ამ გუნდისთვისაა გამოგონილი ჩემპიონატის ექვსეულებად დაყოფა. ახალი რეგლამენტის შემდეგ „კოლხეთის“ მიზანი მხოლოდ ზეექვსეულში მოხვედრაა. გამონაკლისი არც ეს სეზონია. ფილიას გუნდი ერთი შეხედვით უამბიციოდ და უმოტივაციოდ თამაშობს, თუმც ზეექვსეულში მოხვედრა გარკვეული პერსპექტივაა ნებისმიერი გუნდისთვის და ეს ყველაზე კარგად მოეხსენებათ ფოთელებს.

პირველ ეტაპზე კოლხთა აქტივში უნდა ჩავთვალოთ „მეტალურგის“ 8:1-ით განადგურება. ეს ანგარიში ჯერჯერობით საამსეზონო რეკორდია.

### იტალია

სერია B. XVI ტური
ვერონა 1:2 სიენა

სერია C/A. XVI ტური
ჩეზენა 1:0 სპეცია

### საბერძნეთი

XI ტური
ირაკლისი 0:2 აეკ

### ინგლისი

პრემიერლიგა. XVIII ტური
ბოლტონი 0:3 ლიდსი

### პორტუგალია

პირველი ლიგა. XIV ტური
ბეირა მარი 3:3 ბოავიშტა
პორტუ 2:1 ფეირირა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მერანი
თბილისი

გაფრთხილება: 23
გაძევება: 2
გოლი: 25
საშუალოდ მატჩში: 1,13 გოლი
ბომბარდირები:
კოშკაძე (9),
ფირცხალაიშვილი (5),
ჩილვინაძე (5)
საუკეთესო ფეხბურთელი:
კოშკაძე

ოპოზიციაში ჩამდგარმა „მერანმა“ გვარიანად აიჭრულა ფერდები ფედერაციის მართახრით, ამას უყეულობაც დაემატა და ავჭალელთა გუნდის ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგა. ახლა „მერანს“ პატრონი გამოუჩნდა და ოთარ გაბელიას გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს.

## დილა
გორი

გაფრთხილება: 22
გაძევება: 0
გოლი: 17
საშუალოდ მატჩში: 0,77 გოლი
ბომბარდირები:
ძოძუაშვილი (4),
ა. ხმალაძე (4),
სულთანიშვილი (3)
საუკეთესო ფეხბურთელი:
ძოძუაშვილი

პირველლიგიდან დაბრუნებულის კვალობაზე „დილა“ მუხლჩაუხრელად ასრულებს თავის საქმეს. ქართლელებმა პირველ ეტაპზე თითქმის ყველა უშუალო კონკურენტი გაამწარეს და თუკი შინაურ სარბიელზე კვლავაც იყოჩაღებენ, მომავალ ჩემპიონატსაც უმაღლეს ლიგაში შეხვდებიან.

## ბათუმი

გაფრთხილება: 25
გაძევება: 4
გოლი: 16
საშუალოდ მატჩში: 0,72 გოლი
ბომბარდირები:
გ. მოდებაძე (6),
დარჩიძე (6),
მაჭუტაძე (2)
საუკეთესო ფეხბურთელი:
მაჭუტაძე



ბათუმელი თემურ ტუღუში ჩემპიონატში ჩატარებული მატჩების ოდენობით რეკორდსმენია

ზღვისპირელთა ჩავარდნა კანონზომიერია. ბათუმში ფეხბურთისადმი ინტერესი მინელდა, ბალაძის გუნდს მატერიალური სახსარი გამოეცალა, თუმც პირველი ეტაპის მიწურულს „ბათუმის“ აწეწილ საქმეებს ეშველა და ახლან ბალაძის გუნდის 20 ქულა საკვირველიც აღარ არის. თუ ახალმა პატრონმა საქმეს ბოლომდე უერთგულა, „ბათუმი“ ლიგიდან გავარდნის სირცხვილს აიცილებს თავიდან.

## მეტალურგი
ზესტაფონი

გაფრთხილება: 25
გაძევება: 1
გოლი: 17
საშუალოდ მატჩში: 0,77 გოლი
ბომბარდირები:
ენდელაძე (6),
ვაჩიბერაძე (3),
ფოფხაძე (3)
საუკეთესო ფეხბურთელი:
ენდელაძე

ზესტაფონელთა დებიუტის შემხედვარე, ბევრი ამ გუნდის ექვსეულში მოხვედრაზე არცთუ უსაფუძვლოდ ალაპარაკდა, მაგრამ ფედერაციასთან ჭიდილში რქები მოიმტვრიეს იმერლებმა. ნუგზარ მდივანმა გუნდი მიატოვა, უპატრონოდ დარჩენილმა „მეტალურგმა“ ქულებიც მრავლად ფანტა და რჩეულთა შორის დარჩენის პერსპექტივაც სათუო გაიხადა. არადა, კონკურენტებთან შედარებით, გუნდი უფრო გამართულ ფეხბურთს თამაშობს და საცოდაობაა „მეტალურგის“ გავარდნა, თუმც ამით გულს ვის მოულბობ... ფული თუ არ წაახმარეს ზაურ ჩუბინიძეს და მის ბიჭებს, უფეხბურთოდ დარჩება ზესტაფონი.

სხვათა შორის, მიუხედავად არაერთ მოედანზე ქვათა ყრისა და მსაჯთა ცემისა, „მეტალურგი“ ყველაზე მკაცრად დასაჯა სფფ-მ — გუნდს მეცხრე ტურის შემდეგ შინ არ უთამაშია.



ნუგზარ მდივანი „მეტალურგს“ და ფეხბურთს გაეცალა

## გორდა
რუსთავი

გაფრთხილება: 25
გაძევება: 4
გოლი: 22
საშუალოდ მატჩში: 1 გოლი
ბომბარდირები:
გოცირიძე (8),
ჯელაძე (3),
ა. ბურნაძე (2)
საუკეთესო ფეხბურთელი:
ჯ. ალადაშვილი

საფეხბურთო მეურნეობამოშლილ და უსახსრო რუსთაველებს საქმე გასავარდნად აქვთ. გუნდს ყველა რგოლში პრობლემები მოსძალებია. გია გეგუჩაძემ ვერაფრით დაალაგა „გორდას“ არეული საქმეები. რუსთაველებმა პირველ ეტაპზე მხოლოდ ორი გუნდის დამარცხება შეძლეს („მერანთან“ ტექნიკური მოგების ჩაუთვლელად) — „ბათუმის“ (ორჯერ) და „მილანის“. ეს კი ჩემპიონატის ანტირეკორდია, ბოლო ადგილოსან „მილანსაც“ კი სამი გუნდი ჰყავს დამარცხებული.

„გორდას“ ბედი ფინანსებზე ჰკიდია, ამის პერსპექტივა კი ჯერჯერობით არ სჩანს რუსთავში.

## მილანი
წნორი

გაფრთხილება: 23
გაძევება: 2
გოლი: 11
საშუალოდ მატჩში: 0,5 გოლი
ბომბარდირები:
მ. სამხარაძე (5),
ეგაძე (2)
საუკეთესო ფეხბურთელი:
მ. სამხარაძე

კიდევ ერთი რეკორდსმენი... ქიზიყელებმა პირველი ეტაპის მანძილზე სამი მწვრთნელი გამოსცვალეს. დებიუტანტს სეზონის წინ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაუშავდა, მათ შორის ნიჭიერი ზაზა მელოევი. შედეგად წნორელებმა ვერაფრით შეძლეს ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება. ლიგიდან გავარდნისგან „მილანს“ გამოცვლილი მწვრთნელი და შემადგენლობის გაძლიერება თუ იხსნის.

**ბაატა ძმანტალიანი**

### პირველი ეტაპის საუკეთესო ფეხბურთელი
გივი დიდავა (ტორპედო)

### პირველი ეტაპის საუკეთესო მწვრთნელი
ივო შუშაკი (დინამო)



„ტორპედოს“ კაპიტანი გივი დიდავა (მარჯვნივ) პირველ ეტაპზე საუკეთესო იყო



ივო შუშაკი

### ჩემპიონატის ცხრილი მეორე ეტაპის წინ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 28 |
| ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 26 |
| ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 25 |
| სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 15 |
| კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 15 |
| მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 11 |
| ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| მეტალურგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |
| მილანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |

### ყველაზე მეტი გაფრთხილება

მესხი (მერანი) — 5
იონანიძე (ტორპედო) — 5
ადამია (ვიტ ჯორჯია) — 5
არჩვაძე (ბათუმი) — 5
გ.ზ. რევაზიშვილი (დილა) — 4
ქარჩავა (მილანი) — 4
გაბრიჭიძე (მეტალურგი) — 4
კობიძე (ბათუმი) — 4
ი. ხაჭაპურიძე (მეტალურგი) — 4
ა. ლაბაძე (მეტალურგი) — 4
მ. ღონღაძე (მეტალურგი) — 4
ზ. ჯანაშია (ლოკომოტივი) — 4
გ. ჩიტაია (დილა) — 4
ქუტიძე (კოლხეთი) — 4
კვარაცხელია (ლოკომოტივი) — 4

### ყველა გაძევება

ფეხბურთელები:

ბერიძე (გორდა), ზაზაშვილი (გორდა), მელქაძე (ვიტ ჯორჯია), შეყრილაძე (მეტალურგი), არჩვაძე (ბათუმი), ა. სახვაძე (დინამო), ჩიჩუა (ბათუმი), ა. ბურნაძე (გორდა), ზ. ლაბაძე (გორდა), რომანაძე (ბათუმი), პოროშინი (ტორპედო), ნაჭყეპია (მერანი), მეტონიძე (მილანი), ზ. ლაცაბიძე (ლოკომოტივი), კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ირემაშვილი (სიონი), ყიფიანი (ვიტ ჯორჯია), კობიძე (ბათუმი)

მწვრთნელები:

ო. გაბელია (მერანი), რ. კაკულია (მილანი), მ. მიქავა (კოლხეთი)

## მოწინავე ოთხეულის ურთიერთშეხვედრები

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | | 2:0 | 1:0 | 2:1 | 4 | 1 | 1 | 8-4 | 13 |
| ტორპედო | 1:1 | | 0:1 | 1:0 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| დინამო | 1:0 | 0:0 | | 0:1 | 2 | 2 | 2 | 3-3 | 8 |
| ვიტ ჯორჯია | 1:3 | 1:3 | 1:1 | | 1 | 1 | 4 | 5-9 | 4 |

### სიმბოლური ნაკრები

ზურაბ იონანიძე — ტორპედო
ლევან მელქაძე — ვიტ ჯორჯია
გიორგი ადამია — ვიტ ჯორჯია
შოთა ბაბუნაშვილი — ტორპედო
ალექსანდრე გოგობერიშვილი — დინამო
დავით სირაძე — ლოკომოტივი
გივი დიდავა — ტორპედო
ალეკო ამისულაშვილი — დინამო
გიორგი შაშიაშვილი — დინამო
გიორგი ბალაშვილი — ლოკომოტივი
გიორგი ლომაია — ლოკომოტივი
მწვრთნელი: ივო შუშაკი — დინამო

### უმაღლესი ლიგა

| № | გუნდები | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 22 | 18 | 2 | 2 | 50:8 | 42 | 56 | 11 | 9 | 1 | 1 | 26:2 | 24 | 28 | 11 | 9 | 1 | 1 | 24:6 | 18 | 28 |
| 2 | ტორპედო | 22 | 16 | 4 | 2 | 50:15 | 35 | 52 | 11 | 9 | 1 | 1 | 31:9 | 22 | 28 | 11 | 7 | 3 | 1 | 19:6 | 13 | 24 |
| 3 | ლოკომოტივი | 22 | 16 | 2 | 4 | 35:10 | 25 | 50 | 11 | 9 | 1 | 1 | 16:3 | 13 | 28 | 11 | 7 | 1 | 3 | 19:7 | 12 | 22 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 22 | 16 | 1 | 5 | 40:15 | 25 | 49 | 11 | 8 | 1 | 2 | 25:9 | 16 | 25 | 11 | 8 | 0 | 3 | 15:6 | 9 | 24 |
| 5 | სიონი | 22 | 9 | 3 | 10 | 26:27 | -1 | 30 | 11 | 8 | 0 | 3 | 16:6 | 10 | 24 | 11 | 1 | 3 | 7 | 10:21 | -11 | 6 |
| 6 | კოლხეთი | 22 | 9 | 3 | 10 | 28:33 | -5 | 30 | 11 | 7 | 1 | 3 | 21:12 | 9 | 22 | 11 | 2 | 2 | 7 | 7:21 | -14 | 8 |
| 7 | მერანი | 22 | 6 | 5 | 11 | 25:37 | -12 | 23 | 11 | 4 | 3 | 4 | 14:17 | -3 | 15 | 11 | 2 | 2 | 7 | 11:20 | -9 | 8 |
| 8 | დილა | 22 | 6 | 3 | 13 | 17:29 | -12 | 21 | 11 | 3 | 2 | 6 | 10:15 | -5 | 11 | 11 | 3 | 1 | 7 | 7:14 | -7 | 10 |
| 9 | ბათუმი | 22 | 5 | 5 | 12 | 16:27 | -11 | 20 | 11 | 3 | 4 | 4 | 10:9 | 1 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 6:18 | -12 | 7 |
| 10 | მეტალურგი | 22 | 6 | 1 | 15 | 17:50 | -33 | 19 | 11 | 4 | 0 | 7 | 11:22 | -11 | 12 | 11 | 2 | 1 | 8 | 6:28 | -22 | 7 |
| 11 | გორდა | 22 | 4 | 1 | 17 | 22:45 | -23 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 12:18 | -6 | 7 | 11 | 2 | 0 | 9 | 10:27 | -17 | 6 |
| 12 | მილანი | 22 | 3 | 4 | 15 | 11:47 | -36 | 13 | 11 | 2 | 2 | 7 | 7:19 | -12 | 8 | 11 | 1 | 2 | 8 | 4:28 | -24 | 5 |

*პირველ ტურში „მერანს“, „მეტალურგს“, „გორდას“ და „მილანს“ ჩაეთვალათ 0:3 წაგება. მეცხრე ტურში „მეტალურგს“ „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთორმეტე ტურში „მერანს“ „გორდასთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთექვსმეტე ტურში „მეტალურგს“ „ტორპედოსთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3.*

# გაზაფხული კლასიკოთი დაიწყება

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპის კალენდარი კენჭისყრის პრინციპით შედგა. საშეჯიბრო კომიტეტის უფროსმა ნოდარ კაკულიამ და ამავე კომიტეტის წევრმა გია ძამუკაშვილმა თორმეტივე გუნდის წარმომადგენელი მიიწვიეს, თუმცა ლოტოტრონთან მხოლოდ შვიდი აღმოჩნდა.

კალენდრის კენჭისყრით შედგენის პრინციპი მარტივი იყო. ნოდარ კაკულიამ თავიდან აღნიშნა, ბურთულები გუნდებს პირობით ნომრებად დაჰყოფს და ამის შესაბამისად პირველ ტურში პირველი ნომერი მეექვსეს უმასპინძლებს, მეორე — მეხუთეს, მესამე — მეოთხესო. ლოტოტრონს გუნდების წარმომადგენლები სატურნირო ცხრილში მათივე ადგილის შესაბამისად უახლოვდებოდნენ. კენჭისყრა „დინამომ" დაიწყო, რასაც თან ტორპედოელი ვლადიმერ პანოვის რეპლიკა მოჰყვა, „დინამოს" ექვსიანი შეხვდებაო და გია იმნაძის ხელს მართლაც ექვსიანი ამოჰყვა. იმნაძეს პანოვი გაჰყვა და კვლავ წამოძახილი, „ტორპედოს" ერთიანიო. ვარაუდი ამჯერადაც გამართლდა — მეორე ეტაპი „ტორპედო"—„დინამოთი" იწყება. შემდეგ „ლოკომოტივს" ხუთიანი ხვდა და, შესაბამისად, ფოთში „კოლხეთთან" სტუმრობა, „სიონს" კი „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობა. მოკლედ, მეორე ეტაპის კალენდარი უკვე შედგენილია, თუმცა მატჩების ჩატარების თარიღებია დასაზუსტებელი. სავარაუდოდ, ჩემპიონატი 14-15 მარტს განახლდება.

მეორე ეტაპის მეორე წრე სტუმარ-მასპინძელს შესაბამისად შეცვლის და გამოვა, რომ სულ ბოლო ტურში „დინამო" — „ტორპედოა". წინა ჩემპიონატი კი შეგახსენებთ, ამ ქართულმა ბობოლებმა ქუთაისში საჩემპიონო მატჩით ჩაამთავრეს.

**ლუკა თალაკვაძე**

# დინამომ 10 000 გაირბინა

## შუშაკს სათადარიგო ნაწილები სჭირდება

**საქართველოს** ათგზის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" სამი წლის წინ დაკარგული ტიტულის დასაბრუნებლად ნახევარი გზა წარმატებით გაიარა და ჩემპიონატის მეორე ეტაპს ცხრილის სათავეში ორქულიანი უპირატესობით დაიწყებს.

დღესდღეობით კი „დინამო" ორ ჯგუფად გაიყო და ფორმის შესანარჩუნებლად, უქმე დღეების გარდა, დილმის ბაზაზე ხორვატიაში წასულ მწვრთნელ ივო შუშაკის დატოვებული პროგრამით მსუბუქად ვარჯიშობს. დინამოელებს დასვენება, ჩათვალეთ შვებულება, სულ ერთი კვირა აქვთ, 27-დან 3 იანვრამდე. მერე თბილისელები ისევ განაახლებენ ვარჯიშს, 8 იანვარს მწვრთნელიც ჩამოვა და ძველით ახალ წლამდე ინტენსიური წვრთნა დილომშივე გაგრძელდება, 14 იანვარს კი „დინამო" ორკვირიან შეკრებაზე კვიპროსზე გაემგზავრება.

როგორი იყო პირველი ეტაპი „დინამოსთვის"? კმაყოფილია თუ არა გუნდის ხელმძღვანელობა თამაშის ხარისხით? რა ცვლილებებია მოსალოდნელი ზამთრის პერიოდში? აი, ამ და სხვა კითხვებზე თბილისის „დინამოს" აღმასრულებელმა დირექტორმა გია ფირცხალავამ და ივო შუშაკმა შაბათს ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე უპასუხეს.

*გია ფირცხალავა:*

— ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ნაჩვენები შედეგით გუნდის ხელმძღვანელობა კმაყოფილია. თამაშიდან თამაშამდე იგრძნობა პროგრესი, რაც ძალიან გვახარებს. თუმცა წინ პლეი ოფი გველის, ურთულესი მატჩები, ზეექვსეულში ხომ სუსტი აღარავინაა. კარგად უნდა მოვემზადოთ და საწადელს მივაღწიოთ — ჩემპიონობა და თასი, აი, ჩვენი მიზანი.

*ივო შუშაკი:*

— 22 მატჩი ჩავატარეთ და პირველები ვართ. მიზნისკენ სტაბილურად, წინასწარი გეგმის შესაბამისად მივდივართ. ცხადია, აქამდეც მითქვამს, ეს გზა ყვავილებით არ არის მოფენილი, სარეველაც ბევრია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სწორი კურსი ავირჩიეთ და მიზანს მივაღწევთ.

— დიდი მადლობა ბადრი პატარკაციშვილს ასეთი მხარდაჭერისთვის. მადლობელი ვარ გუნდის აღმასრულებელი დირექტორის და მთლიანად ადმინისტრაციული კორპუსის, ვემადლიერები ჩემს თანაშემწეებს, მადლობა ლევან სალუქვაძეს, რომლის საშუალებითაც პრესასთან ასეთი ხშირი ურთიერთობა გვაქვს, მადლობა ჩვენს გულშემატკივრებს, რომელთა ერთი ჯგუფიც ყოველი მატჩისას ტრიბუნიდან გვქომაგობს და, რაღა თქმა უნდა, დიდი მადლობა ფეხბურთელებს. ბიჭებმა შეიგნეს, რა არის პროფესიონალიზმი, რა არის დასახული მიზნისკენ სწრაფვა.

— როცა „დინამოში" ჩამოვედი, გუნდი ზეექვსეულში იყო. მაშინვე გადაწყდა, რომ უეფას თასის საგზურისთვის გვებრძოლა, შესაძლებლობისამებრ ჩემპიონობისთვის. შევძელით უეფას თასზე გასვლა. თუმცა ახლა ჩვენი ამბიციების დასაკმაყოფილებლად უეფას თასის საგზური საკმარისი არაა, ჩემპიონები უნდა გავხდეთ. საერთოდ, ვფიქრობ, სადაც ამბიციაა, იქ პროგრესია. მეც ასევე ვარ, სპორტული ამბიცია მაქვს და ამას ჩემს ფეხბურთელებსაც ვუზიარებ.

— როცა ავტომანქანა, ძველი იქნება თუ ახალი, 10 ათასს კილომეტრს გაივლის, აუცილებელია ნაწილების გამოცვლა, რომ მერე შუა გზაზე არ გიმტყუნოს. ასევეა გუნდიც „დინამოში" ჩემი მოსვლის შემდეგ ვინც ვერ გამოიჩინა თავი, ვინც ჩვენს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, გუნდთან განშორება მოუწევს. ზაფხულში დავიმატეთ ახალაია, კვირკველია, სამხარაძე, ახლახან შემოგვიერთდა ალექსიძე. ალბათ, დამეთანხმებით, ამ ბიჭებმა გუნდი გააძლიერეს. ალექსიძემ უკვე დაამტკიცა, რომ „დინამოსთვის" მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. გუნდში კვლავაც მოვლენ ახალი ფეხბურთელები და მათ მიეცემათ თავის გამოჩენის საშუალება. ხოლო ვინც ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა, ვიმეორებ, გუნდს დაემშვიდობება.

*გია ფირცხალავა:*

— გუნდმა უკვე წარმოაჩინა თავის შესაძლებლობები და აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ „დინამოში" თამაშის სურვილი ძალიან ბევრს აქვს. როცა შეკრებაზე წავალთ, ჩვენთან უცხოელი ფეხბურთელებიც ჩამოვლენ გასინჯვაზე მწვრთნელი მათ საქმეში ნახავს. ვისაც გამოსადეგად ჩათვლის, ის „დინამოში" ითამაშებს.

*ივო შუშაკი:*

— ლადო ბურდულზე ყველას საკუთარი აზრი აქვს. ვითვალისწინებ თქვენს შეხედულებას, თუმცა ვერ დაგეთანხმებით, რომ ლადოს პროგრესი არ ეტყობა. ის „დინამოსთვის" ძალიან სასარგებლო, მნიშვნელოვანი ფიგურაა. ბოლო ხანია, ბურდულით ბევრი ცნობილი გუნდია დაინტერესებული, თუმცა ყველამ იცის, „დინამო" არ გაყიდის მას. მომავალ დეკემბრამდე გუნდის ბირთვზე მოთხოვნა ნუ იქნება. ჩვენი ფეხბურთელები ბევრ კლუბს სურს, მაგრამ „დინამო" არ ვაჭრობს.

— „დინამოში" ასეა: კონკრეტული მატჩისთვის ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად, ტექნიკურ-ტაქტიკურად ვინც უკეთ არის მზად, მოედანზეც მას ხედავთ. „დინამოში" სახელის გამო ვერავინ ითამაშებს, ძალაა მთავარი. ოთარ ხიზანეიშვილი რუსულ „როსტსელმაშში" ან თვითონ აკლებდა თავს ყურადღებას, ანაც გუნდი არ ითხოვდა მისგან პოტენციის გამოვლენას. თანაც ეს ბიჭი ტრავმებისგან დაიტანჯა, შვიდი თვე მკურნალობდა და როცა გამოჯანმრთელდა, იმ დღესვე არა, მაგრამ მალევე მივეცი თავის გამოჩენის საშუალება. მან გაამართლა, შანსი გამოიყენა, კმაყოფილი ვარ. არც სახვაძე-ვაშაკიძით ვარ უკმაყოფილო. ისინი მონდომებულები არიან და სურთ, ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდნენ. იმ ფეხბურთელს გუნდში წუთითაც არ გავაჩერებ, ვინც სათადარიგოობას შეეგუება და ამით კმაყოფილი იქნება. „დინამოს" ასეთი ფეხბურთელები არ სჭირდება.

**კობა ინასარიძე**

# მწვრთნელთა საყურადღებოდ: იჩქარეთ დასავლეთის მქსპრესზე!

## საბლონმა B დაარიგა და საქართველო საერთო ევროპულ სახლში დაპატიჟა



გაიოზ დარსაძე



მიშელ საბლონი



ემზარ ზენაიშვილი

**რამ გააჩშირა** ბოლო დროს თბილისში საცობები?

ფეხით თუ ნებისმიერი მიწისზედა ტრანსპორტით მოსიარულეთათვის ამ აქტუალურ შეკითხვას ყველანი თავისებურად პასუხობენ, მათ შორის, ასეც: სამარშრუტო ტაქსებზე მეტისმეტად ბევრი ლიცენზიაა გაცემული.

რამ გაახშირა დღევანდელ ქართულ ფეხბურთში არაკვალიფიციური მწვრთნელი?

პასუხი აქაც ნაირგვარია, მათ შორის, ასეთიც: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ლიცენზირებულ მწვრთნელთა რაოდენობა ჯერჯერობით მცირე და აშკარად არასაკმარისია.

ერთი სიტყვით, ლიცენზირების საკითხი საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო სამყაროს თითქმის ერთნაირად აღელვებს: ზოგან ლიცენზია პრობლემის მოგვარების გარდაუვალი გზაა, ზოგან კი ბევრი პრობლემის სათავე, ოღონდ არა ფეხბურთში. მით უმეტეს, თუ უეფას მიერ წამოწყებული კლუბთა ლიცენზირების აუცილებლობასაც გავიხსენებთ.

წელიწადნახევარში ევროთასებზე მონაწილეობის ნებისმიერ მსურველს, სამერმისოდ კი სულაც რაგინდარა უმაღლესლიგელს, მოზარდთა, სულ მცირე 3 ასაკობრივი გუნდი უნდა ჰყავდეს, თითოეულ გუნდს კი აუცილებლად უეფას ლიცენზირებული სპეციალისტი წვრთნიდეს.

ლიცენზირებულ მწვრთნელთა გარდაუვალი რაოდენობა დღევანდელი უმაღლესი ლიგის თარგზე რომ გავთვალოთ და მათ უძლიერესთა ლიგის კიდევ 3 საგზურმაძიებელიც წავამატოთ, მინიმუმ 45 გამოვა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ლიცენზიანტთა ერთი ნაწილი ამ გუნდებში მთავარ მწვრთნელებად მუშაობენ, ულიცენზიო მწვრთნელებს კი ნელ-ნელა ბავშვთა საფეხბურთო სკოლებშიც დაეკეტებათ კარი, კვალიფიციური კადრების ნაკლებობას თვალნათლივ დავინახავთ.

გამოსავალი მხოლოდ სწავლაშია, მაგრამ სფფ-ს მწვრთნელთა განათლების მუდმივმოქმედ კურსებს წელიწადში მაქსიმუმ 50 მსმენელი შეიძლება ჰყავდეს.

2-იდან 27 დეკემბრამდე სფფ „ლოკომოტივის" სტადიონის საკონფერენციო დარბაზში სწავლასმოწყურებულთა საკმაოდ გრძელი რიგის თავში მდგომ 25 მწვრთნელს მასპინძლობს. ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას და ვიცე-პრეზიდენ რომან შოთაძის თაოსნობით მათთვის უეფას ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუქტორი, ფიზმომზადების ინგლისელი სპეციალისტი როჯერ სპრაი რომ სტუმრობდა თბილისს, ამაზე ადრეც ვწერდით.

გუშინ კი სწორედ ახლადნელ მსმენელთა თვალწინ, ძველი, საზაფხულო ნაკადის მონაწილეებს გადაეცათ „B" კატეგორიის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ეს მისია ბელგიის ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკურმა დირექტორმა და უეფას ტექნიკურ დეპარტამენტში საქართველოს კურატორმა მიშელ საბლონმა იტვირთა.

— ხუმრობით თუ ვიტყვი, საქართველო იმიტომ ავირჩიე, რომ აქ პირველად არ ვარ და ვიცი, თქვენთან კარგი დარია ხოლმე, მაგრამ, ამინდი ცვალებადი რამაა. სერიოზულად კი თბილისში ჩემი ჩამოსვლა აქაური ფეხბურთის ფედერაციის მნიშვნელოვანმა ნაბიჯმა განაპირობა. საქართველოს მწვრთნელთა ურთიერთაღიარების კონვენციაში გაერთიანება სურს, და ამ ეტაპზე „B" ლიცენზიის დონის დასაკმაყოფილებლად იღწვის. უეფამ ჯერ სფფ-ს ეს განაცხადი უნდა დაამტკიცოს, მერე კი ალბათ საქართველო „A" კატეგორიის მოპოვებასაც მოინდომებს.

აღსანიშნია, რომ ჩემი შარშანდელი ვიზიტის ფონზე წინსვლა აშკარაა, რადგან დასაწყისი, როგორც დანარჩენებისთვის, ისე თქვენი ქვეყნისთვის, რთული გამოდგა.

ჩვენი მიზანია, ქვეყნის ფედერაციის მიერ გაცემული ლიცენზია მთელი ევროპისთვის საერთო იყოს. შესაბამისად, მწვრთნელთა შეფასების საერთო კრიტერიუმები ძალიან მაღალი დონისაა.

ის შრომა, რაც ბოლოხანს გაიოზ დარსაძემ გასწია, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაფასდება. შესაძლოა, ეს 10 წლის შემდეგ მოხდეს, მაგრამ მთავარია, უნაყოფოდ არ ჩაიაროს. ჩემთვის ცნობილია პოსტსაბჭოური ქვეყნების პრობლემები, მაგრამ ბევრი მათგანი შესაძლოა გვიან მიხვდეს, რომ მატარებელმა გაასწრო. საქართველო ცდილობს ევროპულ მატარებელს არ ჩამორჩეს და თუ ფედერაცია სწორ ნაბიჯებს გადადგამს, 2003 წლისთვის კონვენციაში გაერთიანდება.

მწვრთნელთა ურთიერთაღიარების კონვენციაში თქვენი გაწევრიანება კი ნიშნავს, რომ სფფ-ს ლიცენზირებულ ქართველ მწვრთნელებს მალე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში შეეძლებათ ბავშვებთან მუშაობა, ხოლო თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში სამოყვარულო დონეზეც მიუწვდებათ ხელი — განაცხადა მიშელ საბლონმა, რომელმაც ამინდზე ხუმრობა ემზარ ზენაიშვილის ხუმრობითვე ნათქვამს მოაყოლა, ბელგიელმა სტუმარმა სიცივე ჩამოგვიტანაო.

სეოკ-ის გენმდივანი ემზარ ზენაიშვილი გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს წარმოადგენდა:

— საქართველოში არსებული 28 ოლიმპიური სახეობიდან მწვრთნელთა განათლების საკითხი გამორჩეულად მხოლოდ ფეხბურთში დგას. რომ არა, სფფ-ს ძალისხმევა და იმ ადამიანის კვალიფიკაციის მაღალი დონე, ვინც ამ უბანს, მწვრთნელთა ლიცენზირებას ხელმძღვანელობს, ასე არ იქნებოდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა იმედს არ იძლევა, რომ ჩვენ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობას შევძლებთ, მაგრამ ვისურვებდი, რომ თქვენი აღსაზრდელების დახმარებით ამ მიზნისთვის 2008 წლის, პეკინის ოლიმპიადაზე მაინც მივაღწიოს.

გაიოზ დარსაძემ შეფასების ქართულ სისტემაზე ილაპარაკა:

— მინიმალური შეფასება, რომელიც სერთიფიკატს იძლევა, 6 ბალია, წარჩინებულ მსმენელებს კი ლურჯი და წითელი დიპლომებიც გადაეცემათ. უეფას რეკომენდაციით, მწვრთნელი, რომელიც „B" ლიცენზიის გამოცდისას 6 ბალზე მეტ შეფასებას ვერ დაიმსახურებს, „A" კატეგორიაზე სწავლის გაგრძელებას ველარ შეძლებს. ზოგმა კარგად ჩააბარა გამოცდა, ზოგმაც საერთოდ ვერ ჩააბარა და ასეთებს გადაბარების ერთწლიანი ვადა მივეცით.

ჩემი აზრით, მთავარი ლიცენზიის მოპოვება კი არა, აქ მიღებული ცოდნის გამოყენებაა. ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ ჩვენი დახმარებით მოპოვებული მასალები უჯრებში დაიმტვეროს, მუშაობა კი ძველი, ნაცადი მეთოდებით გაგრძელდეს.

შთაბეჭდილებათა გაზიარება ორ წარჩინებულ მსმენელს ვთხოვეთ:

ბესიკ შეროზია, ზუგდიდის „ლაზიკას" მწვრთნელი: „შრომა არ დაკარგულა. რაც აქ ვისწავლე ბიჭებამდე მივიტანე და გუნდი, რომელიც ცარიელი ენთუზიაზმის ხარჯზე მუშაობს, პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერია. ქართულ ფეხბურთს შემთხვევითი ხალხის მუშაობა უკან დახევს, ხოლო თუ ყველა გაიგებს ამ კურსების მნიშვნელობას, მაშინ საერთო საქმე ბევრს მოიგებს".

იოსებ ჭიკაძე, საფეხბურთო სკოლა „იმედის" მწვრთნელი: „მწვრთნელობას ძირითადად ყოფილი ფეხბურთელები შეუდგებიან ხოლმე, მაგრამ ეს ძალიან ბევრს არ ნიშნავს, რადგან მოთამაშეობისას ყველაფერს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევ, ახლა კი სხვაგვარად აფასებ. ჩვენ აქ ზღვა მასალა გავიარეთ, უზარმაზარი გამოცდილება მივიღეთ, რასაც მოედანზე სჭირდება გადატანა. ვეცდები, გავამართლო ფედერაციის და პირადად გაიოზ დარსაძის ნდობა, რომლებმაც ამ კურსებში მონაწილეობის უფლება დამრთეს".

ერთი სიტყვით, იმ მშობელთათვის, ვისაც ბავშვის ფეხბურთზე მიყვანა გადაუწყვეტია და იმ კლუბთათვის, ვისაც 2004-05 წლების ევროთასებზე თამაში ამოუჭრია გულში, აქვე გთავაზობთ, გუშინდელ ლიცენზიანტთა სიას:

იოსებ ჭიკაძე (იმედი), გიორგი ნავროზაშვილი (შევარდენი 1906), მამუკა ლვიტიძე, ბესიკ შეროზია (ლაზიკა, ზუგდიდი), გიორგი ჭიაბრიშვილი (საბურთალო), ავთანდილ ლოლაშვილი (ვაკე-91), ზურაბ გაბათაშვილი (ვაკე-91), ირაკლი ოდიკაძე (ირაო), ლევან გვანცელაძე (ოლიმპი), ვიაჩესლავ მერეჩკო (ნორჩი დინამო), დავით ბერაძე (საბურთალო), რევაზ წერეთელი (შევარდენი), მამუკა აბულაშვილი (მერანი-91), გიორგი ჩოლაჩავა (ავაზა), გიორგი ბუაძე, გიორგი ჯმუხაძე.

**ვახტანგ ბჟიძაძე**



REUTERS ლონდონიდან

ტოტენჰემი — არსენალი. კეისი კელერმა ტიერი ანრი საპენალტედ წააქცია

# ძებნილი და პოლიციელი

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XVIII ტური

**ტოტენჰემი 1:1 არსენალი**

1:0 ციგე (11), 1:1 პირესი (45პ)
ტოტენჰემი: კელერი, ბუნიევიჩევიჩი, კინგი, რიჩარდსი, ციგე, პოიეტი, ანდერტონი (ს. დევისი 71), ფრიდი, კარი, შერინგემი, რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
არსენალი: სიმენი, ლორენი, კოული, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ჯ. ტურე 87), პარლოუ, ჟილბერტო სილვა, პირესი (ვან ბრონკჰორსტი 80), ანრი, ბერგკამპი (ვილტორდი 71)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: კელერი, შერინგემი, ფრიდი, ლორენი, პარლოუ
მსაჯი: ბერი
36 076 მაყურებელი

**სანდერლენდი 2:1 ლივერპული**

1:0 მაკკანი (36), 1:1 ბაროში (68), 2:1 პროქტორი (85)
სანდერლენდი: მაჩო, ს. რაიტი, მაკკარტნი, ბები, ბიორკლუნდი, გრეი (პროქტორი 80), ტირლველი, გ. მაკკანი, კილბეინი, ფლო (მ. სტიუარტი 89), ფილიპსი
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
ლივერპული: კირკლენდი, კარაგერი, ბისკანი (დიუფი 63), ანშო, ტრაორე, დ. მერფი, ჯერარდი, ჰამანი (რიისე 46), შმიცერი (დიაო 72), ოუენი, ბაროში
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: მერფი, კარაგერი
მსაჯი: პელსი
37 118 მაყურებელი

**ფულემი 0:1 ბირმინგემი**

0:1 კიროვსკი (7)
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი (კლარკი 66), გომა, ბრევეტი, ჟეტუ ლეგვინსკი, შ. დევისი, ვომე (ინამოტო 46; უილოკი 52), მალბრანკი, ბოა მორტე
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ბირმინგემი: ვესენი, ტებილი, პარსი, კანინგემი, კენა, დ. ჯონსონი (კუდჯავუზი 75), კიროვსკი (ნ. პაუელი 73), სევიჯი, ა. ჰიუზი, მორისონი, ჰორსფილდი (ბ. ჰიუზი 80)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: მალბრანკი, კლარკი, ბრევეტი, ჯონსონი, ჰორსფილდი, პარსი, კიროვსკი, პაუელი, პარსი, ტებილი, სისე
გაძევება: პარსი (70)
მსაჯი: დურსო
14 962 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ვასელი (16), 1:1 კუმასი (29), 2:1 ჰიცლსპერგერი (90)
ასტონ ვილა: ენკელმანი, ჯ. სამუელი, მელბერგი, იონსენი, სტონტონი, ლეინარდსენი, ჰიცლსპერგერი, ლ. ჰენდრი, ბერი, დაბლინი, ვასელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, სიგურდსონი, დ. მური, გრიგენი, ბალიზი, კუმასი, მაკინესი, ე. ჯონსონი, კლემენტი, ბ. ჰიუზი (დიჩიო 58), რობერტსი (დობი 84)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: სამუელი, სტონტონი, ჰენდრი, კუმასი
მსაჯი: დინი
40 391 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:2 მანჩესტერ სიტი**

1:0 იუელი (5პ), 2:0 იენსენი (63), 2:1, 2:2 ფოე (73, 87)
ჩარლტონი: დ. კელი, იანგი, უფუსი, ფიში, როუეტი, კ. პაუელი (კონჩესკი 90), კიშიშევი (კ. იენსენი 46), პარკერი, იუელი, ლისბი, ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, რ. დანი, ჰაუი (ბენარბია 72), დისტინი, ჟიბაი, ტიატო, ბერკოვიჩი, ფოე, ჰორლოკი, ანელკა, გოტერი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: იუელი, პარკერი, ჰორლოკი
მსაჯი: პაფი
26 434 მაყურებელი

**ევერტონი 2:1 ბლექბერნი**

0:1 კოული (6), 1:1 კარსლი (12), 2:1 რუნი (25)
ევერტონი: რ. რაიტი, ჰაიბერტი (პისტონე 90), იობო, სტაბსი, ანსუორთი, კარსლი, ტიე (ვეირი 64), გრავესენი, ნეისმიტი, კ. კემპბელი, რუნი (რაძინსკი 90)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი, მ. ტეილორი, მაკიველი (გილესპი 46), ტომპსონი, ფლიტკროფტი (ნ. იოჰანსონი 76), თუგაი, დაფი, იორკი, ენდი კოული
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ჰაიბერტი, ნაილი, გილესპი, ნაილი
გაძევება: ნაილი (74)
მსაჯი: ბარბერი
36 578 მაყურებელი

**მანჩესტერი 3:0 ვესტ ჰემი**

1:0 სოლსკიაერი (15), 2:0 ვერონი (17), 3:0 შემელი (68ა.კ.)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, უესლი ბრაუნი, სილვესტრი, ოში (ბლანი 73), სოლსკიაერი (ბექემი 46), ვერონი, ფ. ნევილი, გიგზი, სქოულზი (ფორლანი 73), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, მინტო (ბრინი 89), რეპკა, დეილი, შემელი, ტ. სინკლერი, კარიკი, ლომასი (მონკუ 85), ჯ. კოული, დეფო, ი. პირსი
მწვრთნელი: გლენ როედერი
გაფრთხილება: რეპკა
მსაჯი: სტაილზი
67 555 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 ჩელსი**

1:0 ჯერემი (32), 1:1 ტერი (42)
მიდლსბრო: შვარცერი, კუდრუ, ეჰიოგუ, საუთგეიტი, პარნაბი, ბოატენგი, გრინინგი, ჯერემი, ნემეტი, მაკარონე (უილანი 46), ბოკშიჩი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიორტი, გალასი, ტერი, ლე სო, გრონკიაერი (დე ლუკასი 73), ლამპარდი, ე. პეტი, სტანიჩი (ზენდენი 67), ძოლა, ჰასელბაინკი (გუდიონსენი 83)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: პეტი
მსაჯი: მესიასი
29 160 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:1 ნიუკასლი**

0:1 ბელამი (50), 1:1 მარსდენი (52)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ბრიჯი, მაიკლ სვენსონი, ლუნდეკვამი, ტელფერი, ფ. ფერნანდესი, დელაპი, ა. სვენსონი, მარსდენი, ბიტი, ორმეროდი (ტესემი 64)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, კოლდუელი, ობრაიენი, ა. ჰიუზი, დაიერი, სპიდი, ჯენასი, რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: დოუდი
32 061 მაყურებელი

**ბოლტონი — ლიდსი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

ისევ როგორც ბევრ ამერიკულ ფილმში: დალლილი ძებნილი გარბის და მას პოლიციელი მისდევს. არც ძებნილია ცუდი ბიჭი და პოლიციელი ხომ საერთოდ გადასარევი. ის ძებნილი სულაც არ არის ძებნილი, უბრალოდ ასე გამოვიდა, მაგრამ პოლიციელის საქმე მისი დევნაა.

საშობაოდ რაღაც მოხდება, რადგან სწორედ ასე მისდევს „მანჩესტერი" „არსენალს". მათ შორის სხვაობა ერთი ქულაღაა, მას შემდეგ, რაც „მანჩესტერმა" იოლად მოუგო „ვესტ ჰემს", ხოლო „არსენალმა" მღელვარე ფრე მოახერხა „უაით ჰართ ლეინზე", ჩრდილოლონდონურ დერბიში.

ამასობაში „მიდლსბრო" დარჩა გუნდად, რომელსაც წლეულს შინ არ წაუგია, რამაც ის გამოიწვია, რომ ბოროს „რივერსაიდზე" სტუმრად მყოფი „ჩელსი" მესამე ადგილზე ჩავარდა, თუმცაღა, გამარჯვების შემთხვევაში ლიდერობა შეეძლო. მეტიც იყო: მსაჯებმა ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს ჰილარდ ნემეტს და რანიერის გუნდი წაგებას გადაურჩა.

თავისი კარიერის ყველაზე ცუდი თვე უწოდა „ლივერპულის" თავს დატრიალებულ კოშმარს მენეჯერმა ჟერარ ულიემ. „ლივერპულმა" კვლავ წააგო, მეოთხედ ბოლო ხუთ შეხვედრაში. მერსისაიდელთა მესაფლავე გამოდგა სანდერლენდშივე დაბადებული მაიკლ პროქტორი, რომელიც ხუთი წუთის შესული იყო მოედანზე, თამაშის დამთავრებამდე კი ასევე ხუთი წუთი რჩებოდა. „სანდერლენდს" 1958 წლის შემდეგ არ მოუგო საშინაო მატჩი „ლივერპულისთვის". ამას კი ისიც დაუმატეთ, რომ ირჟი დუდეკის შემცვლელმა კრის კირკლენდმა მე-60 წუთზე პენალტი აუღო გევინ მაკკანს, რომელმაც მანამდე გოლით გამოიჩინა თავი.

რა უხარიათ ლივერპულის სხვა უბანში და ის, რომ „ევერტონი" „ლივერპულზე" წინაა ცხრილში. დევიდ მოიესის გუნდმა ორი ზედიზედი მარცხის შემდეგ შინ „ბლექბერნი" დაამარცხა, თანაც ისე, რომ თამაშის დასაწყისშივე აგებდა ენდი კოულის მონდომების წყალობით. საერთოდ კი, შეხვედრის სამივე გოლი თამაშის პირველ 25 წუთში გავიდა. ამ სეზონში მესამედ კი გამარჯვების გოლი კვლავ ყრმა ვარსკვლავმა, უეინ რუნიმ გაიტანა, რომელიც 22 სექტემბრის შემდეგ პირველად იყო სასტარტოში.

„ნიუკასლმა" კი გამოსცადა, რომ „საუთჰემპტონი" ის გუნდი აღარ არის, შენს ნებაზე რომ გაათამაშებ. ფრე „სენტ მერის" სტადიონზე თამაშის ორწუთიან მონაკვეთში გატანილი გოლების წყალობით.

„სიტიმ" მარკ ვივიენ ფოეს დუბლით ქულა აგლიჯა „ჩარლტონს". ფოემ წინა შაბათს გაიტანა თავისი პირველი სიტიური გოლი და, ეტყობა, მადა გაეხსნა. თავისი პირველი პრემიერლიგური გოლი შეაგდო „ბირმინგემის" ამერიკელმა იოვან კიროვსკიმ. ამ გოლმა კი საშინაო მატჩში დასცა „ფულემი".

„ოლდ ტრეფორდზე" ხუან ვერონის რბილ და ლამაზ საჯარიმო დარტყმას ტაშისცემით ფეხზე წამოუდგა ტრიბუნაზე მჯდარი დევიდ ბექჰემი. ისიც და როი კინიც მომავალ კვირაში გამოვლენ სასტარტოში, თუმცა საათივით აწყობილ „მანჩესტერის" ამ შემადგენლობას რამდენად სჭირდებიან, ძნელი სათქმელია.

ხუმრობა იქეთ იყოს, რადგან სახუმარო არაფერი იყო „უაით ჰართ ლეინზე", სადაც „ტოტენჰემი" მაგრად დაუხვდა თავის უპირველეს მეტოქეს. სეზონის პირველ შეხვედრაში „არსენალმა" 3:0 დაამარცხა გლენ ჰოდლის გუნდი, მაგრამ ახლა საქმე სხვანაირად იყო. დევიდ სიმენმა დასაწყისშივე აიღო ერთი მკვდარი ბურთი, მერე კი ეშლი კოულმა ორჯერ გამოიტანა ცარიელი კარიდან. „ტოტენჰემმა" მაინც გახსნა ანგარიში: სოლ კემპბელმა გას პოიეტი მოცელა და კრისტიან ციგემ შორიდან ჩაუსვა სიმენს. „მეთოფეთაგან" ყველას სჯობდა ტიერი ანრი, რომელსაც კარგად ელობებოდა მასპინძელთა მეკარე კეისი კელერი. მაგრამ ტაიმის მიწურულს კელერს ნერვებმა უმტყუნა. საჯარიმოს კუთხეში გამოუვარდა ანრის, ამან კი დიდი პროფესიონალიზმით დასტყუა პენალტი, რომელიც რობერ პირესმა გამოიყენა. მეტი გოლი აღარ გასულა, თუმცა რობი კინსა და პოიეტს მეორე ტაიმში ანგარიშის შეცვლა შეეძლოთ.

„ამ შედეგით კმაყოფილი ვარ" — თქვა არსენ ვენგერმა თამაშის შემდეგ. ვითომ?

პოლიციელი ახლოსაა, ძალიან ახლოს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 18 | 11 | 3 | 4 | 37:20 | 17 | 36 | 9 | 8 | 0 | 1 | 22:8 | 14 | 24 | 9 | 3 | 3 | 3 | 15:12 | 3 | 12 |
| 2 მანჩესტერი | 18 | 10 | 5 | 3 | 30:17 | 13 | 35 | 10 | 8 | 1 | 1 | 19:6 | 13 | 25 | 8 | 2 | 4 | 2 | 11:11 | 0 | 10 |
| 3 ჩელსი | 18 | 9 | 7 | 2 | 32:15 | 17 | 34 | 8 | 5 | 2 | 1 | 17:6 | 11 | 17 | 10 | 4 | 5 | 1 | 15:9 | 6 | 17 |
| 4 ევერტონი | 18 | 10 | 2 | 6 | 22:21 | 1 | 32 | 9 | 6 | 2 | 1 | 14:9 | 5 | 20 | 9 | 4 | 0 | 5 | 8:12 | -4 | 12 |
| 5 ლივერპული | 18 | 9 | 4 | 5 | 28:19 | 9 | 31 | 9 | 5 | 3 | 1 | 15:7 | 8 | 18 | 9 | 4 | 1 | 4 | 13:12 | 1 | 13 |
| 6 ნიუკასლი | 17 | 9 | 2 | 6 | 27:24 | 3 | 29 | 8 | 7 | 0 | 1 | 16:6 | 10 | 21 | 9 | 2 | 2 | 5 | 11:18 | -7 | 8 |
| 7 ტოტენჰემი | 18 | 8 | 4 | 6 | 24:24 | 0 | 28 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:9 | 6 | 20 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:15 | -6 | 8 |
| 8 საუთჰემპტონი | 18 | 7 | 6 | 5 | 21:18 | 3 | 27 | 10 | 5 | 5 | 0 | 15:7 | 8 | 20 | 8 | 2 | 1 | 5 | 6:11 | -5 | 7 |
| 9 მიდლსბრო | 18 | 7 | 5 | 6 | 22:16 | 6 | 26 | 10 | 6 | 4 | 0 | 18:8 | 10 | 22 | 8 | 1 | 1 | 6 | 4:8 | -4 | 4 |
| 10 ბლექბერნი | 18 | 6 | 6 | 6 | 24:22 | 2 | 24 | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 2 | 12 | 9 | 3 | 3 | 3 | 11:11 | 0 | 12 |
| 11 ჩარლტონი | 18 | 7 | 3 | 8 | 20:22 | -2 | 24 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:14 | -2 | 11 | 9 | 4 | 1 | 4 | 8:8 | 0 | 13 |
| 12 სიტი | 18 | 7 | 3 | 8 | 22:25 | -3 | 24 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:14 | -3 | 11 |
| 13 ბირმინგემი | 18 | 6 | 5 | 7 | 17:21 | -4 | 23 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 1 | 11 | 10 | 3 | 3 | 4 | 8:13 | -5 | 12 |
| 14 ფულემი | 18 | 6 | 4 | 8 | 22:23 | -1 | 22 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:9 | 4 | 17 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:14 | -5 | 5 |
| 15 ასტონ ვილა | 18 | 6 | 4 | 8 | 17:18 | -1 | 22 | 10 | 6 | 1 | 3 | 15:8 | 7 | 19 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:10 | -8 | 3 |
| 16 ლიდსი | 17 | 5 | 2 | 10 | 20:25 | -5 | 17 | 8 | 2 | 0 | 6 | 8:13 | -5 | 6 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:12 | 0 | 11 |
| 17 სანდერლენდი | 18 | 4 | 5 | 9 | 10:24 | -14 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 6:11 | -5 | 10 | 9 | 1 | 4 | 4 | 4:13 | -9 | 7 |
| 18 ვესტ ბრომვიჩი | 18 | 4 | 3 | 11 | 13:27 | -14 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 11 | 10 | 1 | 1 | 8 | 7:19 | -12 | 4 |
| 19 ბოლტონი | 16 | 3 | 5 | 8 | 18:28 | -10 | 14 | 8 | 1 | 5 | 2 | 9:10 | -1 | 8 | 8 | 2 | 0 | 6 | 9:18 | -9 | 6 |
| 20 ვესტ ჰემი | 18 | 3 | 4 | 11 | 17:34 | -17 | 13 | 9 | 0 | 3 | 6 | 7:14 | -7 | 3 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:20 | -10 | 10 |

## პირველი დივიზიონი

### XXII ტური

**დერბი კაუნთი 1:0 ბრაიტონი**

1:0 ჰიგინბოთემი (30პ)
დერბი კაუნთი: გრანტი, უ. ბარტონი, რიგოტი (ევატი 90), ელიოტი, ჰიგინბოთემი (მილსი 46), ბოერტიენი, ბარლი, ლი (მიურეი 46), მორისი, კრისტი, მაკლეოდი
*გიორგი კინკლაძე სათადარიგო იყო*
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
25 786 მაყურებელი

**ბრედფორდი 1:0 ნოტინგემი**

1:0 მოლენაარი (42)

**ბარნსლი 2:6 როტერჰემი**

0:1 ლი (12), 0:2, 0:3 მულინი (27, 30), 0:4 ლი (59), 1:4, 2:4 დევისი (67, 78), 2:5, 2:6 ბიფილდი (84, 89)

**კრისტალ პალასი 2:0 ნორვიჩი**

1:0 ადებოლა (6), 2:0 ბლეიქი (27)

**იფსვიჩი 4:2 უოტფორდი**

1:0 მილერი (23), 2:0 ნეილორი (40), 2:1 სმიტი (50), 3:1 კუნაგო (67), 3:2 კოქსი (75), 4:2 ბენტი (87)

**ლესტერი 4:1 მილუოლი**

0:1 კლარიჯი (1), 1:1 სკოუკროფტი (10), 2:1 ელიოტი (25), 3:1 სკოუკროფტი (52), 4:1 დიკოვი (78)

**პრესტონი 3:0 გრიმსბი**

1:0 ალექსანდერი (12), 2:0 კრისველი (26), 3:0 შელი (59)

**რედინგი 0:2 შეფილდ იუნაიტედი**

0:1 ჰარლი (59), 0:2 უინდასი (76)

**შეფილდ უენსდი 0:2 ჯილინგემი**

0:1 უოლესი (5), 1:1 სმიტი (74)

**სტოკი 1:1 პორტსმუთი**

1:0 გუნარსონი (34), 1:1 ქროუჩი (74)

**უოლსოლი 2:0 უიმბლდონი**

1:0 ვრაკი (11), 2:0 ხუნიორი (62)

**ვულვერჰემპტონი 0:2 ქოვენთრი**

0:1 მაკალისტერი (8), 0:2 პარტრიჯი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 23 | 16 | 5 | 2 | 47:21 | 53 |
| ლესტერი | 23 | 14 | 6 | 3 | 37:21 | 48 |
| ნოტინგემი | 23 | 11 | 6 | 6 | 38:22 | 39 |
| ნორვიჩი | 23 | 11 | 6 | 6 | 34:20 | 39 |
| შეფილდი | 22 | 11 | 6 | 5 | 35:24 | 39 |
| რედინგი | 22 | 12 | 3 | 7 | 24:16 | 39 |
| ვულვზი | 22 | 10 | 6 | 6 | 39:23 | 36 |
| როტერჰემი | 23 | 9 | 7 | 7 | 40:28 | 34 |
| უოტფორდი | 23 | 10 | 4 | 9 | 29:36 | 34 |
| კრ. პალასი | 23 | 8 | 9 | 6 | 34:26 | 33 |
| დერბი | 23 | 10 | 3 | 10 | 28:28 | 33 |
| ქოვენთრი | 23 | 9 | 6 | 8 | 29:30 | 33 |
| ბარნსლი | 23 | 9 | 5 | 9 | 33:40 | 32 |
| პრესტონი | 23 | 7 | 10 | 6 | 40:38 | 31 |
| უიმბლდონი | 23 | 9 | 4 | 10 | 38:38 | 31 |
| ჯილინგემი | 23 | 8 | 7 | 8 | 26:29 | 31 |
| მილუოლი | 23 | 8 | 5 | 10 | 24:35 | 29 |
| უოლსოლი | 23 | 8 | 4 | 11 | 36:38 | 28 |
| იფსვიჩი | 22 | 7 | 6 | 9 | 30:28 | 27 |
| ბრედფორდი | 23 | 5 | 7 | 11 | 23:41 | 22 |
| გრიმსბი | 23 | 4 | 5 | 14 | 24:47 | 17 |
| სტოკი | 23 | 3 | 7 | 13 | 23:41 | 16 |
| ბრაიტონი | 23 | 3 | 5 | 15 | 22:42 | 14 |
| უენსდი | 23 | 2 | 8 | 13 | 17:38 | 14 |

## მეორე დივიზიონი

22-ე ტური: ბრენტფორდი — ჩესტერფილდი 2:1; ქრიუ — ბარნსლი 2:0; ჰადერსფილდი — სტოკპორტი 2:1; ლუთონი — კოლჩესტერი 1:2; მენსფილდი — ბლეკპული 4:0; ნორთჰემპტონი — ტრანმერი 0:4; ნოტსი — ქუინზ პარკი 3:0; ოლდემი — უიგანი 0:2; პიტერბრო — ჩელტენემი 4:1; პლიმუთი — სუინდონი 1:1; უიკომბი — პორტ ვეილი 3:1; კარდიფი — ბრისტოლი 0:2

## მესამე დივიზიონი

21-ე ტური: როჯერსი — ოქსფორდი 0:2; კარლაილი — რექსემი 1:2; ექსეტერი — სუონსი 1:0; ჰალი — დარლინგტონი 0:1; კიდერმინსტერი — იორკი 1:2; ლეიტონი — ტორკი 2:0; ლინკოლნი — კემბრიჯი 2:2; მაკლსფილდი — რაშდენი 0:1; როჩდეილი — ჰარტლპული 4:0; სკანთორპი — ბერი 0:1; შრიუსბერი — ბორნმუთი 0:0; საუთენდი — ბოსტონი 4:2

### XIX ტური

**21 დეკემბერი**

არსენალი — მიდლსბრო
ვესტ ჰემი — ბოლტონი
ბირმინგემი — ჩარლტონი
ბლექბერნი — მანჩესტერი
ჩელსი — ასტონ ვილა
ლიდსი — საუთჰემპტონი
ნიუკასლი — ფულემი
ვესტ ბრომვიჩი — სანდერლენდი

**22 დეკემბერი**

ლივერპული — ევერტონი

**23 დეკემბერი**

მანჩესტერ სიტი — ტოტენჰემი

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 11 |
| შირერი (ნიუკასლი) | 10 |
| ძოლა (ჩელსი) | 9 |
| ანრი (არსენალი) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| ვილტორდი (არსენალი) | 8 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 8 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 8 |



ლევერკუზენი — ნიურნბერგი. დიეგო პლასენტე ნიურნბერგელ კაკაუს ზურგზე დაახტა

# მაგათი შტუტგარტიც ყოფილა

## ფელიქსის ფენიქსური და მერსედესის ფოლკსვაგენური

### გერმანია

**ბუნდესლიგა. XVII ტური**

**კაიზერსლაუტერნი 2:1 ჰერტა**

1:0 ლოკვენცი (28), 1:1 დარდაი (64), 2:1 მ. კობი (87პ)

კაიზერსლაუტერნი: გ. კობი, მ. კობი, ტ. კლოსი, მ. რამზი, რიდლი, სფორცა, ანფანგი (ბიელიცა 71), ტიმი (კლოზე 46), დომინგუში (აჯიჩი 81), ლოკვენცი, ლინკოლნი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, რემერი, ვან ბურიკი, ნენე (შმიდტი 77), დარდაი, ბაინლიხი, ჰარტმანი, გოორი (პინტუ 68), მარსელინიო, ლუიზაო (პრეეცი 83)

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

გაფრთხილება: დომინგუში, ჰარტმანი

მსაჯი: მაიერი

34 142 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:2 შტუტგარტი**

0:1 შნაიდერი (35), 0:2 მეირა (55), 1:2 მარინო (76პ)

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი (პრეგერი 73), მადსენი, შნოორი (ვაიზერი 73), რაუ (მუნტიანუ 55), კარჰანი, აკონორი, ეფენბერგი, პონტე, ტ. პეტროვი, ტ. მარინო

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, თ. შნაიდერი, ბორდონი, გერბერი, მეირა, მაისნერი (რუნდიო 17), ამანატიდისი (ბალაკოვი 46), გლები (ტიფერტი 62), ზაიცა, კურანი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: პონტე, შნოორი, პეტროვი, გერბერი, რუნდიო, ბორდონი

მსაჯი: მერკი

24 147 მაყურებელი

**კოტბუსი 0:4 დორტმუნდი**

0:1 კოლერი (8), 0:2 ევერტონი (47), 0:3 ამოროზო (82), 0:4 კოლერი (90)

კოტბუსი: ლენცი, კალუჟნი, როზგონი, და სილვა, ლიოვი, რეგეკამპფი (იუნგნიკელი 65), ტიელმანი (მრიოტერი 65), კობილანსკი (გებჰარდტი 52), ლატუნდე, ტოპიჩი, იუხკოვიაკი

მწვრთნელი: ედუარდ გაიერი

დორტმუნდი: ლემანი, ვოორნსი, მეცელდერი, ჰაინრიხი (მადუნი 57), დედე, შ. როიტერი, ფრინგსი, კელი (როსიცკი 45), ევერტონი (ამოროზო 78), რიკენი, კოლერი

მწვრთნელი: მათიას ზემერი

გაფრთხილება: კალუჟნი, რეგეკამპფი, გებჰარდტი, კელი

მსაჯი: კემლინგი

13 195 მაყურებელი

**ლევერკუზენი 0:2 ნიურნბერგი**

0:1 ჩირიჩი (58), 0:2 ჟუნიორი (88)

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, რამელო (ბრდარიჩი 85), ჟუანი, ჟივკოვიჩი, პლასენტე, ბალიტში, ბ. შნაიდერი, ბაშთურქი, ნოივილი, ბიროფკა (შიმაკი 63), ბერბატოვი (ფრანცა 53)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი

ნიურნბერგი: კამპა, ვოლფი, პეტკოვიჩი, ნიკლი, პოპოვიჩი, ლარსენი, იაროლიმი (ფრაი 88), ტოდოროვიჩი (ჟუნიორი 58), ლ. მიულერი, კაკაუ, ს. ჩირიჩი (პასლაკი 84)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ბერბატოვი, პლასენტე, ბაშთურქი, ბალიტში, ჟივკოვიჩი, შნაიდერი, ვოლფი, ლარსენი

მსაჯი: კინჰოფერი

22 500 მაყურებელი

**ბოხუმი 1:1 მიუნხენი**

0:1 ლაუტი (14), 1:1 კრისტიანსენი (76)

ბოხუმი: ვანდერი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, მაიხელბეკი (რაისი 74), შინდცილორცი, გუდიონსონი (ბემბენი 81), ფრაიერი, კრისტიანსენი, გრაულუნდი (ველარდი 65), ჰაშემიანი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

მიუნხენი: იენზი, ჩერნი, ელერსი, ვოტავა, ჰოფმანი, მაიერი, შტრანცლი (პიურკი 74), ვაისენბერგერი, ჰესლერი (ბორიმიროვი 65), შროტი, ლაუტი

მწვრთნელი: პეტერ პაკულტი

გაფრთხილება: გრაულუნდი, მაიხელბეკი, ჰესლერი, ჩერნი, შტრანცლი

მსაჯი: ფანდელი

18 229 მაყურებელი

**ჰანზა 0:0 ჰამბურგი**

ჰანზა: შობერი, ვიმერი (ჰანსენი 53), კოვარი, ჰილი, მაული, ადუბე (პერსონი 65), ლანცი, ვიბრანი, მეგლე, პრიკა (ვორბეკი 59), არვიდსონი

მწვრთნელი: არმინ ვეჰი

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, იუჟფალუში, ჰერბი, ფუკალი, ჰოლერბახი, მალტრიცი, ბარდოზო (ვიკი 68), ბენჯამინი, მაჰდავიკია, კიცბიხლერი, კრისტენსენი (მაინცი 68)

მწვრთნელი: კურტ იარა

გაფრთხილება: ვორბეკი, ბენჯამინი, ჰოლერბახი

მსაჯი: ვაგნერი

21 400 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:0 არმინია**

ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ზურავი, შულერი, ლალა, ხაიმე (კოლმენერო 69), შტეფული, კრუპნიკოვიჩი (ნდიაიე 79), შტენდელი (სტაინერი 61), ბობიჩი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

არმინია: ჰაინი, ჰანსენი, რაინჰარდტი, ბოგუში, დაბროვსკი, კაუფი, დამაიერი, ბრინკმანი (პორკელიო 87), მურავსკი, ვატა (დიაბანგი 46), ვიშნიარეკი (ბა 85)

მწვრთნელი: ბენო მიოლმანი

გაფრთხილება: კონსტანტინიდისი, ჩერუნდოლო, დიაბანგი

მსაჯი: შიპელი

27 962 მაყურებელი

**ვერდერი 2:0 მიონხენგლადბახი**

1:0 დაუნი (14), 2:0 აილტონი (58)

ვერდერი: ბორელი, ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, სტალტერი, ფ. ერნსტი, სკრიპნიკი, ლისტეში (ბანოვიჩი 55), მიკუ, დაუნი (კლასნიჩი 73), აილტონი (ხარისტიასი 83)

მწვრთნელი: თომას შააფი

მიონხენგლადბახი: მელკა, პლეტში, ვიტეჩეკი (კეტელაერი 64), შტრასერი, ებერლი, ჰაუსვაილერი, ემბერსი, ულიხი, დემო (კუნცელი 73), აიდოო, სკუბო

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

გაფრთხილება: ბაუმანი, აიდოო

მსაჯი: კესლერი

32 188 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 17 | 12 | 3 | 2 | 36:14 | 22 | 39 | 9 | 7 | 2 | 0 | 24:9 | 15 | 23 | 8 | 5 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 16 |
| 2 დორტმუნდი | 17 | 9 | 6 | 2 | 28:13 | 15 | 33 | 8 | 4 | 4 | 0 | 12:6 | 6 | 16 | 9 | 5 | 2 | 2 | 16:7 | 9 | 17 |
| 3 ვერდერი | 17 | 10 | 3 | 4 | 34:27 | 7 | 33 | 9 | 7 | 1 | 1 | 22:12 | 10 | 22 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:15 | -3 | 11 |
| 4 შალკე | 17 | 7 | 7 | 3 | 21:14 | 7 | 28 | 8 | 3 | 4 | 1 | 10:6 | 4 | 13 | 9 | 4 | 3 | 2 | 11:8 | 3 | 15 |
| 5 შტუტგარტი | 17 | 7 | 6 | 4 | 27:22 | 5 | 27 | 8 | 4 | 3 | 1 | 15:8 | 7 | 15 | 9 | 3 | 3 | 3 | 12:14 | -2 | 12 |
| 6 მიუნხენი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:24 | 1 | 25 | 8 | 4 | 2 | 2 | 14:10 | 4 | 14 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:14 | -3 | 11 |
| 7 ჰამბურგი | 17 | 7 | 4 | 6 | 21:23 | -2 | 25 | 8 | 5 | 2 | 1 | 11:8 | 3 | 17 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:15 | -5 | 8 |
| 8 ბოხუმი | 17 | 6 | 5 | 6 | 31:28 | 3 | 23 | 9 | 3 | 2 | 4 | 14:13 | 1 | 11 | 8 | 3 | 3 | 2 | 17:15 | 2 | 12 |
| 9 ჰერტა | 17 | 6 | 5 | 6 | 19:19 | 0 | 23 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:9 | 3 | 12 | 9 | 3 | 2 | 4 | 7:10 | -3 | 11 |
| 10 ვოლფსბურგი | 17 | 7 | 2 | 8 | 20:22 | -2 | 23 | 8 | 6 | 0 | 2 | 12:6 | 6 | 18 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:16 | -8 | 5 |
| 11 არმინია | 17 | 6 | 4 | 7 | 21:24 | -3 | 22 | 8 | 5 | 1 | 2 | 13:6 | 7 | 16 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:18 | -10 | 6 |
| 12 ნიურნბერგი | 17 | 6 | 3 | 8 | 23:27 | -4 | 21 | 9 | 3 | 1 | 5 | 13:16 | -3 | 10 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | -1 | 11 |
| 13 ჰანზა | 17 | 5 | 5 | 7 | 20:20 | 0 | 20 | 9 | 2 | 3 | 4 | 10:11 | -1 | 9 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 1 | 11 |
| 14 ლევერკუზენი | 17 | 5 | 5 | 7 | 24:27 | -3 | 20 | 9 | 2 | 2 | 5 | 11:17 | -6 | 8 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 12 |
| 15 გლადბახი | 17 | 5 | 4 | 8 | 20:19 | 1 | 19 | 8 | 4 | 3 | 1 | 13:4 | 9 | 15 | 9 | 1 | 1 | 7 | 7:15 | -8 | 4 |
| 16 ჰანოვერი | 17 | 4 | 4 | 9 | 22:33 | -11 | 16 | 9 | 1 | 3 | 5 | 11:19 | -8 | 6 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | -3 | 10 |
| 17 ლაუტერნი | 17 | 3 | 4 | 10 | 17:28 | -11 | 13 | 9 | 3 | 2 | 4 | 10:10 | 0 | 11 | 8 | 0 | 2 | 6 | 7:18 | -11 | 2 |
| 18 კოტბუსი | 17 | 2 | 4 | 11 | 13:38 | -25 | 10 | 9 | 1 | 1 | 7 | 6:19 | -13 | 4 | 8 | 1 | 3 | 4 | 7:19 | -12 | 6 |

**ბაიერნი 0:0 შალკე**

ბაიერნი: კანი, ზარგრიესი (ფიულნერი 81), რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი, ნ. კოვაჩი (შვაინშტაიგერი 71), ბალაკი, ზე რობერტო, ელბერი, სანტა კრუზი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუისი (როდრიგესი 53), ვან ჰოოგდალემი, მატელანი, პოულსენი, კმეტში, ვერმანტი, ვან კერკჰოვენი, მიოლერი, ხანდი, ასამოა (მანკე 46)

მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი

გაფრთხილება: ბალაკი, იერემისი, რ. კოვაჩი, მიოლერი

მსაჯი: აუსტი

61 000 მაყურებელი

**მარტის** თვეა შენი — ჭეშმარიტად ბუნდესლიგური სიმღერაა — იქ ყოველთვის მოიძებნებიან ამრევ-დამრევი გუნდები.

ამ ტურში ასეთი „ნიურნბერგი" გამოდგა, რომელმაც ბდღვირი ადინა „ბაიერ 04"-ს „ლევერკუზენს".

არადა, კლაუს ტოპმიოლერის გუნდი ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონია და ჩემპიონთა ლიგაშიც აგრძელებს თამაშს, მაგრამ ეს ფაქტიც ხომ ჯიუტია — „ლევერკუზენმა" ამ ბუნდესლიგაში მე-7 მარცხი იგემა და მე-14 ადგილზე ჩამოქვეითდა — გასავარდნ ზონას ორი საფეხურით უსწრებს.

„ნიურნბერგის" მაკედონიელი გოლდამშენი საშა ჩირიჩი ტყუილუბრალოდ როდი მიიჩნევს თავს საუკეთესოდ — ამ ამპარტავანმა ვეტერანმა ბრაზილიელი ფორვარდის ჟერნიმო კაკაუს პასი მოიგდო ფეხებთ და უზუსტესადაც დაარტყა.

თუმც თუ სილამაზეზე მიდგა საქმე ბრაზილიელი შუახაზელის, კარლოს ჟუნიორის გოლი ბევრად უკეთესი იყო — ჰაერში შეყოვნებულმა 18 მეტრიდან გაისროლა.

გერმანიაში დიდად დააფასეს და აღნიშნეს „შტუტგარტის" მოგება ვოლფსბურგში. ფელიქს მაგათის შეკრული გუნდი წინა ტურში შტუტგარტშივე კი დაიბრიყვა მიუნხენის „ბაიერნმა" (0:3), მაგრამ „მერსედესის" სამშობლომ მყისვე დაიბრუნა იმიჯი ფოლკსვაგენეთში.

თანაც „ვოლფსბურგი" პირველად თამაშობდა თავის ახალ სტადიონზე და ვერც 24 ათასმა ფანმა უშველა.

ამ მოგებით „შტუტგარტი" მე-5 ადგილზე აღზევდა, ხოლო ვოლფგანგ ვოლფის „ვოლფსბურგი" მე-9-დან ერთი საფეხურით ჩაცურდა.

„შტუტგარტზე" ისიც ვთქვათ, რომ გუნდი უეფას თასის მერვედფინალშია გასული და თუ ასე გააგრძელა, არც გასაღ დარჩება ევროსარბიელის გარეშე

მესამედ მოიგო მიმდინარე ბუნდესლიგაში გერმანიის ოთხგზის ჩემპიონმა „კაიზერსლაუტერნმა", მაგრამ მაინც მე-17 ადგილზე დარჩა.

ერიკ გერეტსის გუნდი ჩეხმა ვრატისლავ ლოკვენცმა დააწინაურა, მაგრამ „ჰერტას" უნგრელმა მცველმა პალ დარდაიმ მეორე ტაიმის შუაწელში გაათანაბრა.

თუმც დედაქალაქელები ასევე უნგრელმა დაალალატა — ხუთშაბათს „ჰერტამ" უეფას თასზე ინგლისური „ფულემი" რომ ჩამოიცილა, პირველ რიგში გაბორ კირალის უნდა უმადლოდეს, მაგრამ „კაიზერსლაუტერნთან" ამ მეკარემ 87-ე წუთზე ბრაზილიელი ლინკოლნი საპენალტედ წააქცია და ვერც ჰარი კოხის 11-მეტრიანს მოუხერხა რამე.

ჩემპიონმა „დორტმუნდმა" იოლად მოუგო შინ „კოტბუსს" — მათიას ზამერს ისიც უნდა უხაროდეს, რომ მარსიო ამოროზო თანდათან შედის ფორმაში — შეცვლაზე შესულმა ბრაზილიელმა მეგოლემ თავადაც გაიტანა და იან კოლერსაც დუბლი გააკეთებინა ბოლო წუთზე.

ბოლოადგილოსან „კოტბუსს" კი გასაჭირშია — ამ [illegible] დარი ფინანსური კრიზისი არ ღრღნის, მაგრამ მომჭირნეობის ჟამი მასაც დაუდგა — ფეხბურთელებს სთხოვა, ხელფასის შემცირებას გიპირებთ და სწორად გაგვიგეთო.

მოიგო ბრემენის „ვერდერმაც" — გლადბახელები ერთობ კი გაუძალიანდნენ „მუსიკოსებს", მაგრამ ჰანს მაიერის მეომრები მაინც დამარცხდნენ — გონსალვეშ აილტონმა კი ამ ბუნდესლიგაში თავისი მე-13 გოლი კონტრშეტევაზე შეაგდო.

„ჰანოვერი" — „არმინიას" წყვილი უგოლოდ კი გაიყარა, მაგრამ აქ საინტერესო ერთია — „ჰანოვერმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი ითამაშა უგოლოდ, ოღონდ ოთხი მარცხის შემდეგ როგორც იქნა, ქულა მოიპოვა.

„ჰანზა" — „ჰამბურგი" — ეს ჩრდილოური დერბი ქარყინვაში გაიმართა და საგოლე მომენტები არც კი ყოფილა. „ჰამბურგს" საამისოდ საპატიო მიზეზი ჰქონდა — სამი თავდამსხმელი ჰყავდა ტრავმირებული.

„ბოხუმი" — „მიუნხენ 1860" იმად გახლდათ თვალისმომჭრელი, რომ საოცარი გოლები გავიდა — მიუნხენელმა ბენჯამინ ლაუტმა დიდებული საგოლე თავური უთავაზა „ბოხუმს". ტომას კრისტიანსენიც იგივეს ცდილობდა, მაგრამ ბურთი „1860"-ის კარში ბეჭის წვერით შეაგდო.

„ბაიერნისა" და „შალკეს" პაექრობა კი ფრთხილი, ტაქტიკური ბრძოლა გამოდგა მწირი მწვავე მომენტებით.

აი, ასე მიაშურა ბუნდესლიგამ ზამთრის არდადეგებს — მომავალ შეხვედრამდე 26 იანვარს.

**დავით თაგართქილაძე**

**XVIII ტური**

**26 იანვარი, 2003**

| | | |
|---|---|---|
| ლევერკუზენი | — | კოტბუსი |
| ბოხუმი | — | ნიურნბერგი |
| ჰანზა | — | მიუნხენ 1860 |
| ჰანოვერი | — | ჰამბურგი |
| ვერდერი | — | არმინია |
| ბაიერნი | — | გლადბახი |
| ვოლფსბურგი | — | შალკე |
| ლაუტერნი | — | შტუტგარტი |
| ჰერტა | — | დორტმუნდი |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 13 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 11 |
| ელბერი (ბაიერნი) | 10 |
| ს. ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 10 |
| კურანი (შტუტგარტი) | 9 |
| ევერტონი (დორტმუნდი) | 9 |
| ლაუტი (მიუნხენი) | 9 |

### მეორე ბუნდესლიგა

**XVII ტური**

**ფრაიბურგი 3:1 დუისბურგი**

0:1 დრსეკი (39), 1:1 ქობიაშვილი (74პ), 2:1 ბაირამოვიჩი (85), 3:1 ქობიაშვილი (87)

ფრაიბურგი: გოლცი, მიულერი, ბ. დიარა (შუმანი 46), რიტერი, ქობიაშვილი, ა. ცაიერი (ბაირამოვიჩი 69), ჰერმელი, კულიბალი, ცხადაძე, რამდანე (მენერი 46), იაშვილი

*გიორგი კინკაძე და ზაზა ზამთარაძე სარეზერვო გუნდში არიან*

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

18 000 მაყურებელი

**კიოლნი 1:0 ბურგჰაუზენი**

1:0 კრინგე (57)

*კიოლნელი არჩილ არველაძე ტრავმირებულია*

**ფიურტი 0:0 კარლსრუე**

*ფიურტელი გიორგი დვალიშვილი განაცხადში ვერ მოხვდა*

**მაინცი 3:1 ბრაუნშვაიგი**

1:0 ბუკი (30), 2:0 ვორონინი (60), 3:0 ბაბაცი (62), 3:1 ტეიშეირა (90)

**ზანქტ პაული 1:4 ალემანია**

0:1, 0:2 ივანოვიჩი (36, 49), 0:3 ბაიოკი (50), 0:4 ივანოვიჩი (74), 1:4 კურბიუვაიტი (88)

**ვალდჰოფი 2:1 ლიუბეკი**

1:0 კოვალიკი (64), 1:1 ტიუნი (73), 2:1 ჰოერსენი (88)

**ობერჰაუზენი 2:1 ალენი**

1:0 რადულოვიჩი (22), 1:1 ბელა (30), 2:1 ბულიაკოვი (75)

**როიტლინგენი 1:0 აინტრახტი**

1:0 ოგუნგბურე (67)

**უნიონი 1:3 ტრირი**

1:0 ვიდოლოვი (45), 1:1 პეკოვიჩი (48), 1:2 ვინკლერი (67), 1:3 თომსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 17 | 10 | 7 | 0 | 35:18 | 37 |
| აინტრახტი | 17 | 10 | 3 | 4 | 27:13 | 33 |
| ფრაიბურგი | 17 | 10 | 3 | 4 | 26:15 | 33 |
| მაინცი | 17 | 9 | 3 | 5 | 27:16 | 30 |
| ალემანია | 17 | 8 | 5 | 4 | 31:22 | 29 |
| ტრირი | 17 | 8 | 3 | 6 | 30:22 | 27 |
| დუისბურგი | 17 | 7 | 6 | 4 | 26:23 | 27 |
| ფიურტი | 17 | 6 | 8 | 3 | 24:17 | 26 |
| ობერჰაუზენი | 17 | 7 | 5 | 5 | 19:18 | 26 |
| როიტლინგენი | 17 | 7 | 3 | 7 | 26:28 | 24 |
| ლიუბეკი | 17 | 7 | 1 | 9 | 29:28 | 22 |
| ბურგჰაუზენი | 17 | 5 | 6 | 6 | 25:21 | 21 |
| უნიონი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:33 | 21 |
| კარლსრუე | 17 | 3 | 8 | 6 | 16:24 | 17 |
| ვალდჰოფი | 17 | 4 | 2 | 11 | 20:35 | 14 |
| ალენი | 17 | 3 | 4 | 10 | 18:29 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 17 | 2 | 4 | 11 | 18:37 | 10 |
| ზტ. პაული | 17 | 2 | 3 | 12 | 23:42 | 9 |

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

გადადებული მატჩები: დინამო — ქემნიცი 2:1; ფერლი — ოსნაბრიუკი 1:0

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

გადადებული მატჩები: ზიგენი — შტუტგარტი ამატორები 1:3. ნოინკირხენი — ოფენბახი გადაიდო

# ფრანკომ ბრძანა

## სოსიედადს არავინ დაეწიოს!



REUTERS მადრიდიდან

უელველმა მიგელ ანხელ ესპინოლამ „რეალს" ჯერ გაუტანა, მერე კი მეკარედ გადაცმულმა გაუშვა



REUTERS სან სებასტიანიდან

სოსიედადი — მალიორკა. ალბერტ რიერასთან ორთაბრძოლაში მასპინძელ ხაბი ალონსოს ბურთი ფეხებშუა აებლანდა

### ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი. XIV ტური**

**ბარსელონა 0:3 სევილია**

0:1 კასკერო (43), 0:2, 0:3 ტოედტლი (77, 88)
ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, პუიოლი (მენდიეტა 57), კრისტენვალი, ფ. ნავარო (გაბრი 63), ხავი, რიკელმე, მოტა, კლუივერტი, ოვერმარსი, დანი (სავიოლა 60)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
სევილია: ნოტარიო, ხ. ნავარო, დ. კასტედო, პაბლო ალფარო, ფრედი, ხ. რედონდო, მარკოს ვალესი, კასკერო (სემვისი 63), ტორადო, რეიესი (ვ. სალასი 83), ანტონიტო (ტოედტლი 75)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: კრისტენვალი, ფ. ნავარო, კასტედო, სემვისი, ანტონიტო, მარკოს ვალესი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
54 257 მაყურებელი

**რეალი 4:2 უელვა**

0:1 კუბილიო (3), 0:2 ესპინოლა (14), 1:2 ბრავო (28), 2:2 ელგერა (64), 3:2 რაული (70), 4:2 ფიგუ (90პ)
რეალი: კასილიასი, სალგადო (მინამბრესი 55), ბრავო, პავონი, ზიდანი, ი. ელგერა, გუტი, ფ. კონსეისაო, კამბიასო (სოლარი 46), რაული, ფიგუ
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
უელვა: ლუკე, ესპინოლა, ალექს პერეირა, ხავი გარსია, არპონი (ბენიტესი 67), კუბილიო (ბერმეხო 74), ლორენი, ვიკეირა, კამაჩო, კაიკუ (გალანი 71), რაულ მოლინა
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: კამაჩო, კონსეისაო, კუბილიო, რაული
გაძევება: ლუკე (88)
მსაჯი: პერეს ლასა
60 000 მაყურებელი

**ბეტისი 0:1 რაიო ვალეკანო**

0:1 ონოპკო (16)
*ალფონსომ ვერ გაიტანა პენალტი (48 აკილა)*
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, რივასი, ტაისი (ჟოაუ ტომასი 43), ვარელა, ფერნანდო, კაპი, იტო, ფილიპესკუ (ასუნსაო 64), ალფონსო, დენილსონი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, დე კინტანა, გრაფი, მორა (ტალი 55), ონოპკო, მარიო, მაინსი (კორინო 74), მიჩელი, ასკოიტია, ხულიო ალვარესი (პერაგონი 55), ბოლიჩი
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ასკოიტია, ჟოაუ ტომასი, ფერნანდო, იტო, ლუის ფერნანდესი, მარიო, დენილსონი, პერაგონი
მსაჯი: პინო სამორანო
35 000 მაყურებელი

**სოსიედადი 2:1 მალიორკა**

0:1 ეტოო (47), 1:1 დე პედრო (51), 2:1 არანბურუ (57)
სოსიედადი: ვესტერველდი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ხაურეგი, დე პედრო (გაბილონდო 80), კარპინი, არანბურუ, კოვაჩევიჩი (ხოხლოვი 88), ნიჰათი (ტაიფუნი 75)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
მალიორკა: ლეო ფრანკო, პოლი, ნადალი, ლუსენმოფი, კამპანო, იბაგასა, ნოვო, რიერა (მიგელ სოლერი 81), მარკოსი (კარლოსი 76), აროლდ ლოზანო, ეტოო
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: პოლი, გაბილონდო, ეტოო
მსაჯი: კარმონა მენდესი
27 291 მაყურებელი

**დეპორტივო 1:0 მალაგა**

1:0 ლუკე (88)
დეპორტივო: ხუანმი, რომერო, სეზარი, დონატო, სკალონი, სერხიო, ვალერონი, დუშერი, მაკაი (კაპდევილა 87), ტრისტანი (ლუკე 60), ამავისკა (ვიქტორი 62)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მალაგა: კონტრერასი, როტენა, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო (მანუ 21), ხოსემი, მუსამპა, რომერო, მიგელ ანხელი (სანდრო 72), დარიო სილვა, დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: სკალონი, ხოსემი, ლუკე, სეზარი, მანუ, რომერო, როტენა
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
26 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 2:0 ბილბაო**

1:0, 2:0 აგანსო (62, 72)
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, მარიო (გასპარი 84), ტორეს გომესი, კოლსა, ანტონიო ლოპესი (ჩემა 77), ხესუსი (სოუზა 82), ფ. სალესი, აგანსო, ოსკარი
მწვრთნელი: პეპე მორე
ბილბაო: არანსუბია, ლარასაბალი, კარანკა, ლაკრუსი, ორბაისი (ა. გერერო 77), იესტე (ესკურო 68), ხავი გონსალესი, ალკისა, გურპეგი (არიაგა 86), ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: პენია, ლაკრუსი, ორბაისი, აგანსო
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
13 500 მაყურებელი

**რასინგი 3:0 სელტა**

1:0 მორა (60), 2:0, 3:0 ბენაიუნი (61, 71)
რასინგი: ლემენსი, სიეტესი, ნაფტი (ისმაელი 75), მორა, ხუანმა, მატეო, პაბლო სიერა (ბოდიპო 57), პინედა, ხ. გერერო (ბენაიუნი 58), რეგუერო, მუნიტისი
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
სელტა: კავალიერო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო, მენდესი (ხესული 65), ჯოვანელა (ხოსე იგნასიო 54), ვაგნერი, ედუ, ლუქსენი, კუდეტი (გუსტავო ლოპესი 48), კატანია
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ნაფტი, ლუქსენი, მორა, მენდესი, ხოსე იგნასიო
მსაჯი: რამირეს დომინგესი
15 607 მაყურებელი

**ოსასუნა 1:0 ესპანიოლი**

1:0 ანტონიო ლოპესი (46)
ოსასუნა: სანსოლი, მატეო, კრუზაგა, რივერო (მუნიოსი 87), ანტონიო ლოპესი, ალფრედო, პუნიალი, მოა (განსედო 65), ივან როსადო (ბრიტო 67), ისკიერდო, ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ესპანიოლი: სერხიო, ლოპო, ამაია (ველამასანი 66), რიკარდო კავასი, მორალესი, როხერი, მაქსი, ალექს ფერნანდესი, ბერტრანი (კრუსატი 80), მილოშევიჩი, მარტინ პოსე
მწვრთნელი: რამონ მოია
გაფრთხილება: მორალესი, ალფრედო, ლოპო, მარტინ პოსე, პუნიალი, ალოიზი, კრუსატი, მარტინ პოსე
გაძევება: მარტინ პოსე (89)
მსაჯი: რუბინოს პერესი
14 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 0:2 ვალენსია**

0:1, 0:2 კარეუ (52, 57)
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა (კიკე მედინა 53), ბერუე, კიკე ალვარესი, უნაი, გალკა (ხავი ვენტა 57), ხორხე ლოპესი, ხოსიკო (გრასია 64), პალერმო, ვიქტორი
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ფ. აურელიო, აიალა, მარჩენა, კარბონი, გარიდო, ალბელდა (ენგიქსი 37), ანგულო (კარეუ 37), რუფეტე (ალბიოლი 77), აიმარი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კიკე ალვარესი, ალბელდა, აიმარი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ხავი ვენტა
გაძევება: კიკე ალვარესი (54)
მსაჯი: მეია დავილა
22 000 მაყურებელი

**ალავესი 2:0 ატლეტიკო**

1:0 რუბენ ნავარო (11), 2:0 ილიე (32)
*ტორესმა ვერ გაიტანა პენალტი (80, მეკარე)*
ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია, კარმონა, ჯელი, ლორენსი, აბელარდო, პაბლო, ტურიელი, რუბენ ნავარო (ივან ალონსო 55), კრუიფი (მაგნო 81), ილიე (ედუ ალონსო 69)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
ატლეტიკო: ესტებანი, კონტრა, კოლომბო, გარსია კალვო (კარერასი 53), ჰიბიჩი, ნაგორე (ლუის გარსია 57), ალბერტინი, ი. სტანკოვიჩი, ხორხე (ხავი მორენო 49), ხოსე მარი, ფ. ტორესი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ხოსე მარი, ტურიელი, კონტრა, კარერასი, ლორენსი, ედუ ალონსო, ლუის გარსია
მსაჯი: უნდიანო მალენკო
14 753 მაყურებელი

ერთი ტურიც და, პრიმერადივიზიონი საშობაო არდადეგებზე წავა. შესვენება ხანგრძლივი არ იქნება, 5 იანვარს მე-16 ტურია, იქამდე კი, 2 იანვარს „რეალი" და „სევილია" გადადებულ მატჩს გამართავენ.

ეს ის „სევილიაა", ამ უქმეებზე „კამპ ნოუზე" საარაკო საქმე რომ ჩაიდინა, „ბარსელონა" დასცა. შედეგად, თავად სახიფათო ზონას თავი ვერ დააღწია, სამაგიეროდ, კატალონიელთა სიამაყე ჩამოაბრძანა მეცამეტე ადგილზე. „ბარსასა" და ლიდერ „სოსიედადს" შორის სხვაობა ახლა 16 ქულაა. თუმც „ბარსელონას" მორიგ მარცხზე სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ, რაკილა გუნდის ამგვარი თამაშის მიზეზებზე მისი მწვრთნელის, ლუის ვან გაალის მოსაზრებებს დღევანდელ „სარბიელში" ცალკე სტატიად გთავაზობთ.

ტურის სხვა ამბებიდან გამოსარჩევი „სოსიედადის" მიერ „მალიორკას" დამარცხებაა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „სოსიედადის" დამმარცხებელი წლეულს არ გამოჩნდება — წლევანდელ დარჩენილ ტურში სანსებასტიანელები უელვას სტუმრობენ, დივიზიონის აუტსაიდერს და რა უნდა მოხდეს, რომ დამარცხდნენ. თუმც ასე თუ ისე იმ ფაქტს წყალი არ გაუვა, რომ „სოსიედადი" ახალ წელს ლიდერად შეხვდება. არადა, ბასკები „მალიორკასთან" აგებდნენ. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე სამუელ ეტოომ ახლო ძელთან თავურით გახსნა ანგარიში. მაგრამ გამოხდა სულ ცოტა ხანი და ხავი დე პედრომ საჯარიმოს გარედან დარტყმულით გაათანაბრა. მერე კი სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა — კუნძულელთა მეკარე ლეო ფრანკო ბავშვივით შეცდა, რამაც მიგელ არანბურუს გამარჯვების გოლის გატანის საშუალება მისცა. ერთი სიტყვით, „სოსიედადი" კვლავ ცხრილის თავშია, შემოდგომაზე ჩვენგან დიდად ნაქები „მალიორკა" კი მეშვიდე ადგილამდე დაეშვა.

და რა მოხდა მადრიდში? ის, რომ მაჩანჩალა „უელვა" „სამეფო კლუბს" მე-15 წუთისთვის 2:0 უგებდა. დავიდ კუბილიომ ძალიან შორიდან და საკმაოდ ნელა დაარტყა, მაგრამ ეს საკმარისი იყო, რადგან იკერ კასილიასი ამ დროს საჯარიმო მოედნის გარეთ უაზროდ დაეხეტებოდა. მიგელ ანხელ ესპინოლამ კი ფლანგური გადაცემა დაასრულა.

„რეალი" მალე მოეგო გონს, მაგრამ შესვენებამდე რაულ ბრავოს ერთი გოლი იკმარა. მეორე ტაიმში კი სტუმართა უპირობო ჩაგვრის დრო დადგა. გამორჩეულად თვალსასეირო რაულის გოლი გახლდათ, დარტყმამდე მან ერთი კვადრატული მეტრის ფართობზე სამი მცველი დაიბრიყვა. სულ ბოლოს სტუმრებს მეკარეც გაუგდეს, რაკილა გუტი ბოლო იმედის ჯარიმით საჯარიმოში დასცა და იმედიც იქვე ჩაკვდა — ფიგუმ პენალტით მეოთხე გაიტანა.

ვილიარეალში გამარჯვებით „ვალენსია" ლიდერს, მართალია, ვერ დაეწია, მაგრამ არსებული სხვაობა მაინც შეინარჩუნა. სტუმართა ორივე გოლი ნორვეგიელმა ჯონ კარეუმ გაიტანა, რომელთა შორისაც მასპინძლებს კიკე ალვარესი გაუგდეს.

ატლეტიკოელ ფერნანდო ტორესს მატჩის დასრულებამდე 11 წუთით ადრე ალავესელთა კარის დარაჯის, რიშარ დუტრუელისთვის პენალტი რომ გაეტანა, ევებ მადრიდელებს როგორმე თამაშის გადარჩენაც მოეხერხებინათ. მაგრამ დუტრუელმა ტორესის დარტყმული მოიგერია, ხოლო ხავი მორენოს დამატებულს მცველი ზედ კარის ხაზზე გადაეფარა. ამ მომენტამდე ვიტორიელები რუბენ ნავაროს და ადრიან ილიეს გოლებით სრულიად დამსახურებულად იგებდნენ და საქმე ბოლომდე მიიყვანეს. ხოლო „ატლეტიკომ" საახალწლოდ ოთხეულში აღზევების შანსი დაკარგა.

დახეთ „რაიო ვალეკანოს" — წინა ტურში შინ „ბარსელონას" მოუგო, ახლა კი სტუმრად „რეალ ბეტისი" დასცა. მადრიდელთა გამარჯვებას ვიქტორ ონოპკოს ერთი გოლიც ეყო, თუმც სევილიელ ალფონსოს მეორე ტაიმის დასაწყისში პენალტი რომ არ გაეფუჭებინა — ძელსა და ხარიხას შეერთების ადგილს დაუმიზნა — ვინძლო ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო.

„დეპორტივომ" გვარიანად ინერვიულა, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე გარეჯა მაინც დაუფასდა — ალბერტო ლუკემ „მალაგას" მაკრატელათი შეუსრულა. გამოუყენებული შანსი აქაც იყო — მალაგელ დარიო სილვას პირველ ტაიმში, არავინ უშლიდა ხელს და ახლო მანძილიდან ცარიელ კარს როგორ ააცილა, ფრიად გასაკვირი ამბავია.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სოსიედადი | 14 | 9 | 5 | 0 | 26:15 | 11 | 32 | 7 | 5 | 2 | 0 | 16:10 | 6 | 17 | 7 | 4 | 3 | 0 | 10:5 | 5 | 15 |
| 2 ვალენსია | 14 | 8 | 4 | 2 | 24:7 | 17 | 28 | 7 | 5 | 1 | 1 | 16:3 | 13 | 16 | 7 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 4 | 12 |
| 3 რეალი | 13 | 6 | 6 | 1 | 26:13 | 13 | 24 | 6 | 4 | 2 | 0 | 16:6 | 10 | 14 | 7 | 2 | 4 | 1 | 10:7 | 3 | 10 |
| 4 სელტა | 14 | 7 | 3 | 4 | 17:12 | 5 | 24 | 7 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 3 | 12 | 7 | 4 | 0 | 3 | 9:7 | 2 | 12 |
| 5 ბეტისი | 14 | 6 | 5 | 3 | 24:15 | 9 | 23 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:4 | 6 | 13 | 7 | 2 | 4 | 1 | 14:11 | 3 | 10 |
| 6 დეპორტივო | 14 | 6 | 5 | 3 | 19:17 | 2 | 23 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 11 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:9 | 1 | 12 |
| 7 მალიორკა | 14 | 7 | 2 | 5 | 21:22 | -1 | 23 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:13 | -4 | 10 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:9 | 3 | 13 |
| 8 ატლეტიკო | 14 | 5 | 6 | 3 | 19:15 | 4 | 21 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:6 | 4 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 0 | 8 |
| 9 მალაგა | 14 | 4 | 6 | 4 | 18:19 | -1 | 18 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:9 | 3 | 12 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | -4 | 6 |
| 10 ოსასუნა | 14 | 5 | 3 | 6 | 16:19 | -3 | 18 | 7 | 4 | 0 | 3 | 8:7 | 1 | 12 | 7 | 1 | 3 | 3 | 8:12 | -4 | 6 |
| 11 რასინგი | 14 | 5 | 2 | 7 | 15:15 | 0 | 17 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:5 | 4 | 11 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:10 | -4 | 6 |
| 12 ვალიადოლიდი | 14 | 5 | 2 | 7 | 13:17 | -4 | 17 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 11 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:10 | -4 | 6 |
| 13 ბარსელონა | 14 | 4 | 4 | 6 | 18:19 | -1 | 16 | 7 | 3 | 3 | 1 | 13:8 | 5 | 12 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:11 | -6 | 4 |
| 14 ალავესი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:23 | -6 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:5 | 4 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:18 | -10 | 5 |
| 15 ვილიარეალი | 14 | 3 | 6 | 5 | 13:15 | -2 | 15 | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 0 | 10 | 7 | 0 | 5 | 2 | 6:8 | -2 | 5 |
| 16 რაიო | 14 | 4 | 3 | 7 | 16:22 | -6 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 11:10 | 1 | 9 | 7 | 2 | 0 | 5 | 5:12 | -7 | 6 |
| 17 ბილბაო | 14 | 4 | 3 | 7 | 19:28 | -9 | 15 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | -1 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:17 | -8 | 5 |
| 18 სევილია | 13 | 3 | 5 | 5 | 11:11 | 0 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 0 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:5 | 0 | 5 |
| 19 ესპანიოლი | 14 | 3 | 1 | 10 | 14:26 | -12 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:11 | -2 | 7 | 7 | 1 | 0 | 6 | 5:15 | -10 | 3 |
| 20 უელვა | 14 | 2 | 3 | 9 | 12:28 | -16 | 9 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:14 | -6 | 5 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:14 | -10 | 4 |

**XV ტური**

**22 დეკემბერი**

ბეტისი — ოსასუნა
ესპანიოლი — ვალიადოლიდი
ბილბაო — ალავესი
ატლეტიკო — რასინგი
სელტა — ვილიარეალი
ვალენსია — დეპორტივო
მალაგა — რეალი
უელვა — სოსიედადი
მალიორკა — ბარსელონა
რაიო ვალეკანო — სევილია

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 10 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 9 |
| პანდიანი (მალიორკა) | 8 |
| ურსაისი (ბილბაო) | 7 |
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 7 |

### სეგუნდადივიზიონი

**XV ტური**

**პოლი ეხიდო 0:1 ტენერიფე**

0:1 პაუნოვიჩი (85)

**ალბასეტე 2:0 ფეროლი**

1:0 პარი (35), 2:0 ხესუს პერერა (39)

**ლას პალმასი 2:0 ტერასა**

1:0 რეგი (12), 2:0 ბაიანო (60)

**სპორტინგი 1:0 ოვიედო**

1:0 ლოზანო (14)

**კორდობა 1:2 ლევანტე**

0:1 ლიმონესი (46), 1:1 ალფონსო (63), 1:2 კონგო (77)

**ლეგანესი 0:0 კომპოსტელა**

**ნუმანსია 0:0 ალმერია**

**ხერესი 0:0 ხეტაფე**

**სალამანკა 0:0 მურსია**

**ბადახოსი 1:1 ეიბარი**

0:1 სანჩესი (45პ), 1:1 ნენე (46)

**ელჩე 4:0 სარაგოსა**

1:0 სერანო (23), 2:0 რაულ პერესი (52), 3:0, 4:0 მელგარი (72, 73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სარაგოსა | 15 | 8 | 4 | 3 | 18:13 | 28 |
| ლევანტე | 15 | 7 | 6 | 2 | 27:17 | 27 |
| ალბასეტე | 15 | 6 | 8 | 1 | 19:10 | 26 |
| ხერესი | 15 | 7 | 4 | 4 | 17:14 | 25 |
| მურსია | 15 | 6 | 5 | 4 | 15:7 | 23 |
| ელჩე | 15 | 5 | 7 | 3 | 19:12 | 22 |
| სალამანკა | 15 | 6 | 4 | 5 | 12:10 | 22 |
| ეხიდო | 15 | 5 | 6 | 4 | 13:14 | 21 |
| ხეტაფე | 15 | 5 | 5 | 5 | 23:21 | 20 |
| ტერასა | 15 | 4 | 8 | 3 | 15:15 | 20 |
| ფეროლი | 15 | 5 | 5 | 5 | 16:19 | 20 |
| ლას პალმასი | 15 | 4 | 7 | 4 | 18:15 | 19 |
| ტენერიფე | 15 | 3 | 10 | 2 | 17:15 | 19 |
| სპორტინგი | 15 | 4 | 7 | 4 | 13:15 | 19 |
| ალმერია | 15 | 4 | 7 | 4 | 17:20 | 19 |
| ეიბარი | 15 | 4 | 6 | 5 | 12:15 | 18 |
| ბადახოსი | 15 | 5 | 3 | 7 | 11:21 | 18 |
| კომპოსტელა | 15 | 3 | 6 | 6 | 14:16 | 15 |
| ლეგანესი | 15 | 2 | 8 | 5 | 10:14 | 14 |
| ნუმანსია | 15 | 3 | 4 | 8 | 13:20 | 13 |
| კორდობა | 15 | 2 | 6 | 7 | 9:16 | 12 |
| ოვიედო | 15 | 2 | 4 | 9 | 15:24 | 10 |

# ბაჯო 200!
## დაფასების დღე ტურინში




იუვენტუსი — ლაციო. ტურინელ ჯანლუკა ძამბროტას უხეირო მაკრატელა გამოუვიდა



რობერტო ბაჯოს 200 სერიული გოლი დაუგროვდა

## იტალია
### სერია A. XIV ტური

**კომო 1:2 მილანი**

0:1 ამბროზინი (20), 1:1 პეკია (22), 1:2 შევჩენკო (42)

კომო: ფერონი (ბრუნერი 46), გრეგორი, სტელინი, ჟუარესი, ბინოტო, ალეგრეტი (ფონსეკა 59), კოუ, კორენტი (ტომაში 46), მ. როსი, პეკია, ბიელანოვიჩი

მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი

მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე (კოსტაკურტა 87), ამბროზინი, პირლო, ზეედორფი, რივალდო (სერჯინიო 76), შევჩენკო, ფ. ინძაგი (ტომასონი 83)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: როსი, მალდინი, ფონსეკა

მსაჯი: ფარინა

14 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:2 ლაციო**

1:0 ნედვედი (34), 1:1, 1:2 ფიორე (35, 51)

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, მონტერო, იულიანო (ფერარა 30), ბირინდელი, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი (კამორანეზი 46), დელ პიერო, მ. სალასი (დი ვაიო 56)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, ნეგრო, ფავალი (პანკარო 74), ფიორე (დ. ბაჯო 81), სიმეონე, დ. სტანკოვიჩი (ჯანიკედა 90), სეზარი, კ. ლოპესი, კორადი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: სალასი, ფავალი, სიმეონე

მსაჯი: პელეგრინო

38 014 მაყურებელი

**ინტერი 1:0 ატალანტა**

1:0 კალონი (70)

ინტერი: ტოლდო, ადანი, გამარა, ფ. კანავარო, პასკუალე (კალონი 68), ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, ალმეიდა, ემრე (გულიელმინპიეტრო 82), კრესპო, რეკობა (ფარინოსი 90)

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

ატალანტა: ტაიბი, ფოლიო (გაუტიერი 73), ნატალი, კარერა, ძაური (ბელინი 73), დ. ძენონი, ბერეტა, დაბო (პინარდი 82), დონი, კომანდინი, როსინი

მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი

გაფრთხილება: ფოლიო, დი ბიაჯო, როსინი, კრესპო

მსაჯი: ბერტინი

55 000 მაყურებელი

**პიაჩენცა 0:3 კიევო**

0:1 დელა მორტე (49), 0:2 ბირმოფი (87), 0:3 პელისიერი (90)

პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, კრისტანტე, მანგონე, გურენკო (სტელა 79), მიკელი (პატრასკუ 57), მარესკა, რიზო, ტოსტო, დი ფრანჩესკო (ობოლო 34), კაზა

მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი

კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, ლეგროტალიე, დანა, ს. ლანა, დელა მორტე (ლაზეტიჩი 66), პეროტა, დ. ანდერსონი (პასონი 89), დ. ფრანჩესკინი, ბირმოფი, მარაცინა (პელისიერი 83)

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

გაფრთხილება: ანდერსონი

მსაჯი: გაბრიელე

5 000 მაყურებელი

**ბოლონია 2:1 პარმა**

0:1 ადრიანო (28), 1:1, 2:1 კრუზი (42, 44)

ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო, ძანკი, პარამატი, ვანოლი (შმიტი 75), ნერვო, ფრარა, კ. ამორუზო, ბელუჩი (სალვეტი 89), ლოკატელი (გორეტი 81), ხ. კრუზი

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

პარმა: ფრეი, ბენარივო, ბონერა, ფერარი, ჟუნიორი, ლამუში, ბარონე, ე. ფილიპინი (მატეო ბრიგი 72), ნაკატა (ჯილარდინო 72), ადრიანო, მუტუ

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: პალიუკა, ნერვო, ფერარი, მუტუ, კრუზი

მსაჯი: ტრენტალანჯე

21 817 მაყურებელი

**რომა 3:0 რეჯინა**

1:0 სამუელი (2), 2:0 ტოტი (24), 3:0 მონტელა (70)

რომა: პელიცოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, კაფუ, ემერსონი, ლიმა, კანდელა, ტოტი (ბომბარდინი 35; ტომიჩი 84), ბატისტუტა, ა. კასანო (მონტელა 55)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

რეჯინა: კასტელაცი, ჩირილო, პიერინი, რ. ფრანჩესკინი, მორაბიტო (მესტო 34), კოცა, პარედესი, მოცარტი (რასტელი 62), ფალზინი, ნაკამურა (სავოლდი 68), დი მიკელე

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

გაფრთხილება: პიერინი, ბომბარდინი, ბატისტუტა, ჩირილო

მსაჯი: მესინა

53 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:1 ტორინო**

1:0 იაკინტა (55), 1:1 ლუკარელი (58)

უდინეზე: დე სანტისი, თ. მანფრედინი (სოტილი 70), სენსინი, კროლდრუპი, პიერი (იანკულოვსკი 79), დ. პიზარო, პინცი, ალბერტო, იორგენსენი, იაკინტა (ვარლე 82), მუცი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

ტორინო: ბუჩი, კომოტო, ფატორი, დელი კარი, მეცანო, სომეზე (ბალძარეტი 61), დე აშენტისი, ვერგასოლა, პ. კასტელინი, მაგალიანესი (კონტიკიო 83), კ. ლუკარელი (ფერანტე 77)

მწვრთნელი: რენცო ულივიერი

გაფრთხილება: პიერი, მანფრედინი, მაგალიანესი, კონტიკიო, მეცანო

მსაჯი: ტომბოლინი

14 000 მაყურებელი

**ბრეშა 3:1 პერუჯა**

1:0, 2:0 ტარე (23, 39), 2:1 მიკოლი (63), 3:1 ბაჯო (88პ)

ბრეშა: სერენი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, სერიზი (გუანა 69), შოპი (სტანკევიჩიუსი 81), ა. ფილიპინი, აპია, ბაკინი, რ. ბაჯო, ტარე

მწვრთნელი: კარლო მაცონე

პერუჯა: ტარდიოლი, სოლიანო, დი ლორეტო, რეზაეი, ზე მარია, ტედესკო, ობოდო, ლ. პალიუკა (ფუზანი 72), ლუმბუტისი (გროსო 10), ნ. ამორუზო (კარაზოლო 46), მიკოლი

მწვრთნელი: სერსე კოზმი

გაფრთხილება: შოპი, ფილიპინი, გროსო, სოლიანო, სერიზი

მსაჯი: დე სანტისი

13 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:0 მოდენა**

1:0 როკი (84)

ემპოლი: ბერტი, ბელერი, ლუკინი, პრატალი, კუპი, ჯამპიერეტი, გრელა, ბუში, ვანუკი (კაპელინი 46), გრიეკო (ტავანო 46), როკი

მწვრთნელი: სილვიო ბალდინი

მოდენა: ბალოტა, უნგარი, პავანი, ჩევოლი, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი, სკოპონი (დ. კამარა 85), მილანეტო, კამპედელი, ტალდო (ფაბრინი 77), მაური (სკული 69)

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

გაფრთხილება: ტავანო, კამარა, ვანუკი, ჩევოლი, უნგარი, სკული

მსაჯი: როდომონტი

15 000 მაყურებელი

„ლაციო“! „ლაციო“! „ლაციო“!

რომაელებმა მიმდინარე სეზონში სტუმრად უკლებლივ ყველა თამაში მოიგეს! ბოლოს, ანუ ამ უქმეებზე, არც მეტი, არც ნაკლები, „დელე ალპიზე“ „იუვენტუსთან“.

და, მიუხედავად ყბადაღებული ფინანსური კრიზისისა, მეორე ადგილზე არიან. მათ წინ მხოლოდ „მილანია“, ისიც ერთადერთი ქულით.

ხოლო „იუვენტუსი“, აგერ უკვე ოთხ თამაშში რომ არ გაუმარჯვია, მეხუთეა — ლიდერს ექვსი ქულით ჩამორჩება.

რობერტო მანჩინის ფეხბურთელთა სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ნისლიან „დელე ალპიზე“ ისინი თავიდან აგებდნენ, მაგრამ ერთი, რომ მდგომარეობა გამოასწორეს და მეორე, რომ ეს ორი იღბლიანი გოლის წყალობით კი არ მოხდა, არამედ, შთამბეჭდავი თამაშით. ერთი სიტყვით, „ლაციო“ თავის, ზედიზედ მეშვიდე საგარეო გამარჯვებას სრულიად იმსახურებდა.

„ბებერი ქალბატონის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი პირველ ოცდაათ წუთში, გვარიანად დაკავებული გახლდათ. მან რამდენჯერმე საუცხოოდ ითამაშა. მაგალითად, მაშინ, როდესაც ბერნარდო კორადის დარტყმული მოიგერია და მაშინ, როდესაც დეიან სტანკოვიჩს ზედიზედ ორი დარტყმა აუღო.

მაგრამ, 34-ე წუთზე „იუვენტუსი“ დაწინაურდა — ალესანდრო დელ პიეროს პასით „ლაციოს“ ყოფილმა მოთამაშემ, ჩეხმა პაველ ნედვედმა ბურთი სტუმართა კარში შეაგდო.

თუმცა, მასპინძელთა სიხარული მხოლოდ ერთწუთიანი გამოდგა. ერთი წუთის შემდეგ კორადის ჩაწოდებულს სტეფანო ფიორემ თავური დაჰკრა და წონასწორობა აღადგინა. „ლაციოს“ მეორე გოლი კი შესვენებიდან ხუთ წუთში გავიდა. თავი ისევ ფიორემ გამოიჩინა: დაახლოებით 20 მეტრიდან მარჯვენა ფეხით ძლიერად და ზუსტად დაარტყა.

და, იქითა კართან?

იქითა კარს „იუვენტუსის“ ყოფილი მეკარე ანჯელო პერუცი იცავდა. სწორედ მისი დამსახურება გახლდათ ის, რომ ედგარ დავიდსის ჩინებული დარტყმის შედეგად ბურთი სტუმართა კარში არ გავიდა, თუმცა, სხვა მხრივ რომ ვთქვათ, თითქოს „ბებერი ქალბატონის“ თავდამსხმელები მის კართან მომენტების კალეიდოსკოპს ატრიალებდნენ არ ვიქნებით მართალი.

„მე განსაკუთრებული ფეხბურთელები მყავს და ეს გამარჯვება თავიდან ბოლომდე მათი — განაცხადა მატჩის შემდეგ „ლაციოს“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ — დღევანდელი დღე უნდა დავაფასოთ, ვინაიდან ტურინში „იუვენტუსის“ დამარცხება მეტისმეტად ძნელი საქმეა. ჩვენ ძალიან ბევრი სახიფათო მომენტი შევქმენით, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მაგრამ მათი გამოყენება ბუფონის საუცხოო თამაშის გამო ვერ შევძელით“.

„იუვენტუსის“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი: „ყველაფერი მარტივი მიზეზის გამო მოხდა, „ლაციომ“ ჩვენზე უკეთესად ითამაშა. ეს არის და ეს. მეტოქე უფრო ლაღი, ყურადღებიანი და სწრაფი იყო. ერთი გოლიც რომ გაგვეტანა და შეხვედრა ფრედ დამთავრებულიყო, ჩემი შეფასება არ შეიცვლებოდა. ამ სეზონში რამდენიმე საუცხოო მატჩი ჩავატარეთ, თუმცა დღევანდელი ერთ-ერთი მათგანი ნამდვილად არ გახლდათ. რთული პერიოდი გვიდგას, თუმცა ასეთი რამ ყოველ სეზონშია. ცხრილში მეხუთე ადგილზე ყოფნა კი ნამდვილად არ მაშფოთებს. ბუნებრივია, უფრო ზევით რომ ვიყოთ, გამიხარდებოდა, მაგრამ ბოლო წლებში გუნდები ჯერ ექვს, შვიდ, ათ ქულას აგებენ, შემდეგ კი ჩემპიონები ხდებიან. წინ დიდი გზაა, ჩვენ ვიმუშავებთ და ყველაფერს თავიდან დავიწყებთ“.

„ინტერისა“ და „ატალანტას“ შეხვედრაზე კი იმას ვიტყვით, რომ სანამ მილანელთა მწვრთნელმა, ექტორ რაულ კუპერმა მცველს, ჯოვანი პასკუალეს მოჰამედ კალონით შეცვლიდა, თამაში სხვა იერსახისა იყო, შემდეგ კი სურათი გამოიცვალა და კალონმა ძლიერი დარტყმით შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა.

დიდმა რობერტო ბაჯომ „ბრეშასა“ და „პერუჯას“ შეხვედრაში პენალტით რომ შეაგდო, მის კარიერაში სერია A-ს მეორასე გოლი გამოდგა. „ბრეშამ“ 3:1 მოიგო.

„რომამ“ „რეჯინას“ 3:0 კი აჯობა, მაგრამ მეორე გოლის ავტორმა, რომაელთა კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ პირველსავე ტაიმში დასტოვა მოედანი. მას მტკივანი მარჯვენა მუხლი გაუმიზეზდა.

**ბაჩუნა ძიძია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 14 | 10 | 2 | 2 | 30:10 | 20 | 32 | 7 | 7 | 0 | 0 | 16:1 | 15 | 21 | 7 | 3 | 2 | 2 | 14:9 | 5 | 11 |
| 2 ლაციო | 14 | 9 | 4 | 1 | 30:14 | 16 | 31 | 7 | 2 | 4 | 1 | 15:9 | 6 | 10 | 7 | 7 | 0 | 0 | 15:5 | 10 | 21 |
| 3 ინტერი | 14 | 9 | 3 | 2 | 29:15 | 14 | 30 | 7 | 5 | 1 | 1 | 12:4 | 8 | 16 | 7 | 4 | 2 | 1 | 17:11 | 6 | 14 |
| 4 კიევო | 14 | 8 | 2 | 4 | 24:13 | 11 | 26 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:5 | 9 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:8 | 2 | 10 |
| 5 იუვენტუსი | 14 | 7 | 5 | 2 | 22:12 | 10 | 26 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:7 | 4 | 12 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | 6 | 14 |
| 6 ბოლონია | 14 | 7 | 5 | 2 | 18:10 | 8 | 26 | 7 | 7 | 0 | 0 | 14:3 | 11 | 21 | 7 | 0 | 5 | 2 | 4:7 | -3 | 5 |
| 7 პარმა | 14 | 6 | 4 | 4 | 25:16 | 9 | 22 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:7 | 8 | 16 | 7 | 1 | 3 | 3 | 10:9 | 1 | 6 |
| 8 რომა | 14 | 5 | 5 | 4 | 26:22 | 4 | 20 | 7 | 3 | 3 | 1 | 16:10 | 6 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | -2 | 8 |
| 9 ემპოლი | 14 | 6 | 2 | 6 | 21:19 | 2 | 20 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:14 | -3 | 8 | 6 | 4 | 0 | 2 | 10:5 | 5 | 12 |
| 10 უდინეზე | 13 | 5 | 4 | 4 | 12:14 | -2 | 19 | 7 | 4 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 15 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | -6 | 4 |
| 11 მოდენა | 14 | 6 | 1 | 7 | 12:21 | -9 | 19 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 10 | 8 | 3 | 0 | 5 | 6:14 | -8 | 9 |
| 12 პერუჯა | 14 | 5 | 3 | 6 | 18:22 | -4 | 18 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:18 | -10 | 5 |
| 13 ბრეშა | 14 | 4 | 3 | 7 | 19:26 | -7 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 10:10 | 0 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:16 | -7 | 7 |
| 14 პიაჩენცა | 14 | 3 | 3 | 8 | 11:20 | -9 | 12 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | -6 | 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:6 | -3 | 5 |
| 15 ატალანტა | 13 | 2 | 2 | 9 | 11:24 | -13 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 7 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | -9 | 1 |
| 16 რეჯინა | 14 | 1 | 4 | 9 | 10:26 | -16 | 7 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:11 | -4 | 6 | 7 | 0 | 1 | 6 | 3:15 | -12 | 1 |
| 17 ტორინო | 13 | 2 | 1 | 10 | 7:27 | -20 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 3:12 | -9 | 6 | 7 | 0 | 1 | 6 | 4:15 | -11 | 1 |
| 18 კომო | 13 | 0 | 5 | 8 | 8:22 | -14 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:11 | -7 | 2 | 7 | 0 | 3 | 4 | 4:11 | -7 | 3 |

**XV ტური**

**22 დეკემბერი**

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | - | ემპოლი |
| კიევო | - | კომო |
| ლაციო | - | ბოლონია |
| მილანი | - | ბრეშა |
| მოდენა | - | უდინეზე |
| პარმა | - | ინტერი |
| პერუჯა | - | იუვენტუსი |
| რეჯინა | - | პიაჩენცა |
| ტორინო | - | რომა |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 10 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 9 |
| დი ნატალე (ემპოლი) | 8 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 8 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 8 |
| კრუზი (ბოლონია) | 8 |
| ადრიანო (პარმა) | 8 |

### სერია B
**XVI ტური**

**ასკოლი 4:0 ნაპოლი**

1:0 ტანგორა (7), 2:0 ბრუნო (20), 3:0 ფონტანა (42პ), 4:0 ბრუნო (53)

**კალიარი 1:0 სამპდორია**

1:0 კაპონე (90)

**ჯენოა 4:2 ანკონა**

0:1 დეგანო (14), 1:1 მპადბი (45), 2:1 მიპალჩია (49), 2:2 გრაფიედი (62პ), 3:2 კოდრია (65), 4:2 კარპარელი (90)

**ლეჩე 1:1 ვიჩენცა**

1:0 სტოვინი (39), 1:1 შუოკი (49)

**ლივორნო 4:2 კოზენცა**

1:0 ნეგრი (25), 1:1 ალტერი (41), 2:1 ნეგრი (44), 3:1 დოგა (70), 3:2 პეროტე (72), 4:2 ნეგრი (89)

**მესინა 2:1 პალერმო**

1:0 პრინჩივალი (51), 2:0 ვიკარი (59), 2:1 მანიერო (82)

**სალერნიტანა 2:2 ტრიესტინა**

0:1 მუნტასერი (22), 1:1 ბაჯო (28პ), 1:2 პარიზი (63პ), 2:2 არკადიო (82)

**ტერნანა 2:1 ბარი**

1:0, 2:0 ბორგობელო (31, 59), 2:1 ანაკლერიო (89)

**ვენეცია 2:1 კატანია**

1:0 ბუდანი (4), 1:1 ოლივეირა ბაროსო (51), 2:1 ფანტინი (70)

**ვერონა — სიენა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრიესტინა | 15 | 7 | 5 | 3 | 23:15 | 26 |
| ტერნანა | 15 | 7 | 4 | 4 | 17:13 | 25 |
| კალიარი | 14 | 7 | 4 | 3 | 15:12 | 25 |
| ლეჩე | 15 | 5 | 9 | 1 | 18:13 | 24 |
| სამპდორია | 15 | 6 | 6 | 3 | 17:12 | 24 |
| ლივორნო | 15 | 7 | 2 | 6 | 18:13 | 23 |
| სიენა | 14 | 5 | 8 | 1 | 13:9 | 23 |
| ანკონა | 15 | 5 | 7 | 3 | 20:17 | 22 |
| პალერმო | 15 | 6 | 3 | 6 | 16:19 | 21 |
| ასკოლი | 15 | 5 | 5 | 5 | 14:12 | 20 |
| მესინა | 14 | 5 | 4 | 5 | 21:20 | 19 |
| ვენეცია | 15 | 5 | 4 | 6 | 14:17 | 19 |
| ვერონა | 14 | 4 | 6 | 4 | 19:16 | 18 |
| ჯენოა | 15 | 4 | 6 | 5 | 18:16 | 18 |
| ვიჩენცა | 15 | 3 | 8 | 4 | 17:21 | 17 |
| ბარი | 15 | 2 | 9 | 4 | 12:12 | 15 |
| კოზენცა | 15 | 4 | 3 | 8 | 16:21 | 15 |
| კატანია | 15 | 4 | 3 | 8 | 17:26 | 15 |
| ნაპოლი | 15 | 2 | 6 | 7 | 16:25 | 12 |
| სალერნიტანა | 15 | 3 | 2 | 10 | 14:26 | 11 |

### სერია C1/A

მე-16 ტური: ალბინოლეფე — სპალ 1:1; ალძანო — ტრევიზო 1:2; არეცო — პიზა 0:1; კარარეზე — პრატო 0:1; ჩიტადელა — პისტოიეზე 1:0; ლუკეზე — პადოვა 0:1; პრო პატრია — ვარეზე 0:1; კრემონეზე — ლუმეცანე 1:1. ჩეზენა — სპეცია წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)

### სერია C1/B

მე-16 ტური: ბენევენტო — ტერამო 1:1; კროტონე — კიეტი 1:0; ჯულიანოვა — ვიტერბეზე 2:0; აკილა — სამბენედეტეზე 0:3; ლანჩანო — ტორესი 0:0; პატერნო — ფერმანა 0:1; სორა — პესკარა 1:0; ტარანტო — აველინო 1:0; პიზარო — მარტინა 0:0

## იტალიის ჩემპიონატი
### მეთოთხმეტე ტურის მატჩი

**კომო 1:2 მილანი**

კახა კალაძე: 87 წუთი

# რეალმა კალაძე კომოშიც არ მოასვენა

დაბადების დღისთვის „მილანმა" თავისებური საჩუქარი გაიკეთა — კომოში მოგების მერე ლიდერობა შეინარჩუნა და სერია A-საც ამაყად დაჰყურებს ზემოდან. თუმც ზურგსუკან „ლაციოს" და „ინტერის" სუნთქვაც ესმის.

„შავ-წითლებმა" ხარისხიანი ფეხბურთი ვერ ითამაშეს, მაგრამ უმთავრესი, სამი ქულა შემატეს აქტივს და ამით არიან კმაყოფილნი.

კარლო ანჩელოტიმ პორტუგალიელი რუი კოშტა სათადარიგოთა სკამზე გამწესა, მის არყოფნაში კი გათამაშებლობა ტრავმისგან მოკეთებულ ბრაზილიელ რივალდოს დააკისრა.

მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. აკი, ამბობდა „კომოს" ახალი თავკაცი ეუჯენიო ფაკეტი, მეტოქის არ გვეშინია, რაც ვიცით ვითამაშებთ და მილანელები იოლ გასეირნებას ნუღარ ელოდებიანო.

იოლი კი ნამდვილად არ ყოფილა. „როსონერიმ" პირველ შტურმს გაუძლო, მერე მეტოქესაც მიაწვა და პირველივე შეტევა გოლით დაასრულა: რივალდომ მასიმო ამბროზინის დაუგორა, ამან კი მარჯვენა ძლიერად მოიქნია და მეკარე ფაბრიციო ფერონისგან დაბალ შორეულ კუთხეში გაიტანა, ეს მე-20 წუთზე მოხდა.

ვითომც არაფერი მომხდარაო. წამოიღო „კომომ" ბურთი და ნიკოლა კორენტმა გაისროლა შორიდან, „მილანის" ბრაზილიელმა მეკარე დიდამ ბურთი უხერხულად მოიგერია, გადმოვარდნილს ფაბიო პეკიამ მიუსწრო და... ორ წუთში წონასწორობა აღდგა.

ფრეს „მილანი" ვერ შეეგუებოდა და მარწუხებსაც მძლავრად მოუჭირა. ინძაგი, შევჩენკო, რივალდო მალიმალ აწუხებდნენ ფერონს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი „შეწუხებისას" ანდრეი შევჩენკომ მძლავრი თავური დაჰკრა, მეკარეც უსაქმოდ დატოვა და „მილანი" დააწინაურა. როგორც აღმოჩნდა, „შევამ" გამარჯვებისა გაიტანა: „მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. ჩვენ ლიდერები ვართ და ეს გვახარებს. მგონი, ნორმალურად ვითამაშეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ".

იგივე აზრზე არიან ალესანდრო ნესტა, კლარენს ზეედორფი და მასიმო ამბროზინი. ამბროზინი მედიამ სულაც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა: „ბედნიერი ვარ. შემადგენლობის ხშირი ცვლის გამო, უმეტესად სათადარიგოთა სკამზე ყოფნა მიწევდა, მაგრამ ახლა ვთამაშობ, თანაც გოლი გამაქვს. მადლობელი ვარ კარლო ანჩელოტის, იგი მენდო და მგონი ვუმართლებ კიდეც. „მილანის" დატოვება აზრადაც არ მომსვლია. ჩემთვის კლუბი და ქალაქი ძალიან ძვირფასია".

ჩვენებურმა კახა კალაძემ 87 წუთი ითამაშა, იგი ალესანდრო კოსტაკურტამ შეცვალა. როგორც იტალიელი ჟურნალისტები წერენ, კალაძემ თავად ითხოვა შეცვლა, მიზეზად კი ასენინელები იმ ტრავმას ასახელებენ „რეალთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩისას რომ მიიღო, ბოლომდე მოკეთებული არ არის, თანაც კომოს მინდვრის საფარი მძიმე და უხარისხო იყო და დიდი შანსი იყო რეციდივი განმეორებულიყო.

დანიელი იონ დალ ტომასონი შეიდი წუთით ადრე ჩაერთო თამაშში, მან ინძაგი შეცვალა. ნამატჩევს ტომასონს იტალიელი ჟურნალისტებისთვის უთქვამს, არ მაინტერესებს რას წერთ ჩემზე, მაგრამ მე „მილანში" ვრჩები და არსადაც წამსვლელი არ ვარო. მედიელებმა კი დაწერეს, იანვრიდან ტომასონს ან „მანჩესტერ იუნაიტედში" ვიხილავთ, ანაც ლონდონის „ჩელსიში", თანაც მას ინგლისში ხელმეორედ ბურთაობა სწადიაო. ტომასონი კი უარობს.

და ბოლოს, ალბათ, იკითხავდით, დაბადების დღე რაღა შუაშიაო. გუშინ „მილანი" 103 წლის გახდა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო და ტიტულიანი კლუბი 1899 წლის 16 დეკემბერს „მოევლინა ქვეყანას".

**გიორგი გუგაძიძე**



ანდრეი შევჩენკომ „მილანი" ლიდერად დატოვა

# გალაჰერის მთა და ბარი



კილმარნოკი — სელტიკი. იოს ვალგაერენის გოლმა გლაზგოელები მარცხისგან იხსნა

## შოტლანდია
### პრემიერლიგა. XX ტური

**რეინჯერსი 3:0 დანდი იუნ.**

1:0, 2:0, 3:0 ფერგიუსონი (13, 56, 86პ)

რეინჯერსი: შ. კლოსი, მუსკატი, კ. მური, ლ. ამორუზო, რიკსენი, ს. ჰიუზი, ბ. ფერგიუსონი, ლოვენკრანდსი, რ. დე ბური (მალკოლმი 68), შ. არველაძე, მოლსი (ნერლინგერი 79)

მსაჯი: ალეკს მაკლიში

გაძევება: რიკსენი (60)

47 639 მაყურებელი

**დანდი 1:1 მოზერუელი**

0:1 დ. ლემანი (25), 1:1 სარა (35)

დანდი: სპერონი, მაკკეი, მაირი, უილკი, ერნანდესი, რობი (რაე 58), სმიტი, ბრედი (მილნი 77), ნოვო, სარა, კაბალიერო

*ზურაბ ხიზანიშვილი სათადარიგო იყო, გიორგი ნემსაძე ტრავმირებულია*

მსაჯი: ჯიმ დაფი

5 527 მაყურებელი

**დანფერმლაინი 3:0 აბერდინი**

1:0 კროუფორდი (38), 2:0 ჯ. მაკალისტერი (48ს.კ.), 3:0 ბრიუსტერი (64პ)

**კილმარნოკი 1:1 სელტიკი**

1:0 მაკლარენი (19), 1:1 ვალგაერენი (66)

**პარტისი 1:0 პარტიკი**

1:0 მაიბერი (90)

**ლივინგსტონი 1:2 ჰიბერნიანი**

0:1 ი. მიურეი (55), 0:2 კ. ჯეიმსი (66), 1:2 ბრინკლი (90)

„სელტიკს" ერთხელაც დაუცდა ფეხი და „რეინჯერსიც" ოთხი ქულით დაუსხლტა მდევარს.

„კილმარნოკმა" მაგრად ივაჟკაცა — მთელი გუნდით როდი იდგა დაცვაში და მატჩის ბოლო წუთებზე შუახაზელ პიტერ კანერის ახლოდან ძელისთვის რომ არ გაერტყა ბურთი, იქნებ მოეგო კიდეც.

ერთი სიტყვით, „სელტიკის" მოსაგები მატჩი სულაც არ ყოფილა, თანაბარი თამაში გახლდათ და სახიფათო მომენტებიც თითქმის ერთნაირი რაოდენობით შექმნეს მეტოქეებმა.

ამასობაში კი „რეინჯერსმა" „დანდი იუნაიტედი" მიტყიპა ბარი ფერგიუსონის ჰეთ თრიქით.

თუმც „იუნაიტედის" მეკარე პოლ გალაჰერი არანაკლებ ახტუნავა აქეთიქით შოთა არველაძემ.

რეინჯერსელი ქართველი მატჩამდე სამი დღით ადრე ლონდონში გახლდათ და იქაურმა ექიმმაც ახალი ვერაფერი უთხრა — საოპერაციო არ ხარ, მარცხენა კოჭი ქრონიკულად კი გაწუხებს, მაგრამ სპეციალური ვარჯიშებითა და დროით უნდა უწამლოო.

პირველი საგოლე შანსი შოთამ სწორედ ცაციათი გააცუდა — გალაჰერმა თითები წაატანა ბურთს, რომელიც მერე ძელმა აისხლიტა.

თუმც ფერგიუსონმა მალევე შეუგდო „იუნაიტედს" საჯარიმო დარტყმით.

არველაძეს ორჯერაც მიეცა გატანის შანსი — ფერნანდო რიკსენის პასის შემდეგ მიზანი ვერ გაისწორა, მიხაელ მოლსის გადაცემის მერე კი გალაჰერმა აუღო.

ქართველმა ინდივიდუალურადაც მოახერხა სახიფათო მომენტის შექმნა, მაგრამ კვლავ მეკარემ აჯობა — არველაძის მიერ დაშენილ ბურთებზე გალაჰერი მთასავით იდგა

ფერგიუსონმა კი მეორე გოლი საშუალო მანძილიდან გაიტანა, როცა ერთ-ერთი მეტოქის პოზიციური შეცდომით ისარგებლა.

შოთა კვლავ ცდილობდა ბურთის შეგდებას, მაგრამ მიზანმა მეორე ტაიმშიც უმტყუნა. თუმც 86-ე წუთზე გალაჰერი მაინც დასაჯა — „დანდი იუნაიტედის" მეკარემ ქართველი საჯარიმოში წააქცია, ხოლო 11-მეტრიანი ფერგიუსონმა შეასრულა.

კილმარნოკის დარად თანაბარი თამაში დატრიალდა დანდიშიც. ქართველთაგან არავის უთამაშია — გიორგი ნემსაძე დაშავებულია, ზურაბ ხიზანიშვილს კი ტრავმის მოშუშების შემდეგ არა და არ ენდობიან.

| 20.00 | 273 | მარკუ-კოვილია | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 20.00 | 274 | ნავალი-ბრაგა | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 20.00 | 275 | პარედესი-გიმარაეში | 7,5 | 4,0 | 1,35 | 2,6 | 1,14 | 1 |
| 00.30 | 276 | სპორტინგი-პოსპიტალი | 1,05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |
| | | **ბელგია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 277 | ანტვერპენი-მონსი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 278 | სტ.ტრუიდენი-ლიერსი | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 23.00 | 279 | ბრიუგე-ბოხოლტერი | 1,01 | 10,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,66 |
| 23.00 | 280 | სტანდარდი-შარლერუა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.00 | 281 | ლომელი-მუსკრონი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 23.30 | 282 | ანდერლეხტი-ტურნჰაუტი | 1,03 | 9,0 | 18,0 | 1 | 1 | 6 |
| 23.30 | 283 | გენკი-ლედე | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 23.30 | 284 | ბევერენი-ვესტერლო | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| | | **საბერძნეთი. თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 285 | პანიონიოსი-იონიკოსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 21.00 | 286 | კრატიტოსი-პანათინაიკოსი | 5,6 | 3,4 | 1,55 | 2,11 | 1,21 | 1,06 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 287 | პაოკ-ოფი | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| 21.00 | 288 | აეკ-აპოლონი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | | **თურქეთი. თასი. 1/8 ფინალი.** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 289 | კონია-ქოჯაელი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 15.00 | 290 | დიარბაქირი-ანკარა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 15.00 | 291 | გენჩლერბირლიგი-გოზთეპე | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 15.00 | 292 | მალათია-ურფა | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 15.00 | 293 | რიზე-სამსუნი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 15.00 | 294 | ტრაბზონი-სივა | 1,15 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,58 |
| 19.30 | 295 | დენიზლი-ბეშიქთაში | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |
| 22.00 | 296 | გალათასარაი-ანკარაგუჯუ | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 601 | ამბრი-ციურიხი | 2,35 | 4,0 | 2,1 | 1,48 | 1,1 | 1,37 |
| 22.30 | 602 | დავოსი-რაპერსვილი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| 22.30 | 603 | კლოტენი-ბერნი | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |
| 22.30 | 604 | ლოზანა-ლუგანო | 2,8 | 4,0 | 1,8 | 1,64 | 1,09 | 1,24 |
| 22.30 | 605 | ლანგნაუ-ფრიბურგი | 1,9 | 4,0 | 2,6 | 1,28 | 1,09 | 1,57 |
| 22.30 | 606 | ცუგი-სერვეტი | 2,0 | 4,0 | 2,45 | 1,33 | 1,1 | 1,51 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 616 | კიოლნი-აუგსბურგი | 1,3 | 5,0 | 5,3 | 1,03 | 1,04 | 2,57 |
| 22.30 | 617 | ჰამბურგი-კრეფელდი | 2,1 | 4,0 | 2,35 | 1,37 | 1,1 | 1,48 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 618 | დიუსელდორფი-ფრანკფურტი | 1,5 | 4,2 | 3,8 | 1,1 | 1,07 | 1,99 |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 619 | ჰანოვერი-კასელი | 2,15 | 4,0 | 2,3 | 1,39 | 1,11 | 1,46 |
| 22.30 | 620 | იზერლონი-ინგოლშტადი | 1,6 | 4,2 | 3,3 | 1,15 | 1,07 | 1,84 |
| 22.30 | 621 | აისბარენი-კიოლნი | 1,95 | 4,0 | 2,5 | 1,31 | 1,09 | 1,53 |
| 22.30 | 622 | ჰამბურგი-მანჰაიმი | 2,3 | 4,0 | 2,15 | 1,46 | 1,11 | 1,39 |
| 23.00 | 623 | კრეფელდი-აუგსბურგი | 1,5 | 4,2 | 3,8 | 1,1 | 1,07 | 1,99 |
| 23.00 | 624 | შვენინგი-ნიურნბერგი | 2,6 | 4,0 | 1,9 | 1,57 | 1,09 | 1,28 |
| | | **ჰოკეი. ბალტიკის თასი.** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 632 | შვედეთი-ჩეხეთი | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,39 |
| | | **ჰოკეი. NHL.** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 640 | აილენდერსი-დეტროიტი | 2,7 | 3,5 | 2,0 | 1,52 | 1,14 | 1,27 |
| 04.00 | 641 | ფილადელფია-დალასი | 2,15 | 3,5 | 2,45 | 1,33 | 1,14 | 1,44 |
| 04.30 | 642 | მონრეალი-სან ხოსე | 2,0 | 3,5 | 2,7 | 1,27 | 1,14 | 1,52 |
| 05.00 | 643 | ნეშვილი-კალგარი | 2,2 | 3,5 | 2,4 | 1,35 | 1,14 | 1,42 |
| 05.00 | 644 | მინესოტა-ედმონტონი | 2,05 | 3,5 | 2,6 | 1,29 | 1,14 | 1,49 |
| 05.30 | 645 | ჩიკაგო-ვანკუვერი | 2,35 | 3,5 | 2,25 | 1,4 | 1,14 | 1,36 |
| 06.00 | 646 | ფინიქსი-პიტსბურგი | 2,15 | 3,5 | 2,45 | 1,33 | 1,14 | 1,44 |
| 07.30 | 647 | ლოს ანჯელესი-სტ.ლუისი | 2,3 | 3,5 | 2,3 | 1,38 | 1,14 | 1,38 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **კალათბურთი. ევროლიგა.** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 720 | ოლიმპია-ვილერბანი | 2,0 | 12,0 | 1,5 | 1,71 | 1 | 1,41 |
| 21.30 | 721 | ულქერი-ოლიმპიაკოსი | 1,55 | 12,0 | 2,1 | 1,37 | 1 | 1,78 |
| 22.30 | 722 | პარტიზანი-ცსკა | 2,2 | 12,0 | 1,5 | 1,85 | 1 | 1,33 |
| 23.00 | 723 | პანათინაიკოსი-ჟალგირისი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 23.30 | 724 | უნიკახა-ბუდუჩნოსტი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 23.30 | 725 | კინდერი-რეალი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 23.30 | 726 | ბარსელონა-აეკ | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 727 | სიენა-მაკაბი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 23.30 | 728 | ალბა-სკიპერი | 1,9 | 12,0 | 1,7 | 1,64 | 1 | 1,48 |
| 23.30 | 729 | ციბონა-პო ორტეზი | 1,35 | 12,0 | 2,5 | 1,21 | 1 | 2,06 |
| 23.30 | 730 | ბენეტონი-ეფესი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 23.30 | 731 | ტაუ-ოლიმპია | 1,35 | 12,0 | 2,5 | 1,21 | 1 | 2,06 |
| | | **კალათბურთი. ულების თასი** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 732 | ურალი-გრაველინი | 1,3 | 12,0 | 2,6 | 1,17 | 1 | 2,13 |
| 21.00 | 733 | კრკა-ტრიესტი | 1,5 | 12,0 | 2,2 | 1,33 | 1 | 1,85 |
| 23.00 | 734 | ფელიხნიცი-ვალენსია | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 23.30 | 735 | ფუენლაბრადა-ხუვენტუდი | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 23.30 | 736 | უდინე-ტულუმი | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 23.30 | 737 | რომეტო-ოსტენდე | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 23.30 | 738 | ესტუდიანტესი-დარუშაფაკა | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 23.30 | 739 | შალონი-კიოლნი | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1,64 |
| 23.30 | 740 | ლეიდა-ასტრონავტსი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| 23.30 | 741 | შოლე-ზადარი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 742 | შარლერუა-ვარეზე | 2,2 | 12,0 | 1,5 | 1,85 | 1 | 1,33 |
| 23.00 | 743 | სკაილაინერსი-პივოვარნა | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1,64 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 04.30 | 744 | ატლანტა-ვაშინგტონი | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |
| 04.30 | 745 | ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი | 2,1 | 12,0 | 1,55 | 1,78 | 1 | 1,37 |
| 05.00 | 746 | მილუოკი-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 05.00 | 747 | მინესოტა-ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,9 | 1,41 | 1 | 1,64 |
| 05.30 | 748 | დალასი-ინდიანა | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 07.00 | 749 | პორტლენდი-ნიუ ორლეანი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 07.00 | 750 | საკრამენტო-ფინიქსი | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 2001 | კომო-უდინეზე | 3,0 | 2,0 | 3,3 | 1,2 | 1,57 | 1,24 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 18 დეკემბერი | | | |
| 23.30 | 2501 | კომო-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

18 დეკემბერი

23.30 2401 კომო-უდინეზე ---------- 1,85 ---------- 1,95

**რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

18 დეკემბერი

23.30 2201 კომო-უდინეზე ---------- 1,8 ---------- 1,8

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

---------- კი ---------- არა

18 დეკემბერი

23.30 2301 კომო-უდინეზე ---------- 1,7 ---------- 1,9

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 23.30 | 2101 | კომო-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.12 | 19.00 | 2601 | ინგლისი პლ. (XIX ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 21.12 | 21.00 | 2602 | იტალია "A" (XV ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 21.12 | 21.00 | 2603 | ესპანეთი Iდ. (XV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 21.12 | 22.00 | 2604 | პორტუგალია Iლ. (XV ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 21.12 | 23.00 | 2605 | ბელგია Iდ. (XVII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 21.12 | 15.30 | 2606 | თურქეთი. (XVIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“, ყოფილი „დელისი“);

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Р კორპუსი

პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## საქართველოს ჩემპიონატი

ფინალი 14 დეკემბერი. ბათუმი

### დათვები 27:10 დათვები 2

დათვები: ე. ძაგნიძე (მაჩიტიძე), ჯ. ელოშვილი (თ. აშვეთია), კაპანაძე, პიწხელაური, ხორნელიძე, კიკნაძე, კაკაჩიაშვილი (ხელაძე); დადუნაშვილი, ბალანჩივაძე (ცნობილაძე), მარგველაშვილი, პავლოვი, ჩიოგაძე, ცხვედიანი, ყურაშვილი (ტორაძე), უჩავა (საყვარელიძე)
2ლ: კიკნაძე, საყვარელიძე; სგ: კიკნაძე; ნს: ე. ძაგნიძე, კიკნაძე (3), მაჩიტიძე
დათვები 2: დავლაძე, სურმანიძე, ე. ევგენიძე (მანთიძე), ს. ევგენიძე, შავაძე (დავითაძე), ჩუბინიძე, ჯ. გიორგაძე, მოლაშხია (რ. ბარამიძე), ბურჭულაძე (თათეშვილიანი), პაპავა (კუპულაძე), ალიქაძე (სოსელია), პარწიკანაშვილი (კუჭულია), კიკვიძე, გუგუშვილი, ხალვაშია
2ლ: პარწიკანაშვილი, დავლაძე
მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი; მეთვალყურე: მერაბ დანელია



„დათვი" ტალახშიც „დათვია"

# ქართული რაგბის ტყეში დათვია მეფეც, ბატონიც

**ბაჩო სმანიძე ბათუმიდან**

**სამი წლის** შემდეგ ბზის თასი ისევ ბათუმშია. ბათუმის „დათვები" მეორედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონობი.

„დათვებმა" თავიანთ „ნაგრამს" მოუგეს და ღირსეულად იჩემპიონეს. ლევან მგელაძის შეგირდებმა პირველობა წაუგებლად, უფროდ ჩაამთავრეს, თანაც სეზონი ქვეყნის თასის მოგებითაც დაიწყეს.

სეზონით უკმაყოფილონი არც უმცროსი „დათვები" და მათი მწვრთნელი რამაზ სანებლიძე დარჩნილან, შრომა სადებიუტო სეზონშივე ვერცხლის მედლებით დაუფასდათ. ისეთი ბობოლა თბილისური კლუბებიც ჩამოიტოვეს, „ლოკომოტივი" და „ყოჩები" რომ არიან.

ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ აჭარაში რაგბის განვითარება ოღონდ 6 წლის წინ დაიწყო და ამ ხანში „დათვებმა" ორჯერ ჩემპიონობა, სამჯერ ვიცეჩემპიონობა და ორჯერ საქართველოს თასის მოგება შეიძლეს. ამას ყველაფერს პატარა „დათვების" წლევანდელი ვერცხლიც დაერთო.

ფინალს ძალიან ცოტა მაყურებელი დაესწრო. დასავლეთ ტრიბუნაზე კანტიკუნტად თუ ისხდნენ გულშემატკივრები. სამაგიეროდ, ბლომად იყვნენ ფორმიანები, რაკი მატჩზე მოსვლას ასლან აბაშიძე აპირებდა. ტრიბუნები და სამთავრობო ლოჟა დილიდანვე საგულდაგულოდ შემოწმდა პოლიციელებისა და ძაღლების მიერ. უბრალო გულშემატკივარის სიმცირე კი ალბათ იმის ბრალი იყო, რომ ბათუმში ამ მატჩის გამართვის შესახებ თითქმის არავინ იცოდა, ქალაქში მხოლოდ საფეხბურთო მატჩის ძველი აფიშებილა იყო. თანაც, გზის მოყინვის გამო ჩაიკეტა ჩაქვის ულელტეხილი, ბათუმის მატარებელში ადგილის პოვნა კი ძნელი საქმე იყო. გადათვებული თბილისელი თუ ქუთაისელი მორაგბეების ახლობლებმა სწორედ ამიტომ ვერ შეძლეს ზღვისპირეთში ჩასვლა.

მატჩი წესით ანგისას მოედანზე უნდა გამართულიყო, მაგრამ თამაშის დღეს გადაწყდა, რომ ფინალი ცენტრალურ სტადიონზე შედგებოდა. მიზეზი ანგისას დატბორილი მოედანი იყო. თუმცა არც ცენტრალურის საფარი გახლდათ უკეთესი — გაზონი ერთიანად მოყინულიყო, მერე კი, როცა გამოიდარა და ყინული გალხვა, გუბეებიც გაჩნდა.

დაიწყო მატჩი და 15 წუთში მსაჯსაც კი უჭირდა მორაგბეების გარჩევა. ყველა ტალახში ამოიგანგლა და მალიმალ წყალს ითხოვდნენ, თვალებიდან ტალახი რომ მოებანათ.

და მაინც, მატჩი საინტერესო საყურებელი გამოდგა. გუნდებმა ბოლომდე იომეს და ორ-ორი ლელოს გატანაც შეძლეს. დიდმა „დათვებმა" თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა და მატჩის საუკეთესო მოთამაშის, დავით კიკნაძის ლამაზი ლელოთი, გარდასახვით და საჯარიმოებით გვარიანად დაწინაურდნენ. ამ დროს კი ტრიბუნებზე „საგანგებო რეჟიმში" მუშაობდა სამთავრობო დაცვა. ერთმა ონავარმა ბავშვმა სამთავრობო ლოჟასთან „ხლოპუშკა" ააფეთქა და ატყდა ერთი ამბავი. სანამ გაირკვეოდა, რა მოხდა, ცალკე რაციებით ლაპარაკი არ შეწყვეტილა, ცალკე ტრიბუნებზე გადაცმულთა მოძრაობა.

მეორე ტაიმი პირველზე უკეთესი სანახავი გამოდგა. ახალგაზრდა „დათვებმა" მთელი ძალები მოიკრიბეს და მეტოქეს მიაწვნენ. სხვებზე მეტად გამოირჩა ყოფილი ბორჯღალოსანი სოსო პარწიკანაშვილი, ვინც ისე დაბობტებდა მოედანზე როგორც უბნის ყოჩი პატარა ბიჭებში. „პარწიკანამ" თავისი ლელო გაიტანა და მალე შესაცვლელიც შექნა, თუმც ამის მიუხედავად თავისიანებიდან საუკეთესოდ დაასახელეს.

უმცროსები მერეც აწვებოდნენ უფროსებს, მაგრამ დიდების შერკინება კახა უჩავასა და რუსეთიდან მობრუნებული ალეკო მარგველაშვილის მეთაურობით მაგრად დადგა. სხვათა შორის, მარგველაშვილი რუსეთის სუპერლიგის საუკეთესო ბურჯად აღიარეს, გარუსებასაც უპირებენ, თუმც ალეკო რუსეთის ნაკრებში თამაშსაც უარობს და გვარიან გასამრჯელოსაც. კარგი იქნება, ჩვენი ნაკრების უფროსობა ამ ბიჭს საქმეში თუ ნახავს და ისიც არ დაიკარგება საქართველოსთვის.

მატჩის მიწურულს, როცა ცხადი გახდა, რომ „დათვები" 14-ქულიან უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ, მწვრთნელებმა ყველა შეცვლა გამოიყენეს, სწორედ ამ დროს შევიდა მოედანზე უბერებელი კახა მაჩიტიძე, რომლის გატანილ საჯარიმოს მსაჯის საფინალო დასტვენაც მოჰყვა. მაჩიტიძემ ტალახში ამოსვრაც ვერ მოასწრო, სამაგიეროდ, თანაგუნდელებმა არ დატოვეს „უყურადღებოდ" და ტალახის გუნდები დააყარეს ვეტერანს.

ახალგაჩემპიონებულმა „დათვებმა" ბზის თასით წაიბურთავეს კიდეც მერე იყო მილოცვები და დილამდე ლხინი ქალაქში, სადაც უკვე იგრძნობა ახალი წლის მოახლოება. ბათუმის მთავარ ქუჩებსა და მოედნებზე უზარმაზარი, ლამაზად მორთული ხელოვნური ნაძვის ხეები და პალმები უკვე ნაირფრად ციმციმებენ.



## საქართველოს ჩემპიონატი

# სადაზღვევო პოლის-ტილო ჩვარმა თამაში გადაარჩინა

## ცინცაძე: ბასკომ პერსპექტივა შეიმატა

**ირაკლი ბერტაია**

**ამ უქმეებს** ისეთი მატჩები დაემთხვა, ერთი შეხედვით საინტერესოს არაფერს უქადდა მაყურებელს. თამაშთა დაძაბულობაზე ბევრს მართლაც ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ შაბათ-კვირის ამბავ-ხაბარი ერთობ ტრაგიკომიკური დასჯილი მსაჯითა და იატაკის საწმენდი ტილოთი.

იატაკის საწმენდი ტილო თუ გინახავთ შუა მოედანზე გაგანია თამაშისას? კვირას ესეც ვნახეთ — „აკადემია" თსუ-ს რომ ეთამაშებოდა, თითქმის მოედნის ცენტრში დიდი შავი ტილო ეგდო. ისე, ორგანიზატორებს არც გაემტყუნებათ: ის ჩვარი რომ არა, შესაძლებელია, ვინმეს რამე მოეტეხა — ვერის ბაღის დარბაზის სახურავიდან წყალი ზედ მოედანზე წვეთავდა. პირველად ეს მაშინ გაირკვა, როცა „აკადემია" — თსუ-ს მანდილოსან მსაჯ ხათუნა გაბედავას ფეხი დაუცდა და მწარედ დაეცა. წვეთა არ წყდებოდა და მატჩს ხომ არ გადადებდნენ — ჩვარი მოიშველიეს.

ისე, ეს მატჩი მთლად უინტერესო არ ყოფილა და ამის მიზეზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდია, რომლისთვისაც ეს ბოლო თამაში იყო წლეულს. სტუდენტებმა ოთხმარცხიანი პირველი წრის შემდეგ მეორე წაუგებლად განვლეს და აუტსაიდერ „აკადემიასთან" შეხვედრაში თავს მოდუნების უფლება მისცეს. თსუ ოღონდ 7 კალათბურთელით ეთამაშა მეტოქეს და მხოლოდ უკანასკნელ მეოთხედში თუ აჯობა, მანამდე კი უმეტესწილად მდევრის როლში იყო — ერთხანს 12 ქულითაც აგებდა. აკადემიელთაგან ჩვეულებისამებრ გიორგი ცინცაძე გამოირჩა, რომელმაც 10 სამქულიანი ჩაუგდო სტუდენტებს და ვისთვისაც ეს იყო ბოლო მატჩი „აკადემიაში". ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა ამიერიდან ბასკოელია — გუშინ ცინცაძე ბათუმს გაემგზავრა.

ერთადერთი მართლაც დაძაბული მატჩი შაბათს გაიმართა თსუ-სა და „აზოტს" შორის. რუსთაველებს სტუდენტებთან თამაში, როგორც ჩანს, ეადვილებათ, აკი თბილისელები წინა წრეში დაამარცხეს. ეს შეხვედრაც ტოლსწორად წარიმართა და გამარჯვებულიც ბოლო წუთზე გამოვლინდა. ამ მატჩში კვლავ ვიხილეთ ჩვენი ჩემპიონატის ძველი და ერთ-ერთი გამორჩეული დუელი — რამაზ გოგობერიშვილისა და მამუკა ტურაშვილის დაპირისპირება. ალბათ გახსოვთ „ვითა" — „აზოტის" სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებები. ახლა ტურაშვილი თსუ-დან ერჩოდა „აზოტს" და არცთუ ურიგოდ.

მთელი თამაში თანაბარ ბრძოლაში გაილია. პირველი მეოთხედის მერე სხვაობა ხუთ ქულაზე მეტი აღარ ყოფილა. მცირედით ხან თსუ უსწრებდა, ხანაც — „აზოტი".

„დინამოსთან" წინა შეხვედრაში ვალერი კილაძის დაშავების შემდეგ თსუ-ს სულზე მოუსწრო გამოცდილმა მეფარე გოდერძი კორძაძემ, რომელიც ტრავმის გამო კარგა ხანს უქმობდა. იგი, ლევან ქარაბაკთან ერთად, თსუ-ს ფარს რუსთაველთა ყოჩაღად მოთამაშე მაღლებისგან იცავდა — შოთა მაჭარაძემ და მიხეილ ბერუაშვილმა „აზოტს" მატჩის დებიუტში არაერთი ქულა შესძინეს, თუმც შემდეგ სტუდენტთაგან შეიბორკნენ და თამაშიც თანაბარ კალაპოტში ჩადგა.

ბოლო მეოთხედი თსუ-მ 5-ქულიანი ფორით განაახლა, მაგრამ ბერუაშვილის ყოჩაღობით „აზოტი" მალევე დაწინაურდა. ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ შეიცვალა ლიდერი, სანამ საფინალო სირენამდე 70 წამით ადრე ლევან ქარაბაკმა შორი სამქულიანით თსუ საბოლოოდ არ დააწინაურა — 84:82. აქ კი მსაჯებს შეცდომა მოუვიდათ, როცა თსუ-ელთა რუსთაველებზე დაჯარიმებისას შეტევისათვის განკუთვნილი 24 წამის ათვლა თავიდან არ დაიწყეს. „აზოტმა" აუჩქარებლად გაათამაშა შეტევა, მაგრამ 24-ის ნაცვლად 10 წამში ჩამოერთვა ბურთი. ამის მიუხედავად, ქვემოქართლელებს კვლავ მიეცათ თამაშის გადარჩენის შანსი, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 10 წამით ადრე აზოტელ რამაზ გოგობერიშვილს ირაკლი მაისურაძემ ჩაუჭრა და ქარაბაკმა საჯარიმოდან სტუდენტთა გამარჯვების ქულები ჩააგდო.

შაბათს ორი მატჩიც შედგა, მაგრამ არც ერთი არაა ჩასაძიებელ-ჩასაკირკიტებელი. „ბასკომ" არხეინად მოუგო „მაკაბის" და ამ მატჩიდან მხოლოდ ტყუპი ბერიშვილების დაპირისპირებას თუ გამოვარჩევთ, რომლებსაც აქამდე სულ ერთ გუნდში უთამაშიათ. მაკაბელმა ირაკლიმ დავითზე მეტხანს ითამაშა და მეტი ქულაც ალბათ ამიტომ გააკეთა. „სტუ-ელებმა" კი „აკადემია" დაამარცხა, თუმც მთელი შეხვედრა კატათაგვობანას ეთამაშებოდა და მხოლოდ ბოლო მეოთხედში გაიმეტა.

მატჩები რომ დასრულდა, მსაჯთა ოთახში „ამხანაგური" სასამართლო მოუწყვეს არბიტრ ზურაბ აბაშიძეს. მსაჯთა ასოციაციის წევრებმა აბაშიძეს, რომელიც ორი კვირის წინ „აზოტი" — „დინამოს" განსჯისასაც არაერთხელ შეცდა, მესამე წრეში მსაჯობა აუკრძალეს და სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაციაც დაუწესეს.



გელა წულაძის თსუ-მ მეორე წრეში ყველას აჯობა

14 დეკემბერი. ვერის ბაღი

**სტუ 104:87 აკადემია**

20:22, 21:27, 25:16, 38:22

სტუ: ტულუში (24), მარხვაშვილი (8), ლაფანაშვილი, ოთიურიძე (7), ახალკაცი (12); გაგნიძე (5), ლოსაბერიძე (18), ტუჯანი (12), დავითულიანი (6), მუშკუდიანი (12)
აკადემია: ცინცაძე (26), ლეჟავა (14), ბუქაური (11), გვიმრაძე (11), ჯანეზაშვილი (5); გიორგობიანი (8), დერიუგინი (6), ბურასპაული (2), ათანელაშვილი (4)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ გელოვანი

**თსუ 86:82 აზოტი**

18:22, 25:18, 26:24, 17:18

თსუ: ი. მაისურაძე (10), ტურაშვილი (23), ორმოცაძე (6), ქარაბაკი (25), კორძაძე (8); არსიაშვილი (14), გ. ჩხეიძე, მიქაძე
აზოტი: არწივიძე (10), გოგობერიშვილი (18), კოკოლიშვილი (16), ბერუაშვილი (17), მაჭარაძე (8); გაბისონია (5), დანელიანი (6), ტყეშელაშვილი (2)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

**მაკაბი 72:114 ბასკო**

22:29 19:25 13:32 18:28

მაკაბი: ი. ბერიშვილი (17), ანდღულაძე (14), კონჯარია (10), ვაშაკიძე (9), ფიცხელაური (11); ნინოშვილი (2), ქოქოსაძე (1), ერგემლიძე (2), ტატუნაშვილი (6)
ბასკო: დ. ბერიშვილი (6), ნიკოლაძე (17), ლ. შანიძე (5), ბაბიაშვილი (23), შენგელია (15); იამჩუ (11), წოწელია (12), კეშელავა (19), მინაშვილი (2), კიდია (2), როდუმტა, ჩხატარაშვილი (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ ანდრიაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

15 დეკემბერი. ვერის ბაღი

**აკადემია 96:109 თსუ**

22:23, 27:20, 25:29, 22:37

აკადემია: ცინცაძე (35), ლეჟავა (20), ბუქაური (26), გვიმრაძე (6), ჯანეზაშვილი (7); გიორგობიანი (2), დერიუგინი
თსუ: ი. მაისურაძე (11), გამყრელიძე, ორმოცაძე (13), ქარაბაკი (29), სანიკიძე (12); არსიაშვილი (15), მიქაძე (29)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**დინამო 112:72 მაკაბი**

27:14, 34:19, 25:17, 26:22

დინამო: ნაცვლიშვილი (16), რ. ჩხეიძე (15), ბეჟანიშვილი (4), ჩუბინიძე (8), ოგანესიანი (6); აბრამიძე (13), ნინიაშვილი (4), სიროვინა (26), მარკოიშვილი (16), მუპე (4)
მაკაბი: ი. ბერიშვილი (14), ნინოშვილი(6), კონჯარია (13), ფიცხელაური (10), ტატუნაშვილი (19); ქოქოსაძე (5), ერგემლიძე, ანდღულაძე (5)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ ანდრიაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

15 დეკემბერი. რუსთავი

**აზოტი 86:76 ქუთაისი**

25:15, 26:15, 22:19, 13:27

აზოტი: არწივიძე (6), კოკოლიშვილი (9), გოგობერიშვილი (21), ბერუაშვილი (18), მაჭარაძე (10), გაბისონია (3), გოგსაძე (4), ლიპარტელიანი (7), დანელიანი (4), ჯიმშელეიშვილი (4)
ქუთაისი: ნ. შანიძე (4), დ. მაისურაძე (16), კვიმსაძე (5), დ. ბოლქვაძე (14), იმნაძე (14), ცერცვაძე (1), დარახველიძე (2), ნინუა (10), დოლიძე (10)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 16 | 12 | 4 | +102 | 28 |
| სტუ | 15 | 12 | 3 | +250 | 27 |
| დინამო | 14 | 12 | 2 | +320 | 26 |
| აზოტი | 15 | 9 | 6 | +12 | 24 |
| ბასკო | 13 | 10 | 3 | +308 | 23 |
| მაკაბი | 16 | 4 | 12 | -308 | 20 |
| აკადემია | 16 | 1 | 15 | -259 | 17 |
| სსუ | 14 | 3 | 11 | -290 | 17 |
| ქუთაისი | 13 | 3 | 10 | -135 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




REUTERS მათიშვილი

ვლადიმერ სტეფანიამ „ნიუ იორკთანაც" კარგად ითამაშა

# ქართული მომენტი
## გეკადრებათ, პატ პატ?!

— 13 დეკემბერი —

**მაიამი 92:97 ნიუ იორკი**

მაიამი: ბესტი (14), ჯონსი (24), კ. ბატლერი (12), ალენი (17), გრანტი (12); ჯეიმსი (9), სტეფანია (17 წუთი, 4 ქულა, 8 მოხსნა), რ. ბატლერი

ნიუ იორკი: ეისლი (8), ჰიუსტონი (13), სპრიუელი (30), ო. ჰარინგტონი (3), ტომასი (10); უორდი (14), ანდერსონი (10), დოლიკი (6), ვეზერსპუნი (3)

— 14 დეკემბერი —

**მაიამი 101:92 გოლდენ სტეიტი**

მაიამი: ბესტი (4), ჯონსი (38), კ. ბატლერი (6), ალენი (11), გრანტი (14 ქულა, 14 მოხსნა); ჯეიმსი (16), სტეფანია (31 წუთი, 8 ქულა, 10 მოხსნა, 3 დაფარება, 1 ჩაჭრა), რ. ბატლერი (4)

გოლდენ სტეიტი: არენასი (17), რიჩარდსონი (17), ჯემისონი (25), მერფი (12), დამპიე (11); ბოიკინსი (8), დანლივი (2), ფორტსონი, ფოილი, მაილზი

— 13 დეკემბერი —

**ინდიანა 94:72 დენვერი**

ინდიანა: ტინსლი (3), რ. მილერი (4), არტესტი (10), ა. ჰარინგტონი (11), ონილი (12); მერსერი (19), კროშერი (17), ბენდერი (5), ბრიჯიკი (5), სტრიკლენდი (4), ფოსტერი (4)

დენვერი: ვიტნი (14), ჰოუზი (5), ბოუენი (7), ჰოვარდი (10), ბლუნტი; ვაიტი (12), ილარიო (10), ცქიტიშვილი (28 წუთი, 5 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება), სატერფილდი (4), იარბრო (3), ლ. ჰარინგტონი (2), ჰარვი

— 14 დეკემბერი —

**კლივლენდი 111:104 დენვერი**

კლივლენდი: პარკერი, ვაგნერი (29), დევისი (27), ბილი (2), ილგაუსკასი (29 ქულა, 8 მოხსნა, 7 დაფარება); ბუზერი (14), მაილზი (10), პალასიო, დიოპი

დენვერი: ვიტნი (18), ჰოუზი (21), ჰარვი (10), ჰოვარდი (11 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ბლუნტი (15); ვაიტი (18), ილარიო (9), ლ. ჰარინგტონი (2), ბოუენი, იარბრო, ცქიტიშვილი (3 წუთი, 1 მოხსნა)

მსაჯთან მოკამათე მწვრთნელი — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის იმდენად ბანალური და ყოველდღიური სურათია, რომ ჩვენში დაძაბული თამაში არ ჩაივლის არბიტრსა და გუნდის თავკაცს შორის ურთიერთობის გაუმწვავებლად. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ადამიანთან ურთიერთობის დაუწერელი ნორმა-კანონების დამრღვევთ ლანძღვა-გინება და ამაზე მეტიც ჩვენში ჭიანჭველის გაჭყლეტასავით შერჩენიათ.

მსაჯით უკმაყოფილო მოთამაშეები და მწვრთნელები მანამ არ გამოილევიან, სანამ მსაჯები, მოთამაშეები და მწვრთნელები იარსებებენ. თქვენ წარმოიდგინეთ, საათზე უკეთესად აწყობილ ნბა-შიც კი მოიძევებიან არბიტრებით უკმაყოფილონი. არ ვბედავთ და ნბა-ს არ ვადარებთ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, უბრალოდ, შურით ვუყურებთ იმ სამყაროს, სადაც ყველა სხვა სიკეთესთან ერთად დარბაზები გაკაშკაშებულია, ტრიბუნები სავსე, ხოლო მსაჯთან მოკამათე მწვრთნელი მხოლოდ დისციპლინის დამრღვევი კაცია და არა გამგელებული ადამიანი, თავისივე მსგავსი არსების ნაკუწებად ქცევის სურვილი რომ ჰკლავს.

ნბა-ში კანონი ერთნაირი და უკომპრომისოა მაიკლ ჯორდანისთვისაც და დესაგანა დიოპისთვისაც. „მაიამი ჰიტის" მწვრთნელი პატ რაილი არაერთხელ დაუსჯიათ მსაჯებთან საქმის გარჩევისთვის. დიდი პატი პატივცემული კაცია, მაგრამ ამ შემთხვევაში მის ღირსებას არავინ უყურებს. არც ამ პარასკევს მოერიდნენ. „ნიუ იორკთან" შეხვედრაში პატი მთელი მატჩის განმავლობაში შფოთავდა, ხოლო როგორც კი მესამე მეოთხედში მსაჯს რაღაცის მტკიცება და კამათი დაუწყო, პასუხად წამსვე ტექნიკური მიიღო. გარდა ამისა, უახლოეს სხდომაზე ნბა-ს დისციპლინარები განიხილავენ ამ საკითხს და რაილის უეჭველად რამდენიმეათასიან ჯარიმას ჩამოკიდებენ კისერზე.

არადა, „მაიამის" მწვრთნელი შესაძლოა არც უსაფუძვლოდ ეკამათებოდა მსაჯს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. მან აუწია ხმას და ამისთვის წესდების შესაბამისად დაისჯება.

ახლა ისიც ვთქვათ, რა აყვირებდა რაილის. ის იმას უმტკიცებდა მსაჯს, ჩემი მოთამაშე კერონ ბატლერი სულ ტყუილად დააჯარიმეო და საერთოდაც შფოთავდა იმის გამო, რომ მისი გუნდის ფარის სიახლოვეს ძალიან ხშირად გაისმოდა მსაჯის სასტვენის ხმა. „მსაჯებმა სულ ტყუილად დაგვაჯარიმეს 4-5 შემთხვევაში. თამაში დაწვრილებით რომ გავარჩიოთ, იქნებ მეტი შეცდომაც აღმოვაჩინოთ, თან ისინი მუდამ ჩვენს საზიანოდ სტვენდნენ. მე არც ბრმა ვარ, რომ ეს ვერ დავინახო, და არც მუნჯი, რომ ამაზე ხმა არ დავძრა". რაილი ვერც ნამატჩევს დამშვიდდა. მისი შეგირდები 26-ჯერ დაჯარიმდნენ ნიუიორკელებზე, თამაში კი მხოლოდ 5 ქულით წააგეს. რაილის აზრით, მსაჯებს თავიანთი უფლებები ბოროტად რომ არ გამოეყენებინათ მისი გუნდის წინააღმდეგ, „მაიამი" უეჭველად მოიგებდა.

სამაგიეროდ, „მაიამიმ" მოიგო მომდევნო მატჩი. „გოლდენ სტეიტთან" შეხვედრაში „მაიამის" ლიდერმა ედი ჯონსმა კარიერაში უმეტესი, 38 ქულა ჩააგდო და ხალხს ცოტა ხნით დაავიწყა, რომ წლეულს ვინძლო ყველაზე ცუდი სეზონი ჰქონდეს. საკმაოდ რიგიანად ითამაშა ვლადიმერ სტეფანიამაც. „მაიამის" 216-სანტიმეტრიანმა ქართველმა 31 ნაყოფიერი წუთი გაატარა მოედანზე და თავისიანთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოც გახლდათ. წლეულს უკვე თამამად ითქმება, რომ ვოვა შეეგუა ნბა-ს და პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში თავისი ადგილი იპოვა. ნბა-ში თავის მე-5 და საუკეთესო სეზონში ის „მაიამის" წამყვანი სათადარიგოა და უკვე აღარ უჩივის უთამაშებლობას.



REUTERS მათიშვილი

პატივცემულმა პატ რაილიმ მსაჯს პატივი არ სცა

სათამაშო პრაქტიკა არ აკლია ნბაში მოხვედრილ მეორე ქართველს ნიკა ცქიტიშვილსაც, მხოლოდ იგი ჯერაც ეძებს საკუთარ თამაშს და თავს. მისი გუნდი მარცხებშია, გამუდმებით აგებს (აი, ამ უქმეებზეც ორივე თამაში დათმო) და მწვრთნელი ჯეფ ბზდელიკი თამამად ათამაშებს ყმაწვილ ქართველს. ნიკაც თანდათან ეჩვევა იქაურ ზეკალათბურთს. პარასკევს „ინდიანასთან" შეხვედრა მისმა „დენვერმა" პირველივე ნახევარში (28:53) წააგო და ბზდელიკმაც ცქიტიშვილი კარგა ხანით, 28 წუთით დატოვა მოედანზე.

**ირაკლი ფირცხვილი**

— 13 დეკემბერი —

**ლეიკერსი 82:98 ნიუ ორლეანი**

**ორლანდო 111:85 გოლდენ სტეიტი**

**ფილადელფია 91:99 ფინიქსი**

**ტორონტო 79:91 სიეტლი**

**ბოსტონი 115:100 კლივლენდი**

**ნიუ ჯერსი 79:65 ვაშინგტონი**

**მემფისი 114:109 ჰიუსტონი**

ძირითადი დრო 105:105

**მილუოკი 101:79 პორტლენდი**

**სან ანტონიო 97:84 კლიპერსი**

— 14 დეკემბერი —

**ატლანტა 88:102 ფინიქსი**

**დეტროიტი 91:78 სიეტლი**

**ჩიკაგო 97:95 მილუოკი**

**ჰიუსტონი 83:94 კლიპერსი**

**ნიუ იორკი 90:113 ბოსტონი**

**მინესოტა 92:98 პორტლენდი**

ძირითადი დრო 85:85

**დალასი 104:87 მემფისი**

**იუტა 96:98 საკრამენტო**

— 15 დეკემბერი —

**ტორონტო 82:95 ვაშინგტონი**

**დეტროიტი 101:91 ნიუ ჯერსი**

**ლეიკერსი 107:84 ორლანდო**

**ინდიანა 107:97 ფილადელფია**

**საკრამენტო 107:92 ნიუ ორლეანი**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ბოსტონი | 16 | 7 | 69,6 |
| ნიუ ჯერსი | 16 | 8 | 66,7 |
| ფილადელფია | 15 | 9 | 62,5 |
| ორლანდო | 13 | 12 | 52,0 |
| ვაშინგტონი | 10 | 13 | 43,5 |
| ნიუ იორკი | 7 | 14 | 33,3 |
| მაიამი | 6 | 17 | 26,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 18 | 5 | 78,3 |
| დეტროიტი | 16 | 7 | 69,6 |
| ნიუ ორლეანი | 17 | 8 | 68,0 |
| ატლანტა | 10 | 13 | 43,5 |
| მილუოკი | 10 | 13 | 43,5 |
| ტორონტო | 7 | 16 | 30,4 |
| ჩიკაგო | 7 | 16 | 30,4 |
| კლივლენდი | 5 | 20 | 20,0 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 20 | 3 | 87,0 |
| სან ანტონიო | 14 | 9 | 60,9 |
| ჰიუსტონი | 12 | 10 | 54,5 |
| მინესოტა | 13 | 11 | 54,2 |
| იუტა | 12 | 11 | 52,2 |
| დენვერი | 6 | 18 | 25,0 |
| მემფისი | 6 | 19 | 24,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 20 | 6 | 76,9 |
| ფინიქსი | 13 | 10 | 56,5 |
| სიეტლი | 13 | 11 | 54,2 |
| პორტლენდი | 11 | 11 | 50,0 |
| კლიპერსი | 10 | 14 | 41,7 |
| ლეიკერსი | 10 | 15 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 15 | 34,8 |



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ჩიკაგოს ციმ-ციმ 13

— 13 დეკემბერი —

**ედმონტონი 4:3 კოლორადო 1:1 1:1 1:1 1:0**

0:1 შეიდუკი (4), 1:1 იორკი (16), 1:2 მესიე (27), 2:2 კარტერი (32), 2:3 მაკამონდი (42), 3:3 ლარაქი (49), 4:3 ჩაიმერა (64)

**დალასი 3:1 ატლანტა 1:0 0:0 2:1**

1:0 გერინი (8), 2:0 არნოტი (49), 2:1 ჰრკაჩი (52), 3:1 მოდანო (60)

**ფლორიდა 3:3 აილენდერსი 1:0 0:2 2:1 0:0**

1:0 იოკინენი (2), 1:1 კ. იენსონი (25), 1:2 ბეიტსი (39), 2:2 რ. ჯონსონი (42), 2:3 ბლეიკი (51), 3:3 შუსელიუსი (56)

**ფინიქსი 3:4 ვაშინგტონი 1:2 1:0 1:2**

0:1 ნიულანდერი (2), 1:1 სიმპსონი (2), 1:2 გრიერი (17), 2:2 ნადი (40), 2:3 კონოვალჩუკი (45), 2:4 გრიერი (48), 3:4 ნიუმინენი (56)

**ბუფალო 1:1 ჩიკაგო 0:1 0:0 1:0 0:0**

0:1 ჟამნოვი (4), 1:1 შატანი (60)

11 წლის განმავლობაში ვერ იყენებდა ჩიკაგო ბულიტებს, 13 დეკემბერს ნავსი მე-13 ცდაზე მე-13 ნომრით მოთამაშე ალექსეი ჟამნოვმა გატეხა!

— 14 დეკემბერი —

**ლოს ანჯელესი 3:2 პიტსბურგი 0:1 1:1 1:0 1:0**

0:1 კოვალიოვი (10), 1:1 პალფი (32), 1:2 პრდინა (33), 2:2 კ. ჯონსონი (49), 3:2 შნაიდერი (65)

**ნეშვილი 3:1 მინესოტა 1:0 1:0 1:1**

1:0 უოკერი (17), 2:0 უოკერი (34), 2:1 ბრიუნეტი (42), 3:1 ჰოლი (52)

**სან ხოსე 2:0 ვაშინგტონი 2:0 0:0 0:0**

1:0 შტურმი (9), 2:0 გრეიგსი (15)

**კალგარი 1:3 კოლორადო 0:0 0:2 1:1**

0:1 მაკამონდი (29), 0:2 მორისი (35), 1:2 იგლი (48), 1:3 ნედოროსტი (50)

**ედმონტონი 3:6 ვანკუვერი 1:2 2:4 0:0**

0:1 ნესლუნდი (1), 1:1 იორკი (13), 1:2 ნესლუნდი (17), 2:2 რ. სმიტი (21), 2:3 ნესლუნდი (26), 2:4 ბერტუცი (27), 2:5 დ. სედინი (28), 2:6 ნესლუნდი (33), 3:6 ჩაიმერა (33)

ახალი ლიდერი მეგოლეთა შორის: კარიერაში პირველი ჰოკერის შემდეგ 20 გოლით სნაიპერთა სიას ვანკუვერელი მარკუს ნესლუნდი გაუძღვა.

**ფილადელფია 2:0 ბუფალო 0:0 1:0 1:0**

1:0 ბრაშიერი (36), 2:0 დესარდენი (55)

**მონრეალი 4:2 ბოსტონი 2:1 2:0 0:1**

0:1 ჰუმლი (3), 1:1 ზედნიკი (6), 2:1 კოლგური (15), 3:1 რიბე (25), 4:1 პერო (29), 4:2 მაკინისი (43)

**ტორონტო 4:1 რეინჯერსი 2:1 0:0 2:0**

1:0 სუნდინი (9), 2:0 ანტროპოვი (18), 2:1 მესიე (20), 3:1 რენბერგი (42), 4:1 დომი (43)

**დეტროიტი 6:4 კოლუმბუსი 4:3 1:0 1:1**

1:0 შენაჰანი (2), 2:0 ჰოლმსტრომი (3), 2:1 პირიეტა (6), 2:2 სენდერსონი (8), 3:2 ფიოდოროვი (11), 3:3 რაიტი (12), 4:3 მაკარტი (18), 5:3 ფიოდოროვი (37), 5:4 შელი (42), 6:4 მოლტბი (53)

33-ე დაბადების დღე დეტროიტელმა სერგეი ფიოდოროვმა ორი გოლით და პასით დაიმშვენა.

**სენტ ლუისი 4:0 ატლანტა 2:0 0:0 2:0**

1:0 ნეში (7), 2:0 ჩაიანეკი (20), 3:0 სტილმანი (56), 4:0 ხავანოვი (60)

**ტამპა 4:3 აილენდერსი 2:0 2:2 0:1**

1:0 სარიჩი (1), 2:0 ლეკავალიე (14), 3:0 ლეკავალიე (22), 3:1 პერიში (32), 4:1 პროსპალი (35), 4:2 ბეიტსი (39), 4:3 კ. იენსონი (53)

**ოტავა 4:3 ნიუ ჯერსი 2:0 0:2 1:1 1:0**

1:0 უაიტი (6), 2:0 ვან ალენი (16), 2:1 ლანგენბრუნერი (31), 2:2 ბრილინი (36), 2:3 ბერგლუნდი (47), 3:3 ჰავლატი (48), 4:3 ფიშერი (69)

— 15 დეკემბერი —

**ანაჰაიმი 5:0 პიტსბურგი 2:0 2:0 1:0**

1:0 კარნი (11), 2:0 სიკორა (20), 3:0 მაკდონალდი (23), 4:0 ლეკლერკი (34), 5:0 მაკდონალდი (49)

ანაჰაიმის მეკარე ჟან სებასტიან ჟიგერს მარიო ლემიესიც არ ეშინია. გოლკიპერმა ზედიზედ მესამე შატაუტი მიითვალა და სუპერმარიოს 13-მატჩიანი ქულიანი სერია შეაწყვეტინა

**ჩიკაგო 0:5 დალასი 0:1 0:1 0:3**

0:1 სიდორი (15), 0:2 ტარჯონი (26), 0:3 ზუბოვი (42), 0:4 დაუნი (43), 0:5 ლეპტინენი (55)

**მინესოტა 2:1 კაროლინა 2:0 0:0 0:1**

1:0 როლინგი (7), 2:0 კუბა (15), 2:1 ფრენსისი (53)

**ფინიქსი 2:1 ლოს ანჯელესი 1:0 0:0 1:1**

1:0 მ. ჯონსონი (6), 1:1 დემარში (46), 2:1 რადივოიევიჩი (53)

**ვანკუვერი 3:3 კალგარი 2:1 0:1 1:1 0:0**

1:0 ნესლუნდი (4), 1:1 ბუგნერი (15), 2:1 ბერტუცი (17), 2:2 ნიკოლი (32), 2:3 კონროი (45), 3:3 სალო (56)

# კრის ბერდმა ჰოლიფილდი გააბრუა

## ატლანტიკ სიტიში სხვა ჩიტი შემოფრინდა



გამარჯვებული კრის ბერდი მეუღლემ დაარწყულა

REUTERS ატლანტიკ სიტიდან

**ატლანტიკ სიტის „სიზორზის" დარბაზში 32 წლის კრის ბერდმა მსაჯთა ერთხმა დათვლით დაამარცხა 40 წლის ევანდერ ჰოლიფილდი და ფედერაციის (იბფ) ვაკანტური ქამრის მფლობელი გახდა**

ეს ქამარი ამასწინათ დათმო მისმა კანონიერმა მფლობელმა, მსოფლიოს ნამდვილმა ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა, მის დასაცავად ბრძოლა არ მიღირსო. თუმცა, ახლა ბოროტი ენები ამბობენ, ლუისი ბერდთან ოფლისღვრას მოერიდაო.

სხვათა შორის, სწორედ ლუისის კომენტარით გადმოსცემდა ამ ბრძოლას „ეიჩბიოუს" არხი.

ბრძოლა მაღალი კლასისა იყო, თუმცა იქ არ მომხდარა არცერთი ნოკდაუნი და არც სისხლი გასდენია რომელიმეს. აქ გამოვიდა მხოლოდ ტაქტიკისა და ოსტატობის იმგვარი შეხამება, რომელიც საბოლოოდ ბერდს აძლევდა ხელს.

რა კაცია ეს ცაცია ბერდი? გვარი „ბერდ" ჩიტს ნიშნავს.

სამი შვილის მამა, თეთრ ქალთან შეუღლებული წყნარი კაცი შედარებით გვიან გამოჩნდა ფასიანი ტელერზების, ანუ ვარსკვლავურ კრივში. მისი ყველაზე ცნობილი ტიტული არის ამერიკაში ულიარებელი ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონობა, რომელიც ვიტალი კლიჩკოს აართვა, ვლადიმირ კლიჩკოსთან კი დაკარგა. მაგრამ ეს სულაც არ არის მთავარი ბერდის კარიერაში. მთავარი ის არის, რომ ბერდი მეტად უხერხული მეტოქეა ყველასთვის. დღეის მძიმე წონაში არ არსებობს ასეთი ტექნიკისა და აზროვნების კაცი. ბერდს არა აქვს ძლიერი დარტყმა. ის საერთოდ არ იქნევს მუშტს, თითქოს გამოისვრის ხოლმე, მაგრამ ძალიან მწარედ და ზუსტად. მსუბუქად მოძრაობს და თავს იცავს ძალიან მოხერხებულად. ბერდი საშუალო დისტანციის მოკრივე არაა, ჯანზე არ იწევს. ის ხან შორს არის, ხან ძალიან ახლოს და ალბათ ყველაზე ჭკვიანია დღევანდელ ამერიკელ მოკრივეებს შორის. არ არსებობს ბერდის წაუკითხავი კომბინაცია და პასუხები ამ კომბინაციებზე არის ძალიან მოხდენილი. ისე, რომ ბერდი შენს შეტევას შენს წინააღმდეგ მომართავს ხოლმე.

მისი მთავარი მტერია მოწინააღმდეგის გრძელი მკლავი და ჯანი, რაც გამოჩნდა კიდეც მეორე კლიჩკოსთან შეხვედრაში. კუთხეში მიმწყვდეულ ბერდს ამგვარი მკლავის და ჯანის გაძლება უჭირს.

და რაღას წარმოადგენს დღევანდელი ჰოლიფილდი, რომელიც ჯიუტად არ ტოვებს რინგს და კვლავაც მსოფლიოს უდავო ჩემპიონობაზე ოცნებობს? გარეგნულად ჰოლიფილდი კვლავ საშიშარი შესახედია და თავისი მკვლელი დარტყმებიც შერჩენია, თუმცაღა, ბერდისავე თქმით, ველარც ისეთი ჯანიანი ყოფილა. ასაკმა ჰოლიფილდს სისწრაფე მოაკლო, მან ბოლო შვიდი ორთაბრძოლიდან მხოლოდ ორი მოიგო, თუმცაღა ეს არად უჩანს და ამბობს, კიდევ ვიკრივებო.

ჰოლიფილდ — ბერდი კი პირველივე რაუნდებიდან ამ მეორეს კარნახით წავიდა. მოფარფატე ბერდი ღლიდა ჰოლიფილდს, რომელიც ჯანით ცდილობდა მის მოშთობას. ამ თამაშთამაშში აშკარა შეიქნა, რომ ბერდი ქულას ქულაზე აგროვებდა. ის მეტს და უკეთ ურტყამდა. საბოლოო დათვლამ აჩვენა, რომ ბერდმა 747-ჯერ მოუქნია ჰოლიფილდს და 252-ჯერ მოარტყა, ჰოლიფილდმა კი 344-ჯერ მოიქნია და 102 მოარტყა. უკვე ბოლოს, ქულების დათვლით ორმა მსაჯმა 117-111 მოაგებინა ბერდს, ერთმა კი 116-112.

რვა რაუნდი ისე მიილია, რომ ჰოლიფილდმა თავზე ხელი არ აილო, თუმცა დაატყო, რომ აგებდა. შესვენებებისას ის აღარც ჯდებოდა ხოლმე. ბერდმა მას სწორედ რომ კრივობაში აჯობა. ამბები კი გახურდა ბოლო სამ რაუნდში, როცა ბერდს მოლლა დაეტყო. ბოლო სამ რაუნდს საჩემპიონოსაც ეძახიან, რადგან იქ რაც მოხდება, დიდად წყვეტს ბრძოლის ბედს. ჰოლიფილდმა ბოლო ძალღონე მოიკრიბა, რადგან იცოდა, რომ ერთადერთი შანსი ბერდის თოკებთან მიმწყვდევა და იქ მისი დალეწვა იყო. ეს რამდენჯერმე გამოუვიდა კიდეც, ისე, რომ მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ღრიალებდა. მაგრამ ბერდი არ დაილეწა. ხუთი წლის წინათ ეგებ სხვანაირადაც ყოფილიყო, ახლა კი ველარ.

„მგონია, რომ რაღაცას მივაღწიე, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთ დიად მოკრივეს ვაჯობე", თქვა ბერდმა ბრძოლის შემდეგ.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ ჩხუბის მომწყობი იყო გაქნილი დონ კინგი, რომელმაც ლუისს ერთი მილიონი დოლარი გადაუხადა, რათა იმას უფრო იოლად და სწრაფად დაეთმო ქამარი და გულდაჯერებით ეთქვა, ჩემი და ბერდის ჩხუბი საინტერესო არ არისო.

იმავე საღამოს ლუისმა განაცხადა, რომ ალბათ აღარ შეხვდება ვიტალი კლიჩკოს და დაელოდება ჯონი რუის. როი ჯონსის ბრძოლას, რომელშიც მძიმე წონაში ამომძვრალი გენიოსი ჯონსი ასოციაციის (ვბა) ქამრის პირველი პუერტორიკოელი მძიმეწონოსნისთვის ართმევას შეეცდება.

თავად ლუისს კი შერჩა მხოლოდ საბჭოს (ვბკ) ქამარი და უფრო ასოციაციის ქამრის დაბრუნება სწადია, რომელიც ორი წლის წინათ სასამართლო წესით აართვა დონ კინგმა.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ბერდისთანა მეტოქის გასაკვნეტი კბილები ჰოლიფილდს კარგა ხანია მოუცვდა

REUTERS ატლანტიკ სიტიდან

# ფალიანები ამერიკელებს წამებს უთვლიან

## ჯო ფრეზერმა ცერი შემართა

**სოლომონ გულისაშვილი**
**ფილადელფიიდან**

„ჯორლდ ჯიმ ფიტნეს სენთერი" ფილადელფიაში, რუზველტ ბულვარზეა. ეს უშველებელი სპორტული კომპლექსი, ჩვეულებრივ, ბოდიბილდინგის ტრფიალთა სამყოფია, მაგრამ ხშირად კარგი კრივიც იმართება ხოლმე და მაშინ საგანგებოდ მორთული დარბაზიც წმინდა ამერიკულ საკრივო ხიბლს იძენს თავისი ბრჭყვიალა ფერებით, გამაყრუებელი მუსიკითა და ბიკინიანი გოგოებით.

„ჯორლდ ჯიმში" მოხვედრილ კაცს იქაური გარემო და სული კარგა ხანს არ დაავიწყდება. აბა, წარმოიდგინეთ, ზიხარ და შენს გვერდით ლეგენდარული ჯო ფრეზერი მოკალათებულა. იცინის, ხუმრობს და როცა რომელიმე მოკრივის ილეთი მოეწონება, ცერს შემართავს და მხარზე ხელს მეგობრულად გიტყაპუნებს.

იმ საღამოს ფრეზერი ერთი რომ, საპატიო სტუმარი გახლდათ, მეორეც, მისი ქალიშვილი ჯაკი ფრეზერ-ლიდი WIBF-ის ვერსიით საშუალო წონის ფინალში ვინმე კენდრა ლენჰარტთან წლის ტიტულს იცავდა, მაგრამ ეს ყველაფერი ბოლოს იყო. მანამდე კი ქართველებმა ადგილობრივებს თავისი სიძლიერე დაუმტკიცეს.

ძმები ფალიანები ამერიკაში სამი თვეა ჩამოვიდნენ, ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ვაილანდში ცხოვრობენ და ინგლისელ-ბერძენი მენეჯერის, მაიკლ მაიკის ხელმძღვანელობით ემზადებიან. 29 წლის რამაზს ქართველი გულშემატკივარი კარგად იცნობს, სამი წლით უმცროსი შალვა კი დიდ კრივში შედარებით ახალი სახელია, თუმც გამოცდილ ძმას შემართებაოსტატობით არაფრით ჩამოუვარდება. ისინი ერთად იყვნენ თურქეთსა და საბერძნეთში, ახლა კი ქართველი მენეჯერის, მამუკა წიკლაურის მეცადინეობით ოკეანის გაღმაც ჩამოაღწიეს.

გასულ შაბათს ორივეს ადგილობრივი, შავკანიანი ფილადელფიელი მოწინააღმდეგე ჰყავდა, თუმცა მთლად სტუმრები არც ფალიანები იყვნენ. ნიუ ჯერსი და პენსილვანია მეზობელი შტატებია. მათ მდინარე დელავერი ჰყოფს და რამდენიმე ხიდი, მათ შორის ფანტასტიკური ფრანკლინ ბრიჯი აკავშირებს, საიდანაც ფილას ცათამბჯენები ხელის გულივით მოჩანს.

რამაზს აქამდე ერთი ამერიკული ბრძოლა უკვე მოგებული ჰქონდა, შალვა კი პირველად კრივობდა და დებიუტი სანაქებო გამოუვიდა. რინგზე დიდი ბაქი-ბუქით ასულმა ვინმე ჯორჯ ტერნერმა მას ერთი რაუნდიც ვერ გაუძლო. შალვამ მეტოქე ორჯერ დააგდო და მალე ნოკაუტიც ვიხილეთ.

რამაზმა კი კევინ ჰილს გამარჯვების თქმაც არ აცალა. წუთი და ოცდათორმეტი წამი გასულიყო, როცა ქართველის მოქნეულმა მარჯვენამ პენსილვანიელი ატაკს დაანარცხა და მერე მის მოსულიერებას ორიოდ წუთი კიდევ დასჭირდა.

— როკი ფალიან! — საზეიმოდ იძახა შოუს წამყვანმა, რასაც ადგილობრივი მაყურებლის ტაში, ათიოდ ფილადელფიელი ქართველის ყიჟინა და ჯო ფრეზერის შემართული ცერი დაერთო. არ ვიცი, სად არის საქართველო, მაგრამ ეს ძმები ძალიან ბიჭები კი ჩანანო, მითხრა კრივის ლეგენდამ.

იმ დღეს ფალიანების უფროსი ძმის, ჩვენი კრივის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, ზურაბ ფალიანის დაბადების დღე ყოფილა და ბიჭებმაც, ცხადია, გამარჯვებები მის ხსოვნას მიუძღვნეს.

რამდენიმე დღეში ფალიანები საქართველოში ჩამოვლენ, ხოლო იანვრის დამდეგს ამერიკაში დაბრუნდებიან. მათ ფოთელი კობა გოგოლაძეც შეუერთდება და 31 იანვარს კიდევ ერთხელ შეეცდებიან ოკეანისგაღმელთა მოხიბვლას.



შალვა და რამაზ ფალიანები ჯო ფრეზერის მოკრივე ასულ ჯაკისთან ერთად

შოუს ბოლოს კი ქალების ჯერიც დადგა. ჯაკი ფრეზერ-ლიდმა ათრაუნდიან დამღლელ ბრძოლაში მოუგო მოწინააღმდეგეს. ტიტულიც შეინარჩუნა და ლეგენდარულ მამიკოსაც დიდად აამა. სხვა გზა არც ჰქონდა, ნახევარ დარბაზს ხომ მისი გამოსახულებიანი მაისურა ეცვა და არც მხურვალე ქომაგობა მოჰკლებია. ფრეზერ-უფროსი კი ბავშვივით გახარებული ავარდა რინგზე და, „ქამან ბეიბი, ქამან" ძახილით ჩაეხუტა საკუთარ ქალიშვილს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ბოგრაშვილი, დავით კაჭანტირაძე მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge